# ლელო

№013
(12 390)
18 იანვარი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



დინამომ
გრიგალაშვილის
დუბლით მოიგო

ქართული კლუბები
სეზონის განახლებამდე

დინამო:
**გამარჯვება თურქეთში**

ამერი:
**ჩიმაკაძის შედეგიანი დაბრუნება** 3

## ოლიმპი თანამეგობრობის თასზე
# ჭიჭველიშვილის გარეშე და ოთხი ლეგიონერით



რუსთაველებისთვის ჭიჭველიშვილის (მარცხნივ) არყოფნა დიდი დანაკლისია



**როგორ ხვდება საქართველოს ჩემპიონი პეტერბურგის ტურნირს?** 2



**რითი ჯობია ჩასემი კობახიძეს**
დავით თავართქილაძე 4

ერთი კვირის ათასი წვრილმანი



# კობი კრივზე გადავიდა

რა ხდება შალკეში? 9




**ანჩელოტის ჯილარდინო მობეზრდა**

მსოფლიო ფეხბურთი 6-10



გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ოლიმპი

# პისკოვეცმა პეტერბურგში ოთხი ლეგიონერი წაიყვანა

## ჭიჭველიშვილი დაშავდა და ოლიმპს ვერ დაეხმარება



რა მდგომარეობაში ეგებება საქართველოს ჩემპიონი „თანამეგობრობის თასს"?

გუნდი უკრაინის საკურორტო ქალაქ ალუშტაში 6-დან 17 იანვრამდე ემზადებოდა. **ანატოლი პისკოვეცის** შეგირდებმა ხუთი საკონტროლო მატჩი გამართეს და შედეგი არასახარბიელოა: ერთი მოგება, სამი წაგება და ერთი ფრე.

11 იანვარი - ჩერნიგოვის „დესნა" 2:0 (მეტრეველი, სილაგაძე)

12 იანვარი - უზბეკეთის „კურუვჩი" 0:1

13 იანვარი - სიმფეროპოლის „ტავრია" 0:3

14 იანვარი - ტერნოპოლის „ნივა" 0:1

15 იანვარი - სიმფეროპოლის „დინამო იგროსერვისი" 0:0

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲘᲒᲠᲝᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ" უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში ოც გუნდს შორის მეთორმეტე ადგილზეა, რუსთაველებმა ვერც მას მოუგეს და ვერც ტერნოპოლის „ნივას" რომელიც სულაც მეორე ლიგაში გამოდის. სამაგიეროდ, მოუგო პირველი ლიგის მეშვიდეადგილოსან ჩერნიგოვის „დესნას" (2:0).

ყველაზე თვალშისაცემი ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონს თავდასხმაში ძალიან უჭირს. ხუთ მატჩში ორად-ორი გოლი სხვა არაფერზე მეტყველებს. სწორედ ამაზე წუხდა პისკოვეცი და შეკრებაზე წინა ხაზის გასაძლიერებლად რამდენიმე უკრაინელი მოიწვია.

სამწუხაროდ, მან ვერ მოახერხა გამოცდილი **ევგენი კოტოვის** დამატება, რომელსაც დონეცკის „შახტიორსა" და კრივოი როგის „კრივბასში"'უთამაშია. ტესტირებაზე დაიწუნეს **ალეინიკი, ფედორჩენკო, ვადიაში, სიდორჩუკი** და სახლში გაუშვეს.

თვალშისაცემია ისიც, რომ „ოლიმპმა" ვერ მოუგო უკრაინის ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებს, წააგო უზბეკებთანაც. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, პეტერბურგამდე ბევრი სანერვიულო გაგვიჩინა. რაც უნდა იყოს „თანამეგობრობის თასი" პოსტსაბჭოეთში ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობის თვალსაჩინო ბარომეტრია. პეტერბურგში შერცხვენა ჩვენს შელახულ სახელს დიდად რომ არ წაადგება, მტკიცება არ სჭირდება.

პისკოვეცს ბოლოს ხუთი ლეგიონერის დამატება სურდა: ორი საყრდენი ნახევარმცველის, **ნიკოლაი სტეჩკოსა** (ლუცკის „ვოლინი") და **სერგეი პატულას** (ბელაია ცერკოვის „როსი"), აგრეთვე თავდამსხმელების, **ანტონ კოვალეცის** (პოლტავის „ვორსკლა"), **ალექსანდრ ემელიანოვის** (ჩერნოვცის „ბუკოვინა") და **ალექსანდრუ პოპოვიჩის** (ლუგანსკის „ზარია").

საბოლოოდ, სიიდან მხოლოდ სტეჩკო ამოვარდა, დანარჩენ ოთხეულთან კი დროებითი კონტრაქტები გაფორმდება. მათი კლუბში ჩარიცხვის საკითხი პეტერბურგის ტურნირის შემდეგ გადაწყდება. სამწუხაროდ, რუსთაველებს ვერ დაეხმარება გამოცდილი **დავით ჭიჭველიშვილი**, რომელიც ბოლო მატჩში დაშავდა და სამკურნალოდ საქართველოში დაბრუნდება. ეს „ოლიმპისთვის" უდიდესი დანაკლისია. ანალოგიური მიზეზით, პეტერბურგში ვერ გაემგზავრა კიდევ ერთი მცველი **ნიკა ჯელაძე**. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ვიზა გაბონელ მცველს, **ერნესტ აკუასაგას** არ მისცეს, აშკარაა, რომ პისკოვეცი დაცვის ხაზში დიდი პრობლემების წინაშე დადგა. არაა გამორიცხული, მან უკან **ლევან სილაგაძე** დახიოს, რომელსაც ცენტრალურ მცველად თამაშის მშვენიერი გამოცდილება გააჩნია.



დავით ჭიჭველიშვილი (მარცხნივ) ტურნირზე ვერ გაემგზავრა

პეტერბურგში, „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ რუსთავის „ოლიმპი" შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა.

მეკარეები: **მირზა მერლანი, ბექა შეყრილაძე.**

მცველები: **თემურ ფარულავა, სერგო ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე.**

ნახევარმცველები: **გელა ხუბუა, ლადო ჯოჯუა, ლევან სილაგაძე, რეზო გეწაძე, ირაკლი სეფისკვერაძე, ნიკა სტეფნაშვილი, სერგეი პატულა.**

თავდამსხმელები: **გიორგი კახელიშვილი, ზვიად მეტრეველი, ვახტანგ კვარაცხელია, ანტონ კოვალეცი, ალექსანდრ ემელიანოვი, ალექსანდრუ პოპოვიჩი.**

პეტერბურგში ქართული დელეგაცია სასტუმრო „პულკოვოში" დაბინავდება, რომელიც პეტერბურგის აეროპორტთან ახლოს მდებარეობს. ჯგუფში რუსთაველთა მეტოქეები არიან ლატვიის „ვენტსპილსი", ყირგიზეთის „დორდოი-დინამო" და სერბეთის „ოფკ ბელგრადი". სერბები არა მარტო ჯგუფის, არამედ ტურნირის ფავორიტები არიან.

იგივე ითქმის ლატვიის ჩემპიონზეც, რომელიც ბოლო თხუთმეტი წელი სტაბილურად ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერებშია, ბოლო სამი წელი კი რიგის „სკონტოს" ჩემპიონობა აანაპნა. შარშან „თანამეგობრობის თასის" ფინალში გავიდა და ტაშკენტის „პახტაკორთან" მხოლოდ პენალტების ხანგრძლივი სერიის შედეგად წააგო.

ყირგიზულ კლუბზე ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ ბოლო დროს ასეთი ყარტა-ყურტები ისე გაგვიშინაურდნენ, ძნელი სათქმელია, „ოლიმპი" მასთან უეჭველად მოიგებს?

რუსთაველთა პირველი მეტოქე სერბული გუნდია. სწორედ ამ შეხვედრით იხსნება „თანამეგობრობის თასი". მატჩი 19 იანვარს თბილისის დროით 14.00 საათზე სპორტკომპლექს „პეტერბურგსკიში" გაიმართება.

**თამაშების განრიგი კი ასეთია:**

**19 იანვარი**

**14.00 ოლიმპი -ოფკ ბელგრადი**

სპორტკომპლექსი პეტერბურგსკი.

**20 იანვარი**

**14.00 ოლიმპი- დორდოი**

სპორტკომპლექსი ზენიტი

**22 იანვარი**

**14.00 ოლიმპი-ვენტსპილსი**

სპორტკომპლექსი პეტერბურგსკი

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ფავორიტები „ზენიტი" და კიევის 'დინამო" უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ორივე მათგანი დუბლიორებს აგზავნის და მაყურებელთა ინტერესი მეტისმეტად მცირეა. ოდესღაც მეტად საინტერესო შეჯიბრება თავად გააუფასურეს და რუსი მაყურებელი კი სუსტი ქართველების, რუსებისა და უკრაინელების დუბლების სანახავად არ დადის. მათ მოლდოვის, ლიტვის, ლატვიისა და უზბეკეთის გუნდები არასდროს აინტერესებდათ და იციან, მათი წარმატებები უძლელო ქვეყანაში კატების ყეფაა. კიეველები ისრაელში რუსეთის „საზოგადოებრივი არხის" ტურნირზე ითამაშებენ, რადგან მისი საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარია. „თანამეგობრობაზე" კი ამდენს არავინ გაილებს. თავად რუსების ჩემპიონებიც წლებია ტურნირს აგდებით ეკიდებიან. პეტერბურგის „ზენიტი" არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ემზადება. მათგან განსხვავებით, გასული გათამაშების გამარჯვებული ტაშკენტის „პახტაკორი" მთელი სერიოზულობით ემზადება.

სამაგიეროდ ფავორიტი გახდა ლატვიური „ვენტსპილსი". **რომან გრიგორჩუკის** გუნდმა იანვარში სერიოზული დანაკლისი განიცადა. მოსკოვის „ტორპედოში" გადავიდა ლატვიელთა კამერუნელი ლეგიონერი **ჟან-პოლ ნდეკი,** თავდამსხმელ **ანდრეი ბუტრინს** კი ინგლისის „ბლექპული" სინჯავს.

პეტერბურგული გაზეთების ინფორმაციით, ქალაქში აფიშების სიმრავლეც არ იგრძნობა. რა გასაკვირია,

ტურნირის დახურვას, 27 იანვარს ფიფას პრეზიდენტი **იოზეპ ბლატერი** დაესწრება, რომელიც ტურნირზე წარმოდგენილი ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივნებს შეხვდება. უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინის** სანკტ-პეტერბურგში ჩასვლის საკითხი კი გაურკვეველია.

და ბოლოს: ტურნირის 16 მთავარ მსაჯს შორის, ქართველი ფიფას არბიტრი **ლაშა სილაგავაც** დაასახელეს. ეს გუშინ ტურნირის საორგანიზაციო ტურნირმა გამოაცხადა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# რევიშვილს უშვებენ?

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ საინფორმაციო წყაროების ცნობით, შესაძლოა, ყაზანის „რუბინი" ქართველ გოლკიპერ **ნუკრი რევიშვილს** გამოემშვიდობოს. რუსთა ცნობით, ყაზანელებს სურთ ამ პოზიციაზე ყველა მოთამაშის შეცვლა, რადგან გასულ სეზონში მათი გარჯით უმაყოფილონი იყვნენ. „რუბინმა" ორი გოლკიპერი უკვე შეცვალა, გუნდიდან წავიდნენ ლატვიისა და თურქმენეთის ნაკრებების წევრები **ალექსანდრ კოლინკო** და **პაველ ხარკინი**. მათ ნაცვლად მივიდნენ, **სერგეი კოზკო** („მოსკვა") და **სერგეი რიჟიკოვი** („ლოკომოტივი"). კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ ერთ გამოცდილ გოლკიპერს ეძებს. ამ შემთხვევაში კი გუნდის დატოვება ნუკრი რევიშვილსაც მოუწევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნუკრი რევიშვილი

# კიევის დინამო ქართველების გარეშე

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „დინამოს" ხელმძღვანელობამ „თანამეგობრობის თასზე" გასამგზავრებელ მოთამაშეთა სია მეორედ გამოაქვეყნა. ამჯერად მითითებული იყო, რომ ეს დაზუსტებული სიაა და აღმოვაჩინეთ, რომ კიეველებს პეტერბურგში ქართველები აღარ მიჰყავთ. სიაში არ იყო არც **დავით იმედაშვილი** და არც კიევის „დინამოს" აკადემიის გაზრდილი **თემურ ფარცვანია**. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდზე არ იყო ამის მიზეზები დასახელებული.

როგორც შევიტყვეთ, იმედაშვილი ახალ კლუბში გადასვლას იმედოვნებს და დრო რომ არ დაკარგოს, „დინამო 2"-ს ტურნირზე არ გაჰყვა.

**მერაბ მამულაშვილი**



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ვიტ ჯორჯია

# თოვლმა სპარინგები ჩაშალა



კვახაძემ შესაძლოა სეზონი ვიტ ჯორჯიაში ჩაამთავროს

„ვიტ ჯორჯია" სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს 8 იანვარს შეუდგა, მაგრამ მას შემდეგ ვეტერინარებს ჯერ ერთი ამხანაგური მატჩიც არ გაუმართავთ. ამის მიზეზი თბილისური დიდთოვლობაა, რის გამოც „ჯორჯია" მხოლოდ ფიზიკური მომზადებითა და ორმხრივი თამაშებით კმაყოფილდება. ჯიქიას ქუჩაზე მდებარე „ოლიმპის" აკადემიის მოედნებზე თოვლი ჯერ არ გამდნარა, რამაც არაერთი უმაღლესლიგელის გეგმებში შეიტანა არასასურველი კორექტივები.

**ნესტორ მუმლაძის** გუნდი დღესდღეობით, 35-ე საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობს. „ვიტ ჯორჯია" ანთალიურ შეკრებაზე 3 თებერვალს მიემგზავრება და მანამდე ალბათ ერთი-ორი საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას მოასწრებს. გუნდი ტრაბზონამდე ავტობუსით იმგზავრებს და ანთალიაში იქიდან გადაფრინდება.

სატრანსფერო ამბებს რაც შეეხება, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ **ნიკოლოზ გელაშვილი** კარიერას საზღვარგარეთ გააგრძელებს. თუმცა იგი ჯერჯერობით, „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ვარჯიშობს, ისევე როგორც **პავლე დათუნაიშვილი** და **ალექსანდრე კვახაძე**. პირველს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა და უცხოური ვარიანტების მოლოდინშია, სასურველი კლუბის პოვნის იმედი კვახაძესაც აქვს. ამის მიუხედავად, სავსებით რეალურია, რომ ეს სამეული ანთალიაში ვეტერინარებთან ერთად გაემგზავროს. კვახაძემ შესაძლოა, სეზონი სულაც ვეტერინართა რიგებში ჩაამთავროს.

სხვა მხრივ, „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა ექს-ამერელ ფორვარდ **ბაჩანა ცხადაძეს**, „ბორჯომიდან" კი მცველი **თემურ ლონლაძე** დაბრუნდა. არაა გამორიცხული, მეორე წრიდან ძირითად გუნდში ფეხი დუბლშემადგენლობის რამდენიმე წევრმა მოიკიდოს.

ლევან ჯანეზაშვილი



ბესიკ ჩიმაკაძე

ფოტო www.fcameri.ge

დინამო

# მოგება თურქეთში

**დემირსფორი–დინამო 0:2**

0:1 გრიგალაშვილი (23), 0:2 გრიგალაშვილი (38)

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კაკუბავა, დობეში, ოდიკაძე, ხმალაძე, ნერგაძე, ქანთარია, გრიგალაშვილი, აკირემი.

თურქულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ' გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. კიევის "არსენალთან" 2:2 ფრის შემდეგ **დუშან უპრინის** გუნდმა ანთალიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. დინამოელები ადგილობრივ ქვედალიგოსან "დემირსფორს" გაეჯიბრნენ და თბილისური კლუბის პრესსამსახურის ცნობით **შოთა გრიგალაშვილის** დუბლით მოიგეს.

ხვალ თბილისელები **დავით კვირკველიას** ზაპოროჟიეს "მეტალურგს" დაუპირისპირდებიან.



შოთა გრიგალაშვილი



ბექა ნოზაძე (მარჯვნივ)

მერანი

# ისევ მანეჟში

„მერანში" დიდი ცვლილებები ჯერჯერობით, არ მომხდარა. დედაქალაქურ გუნდს სპარინგ-მატჩი აქამდე არ ჩაუტარებია, **დავით ეჯიბიშვილი** ფეხბურთელებს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ავარჯიშებს და სავარაუდო ახალწვეულებსაც აკვირდება.

2008 წლის პირველ შეხვედრას „მერანი" 31 იანვარს გამართავს „სიონთან", რის შემდეგაც დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე მოაწყობს შეკრებას. კლუბის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს, თუმცა გუნდის ახალწვეულების ვინაობა ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, „მერანი" უკვე დატოვეს ნახევარმცველებმა **ბექა ნოზაძემ** და **ზურაბ ავალიანმა**, რომლებიც ბოლნისის „სიონში" გადავიდნენ, ასევე თავდამსხმელმა **დავით სევასტოპულომ**, რომელმაც პირველლიგელ „მალაროელს" მიაშურა.

ლევან ჯანეზაშვილი

ამერი

# ჩიმაკაძის შედეგიანი დაბრუნება

„ამერის" ახალგაზრდა თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო ნახევარი წელიწადი გაუცდა, მოედანს დაუბრუნდა. გუშინ რატევანში „სიონმა" „ამერს" უმასპინძლა, თბილისელებმა 2:1 მოიგეს, გამარჯვების გოლი კი 89-ე წუთზე სწორედ ჩიმაკაძემ გაიტანა. ასე რომ, გლდანელთა შეტევა სეზონის მეორე ნახევრიდან უფრო გაძლიერდება და ამ რგოლში კონკურენციაც გაიზრდება.

რატევანში თავიდან „სიონი" დაწინაურდა, 41-ე წუთზე მეტოქის კარი **კვიტაიშვილმა** დალაშქრა, ანგარიში კი **გოცირიძემ** გაათანაბრა 56-ეზე.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

სიონი: **ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, ავალიანი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია, ქარდავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბოიომო, ჩასემი, უგულავა, ლ. ჩხეტიანი.**

ამერი: **ქვაჩახია, მესხი, დავითნიძე, გვაძაბია, ელბაქიძე, დიდავა, დეკანოსიძე, სილაგავა, ა. ალავიძე, ტატანაშვილი, ხარაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ნადირაშვილი, ჩიმაკაძე, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, მჭედლიშვილი, ბოლქვაძე, შალამბერიძე, დოლიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.**

როგორც ხედავთ, „სიონის" შემადგენლობაში ითამაშა **ერიკ რომეო ჩასემმა**, რომელიც „ზესტაფონთან" ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ ფეროელებს პირობებზე ვერ მოურიგდა და ბოლნისურ კლუბს დაუბრუნდა. ჯერ არაა გადაწყვეტილი, კამერუნი ადგილსამყოფელს უახლოეს პერიოდში შეიცვლის თუ სეზონს „სიონში" ჩაამთავრებს.

20 იანვარს „სიონი" „ზესტაფონს" უმასპინძლებს, ამ დროისთვის სავარაუდოდ, ბოლნისელთა კიდევ რამდენიმე ახალწვეულის ვინაობას გავიგებთ. სადღეისოდ კი „სიონთან" კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვთ **ბექა ნოზაძეს, ზურაბ ავალიანსა** და **შოთა ჯიქიას.**

ლევან ჯანეზაშვილი

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ერთი თვეც და ჩვენთან საფეხბურთო სეზონი განახლდება, ეროვნული ნაკრები კი უფრო ადრე დაიწყებს წელიწადს - 6 თებერვალს ლატვიას დაუხვდება ამხანაგურად. სეზონის განახლების მოახლოებას თავისებური ფორიაქი ახლავს.

ფორიაქი იყო დამდეგი შესარჩევი ციკლის კალენდრის დადგენისთვის, რომ არ გვეყოჩაღა, ჩვენთვის სასურველ განრიგს ვერ მივაღწევდითო, გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

კალენდარი უმნიშვნელო არ არის, მაგრამ ის მნიშვნელოვანია იმ გუნდისთვის, რომელიც გამართული და მოწესრიგებულია, რომელსაც ყველაფერი გათვლილი აქვს და ამ გათვლების ერთ-ერთი ნიუანსი კალენდარია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის მონდომებული იყო შესარჩევის კალენდრის დადგენისას, მაგრამ ნაკრები არასდროს უვარგოდა და ვერც ვერავინ დააბრალებდა ჩვენი ეროვნული გუნდის ჩაფლავებას კალენდარს.

როგორც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებსაც აქვს თავისი ჰოროსკოპი - ციკლის ბოლო შემოდგომაზე შინ ხანდახან გემრიელად მოუგებს არცთუ სუსტ, ზოგჯერ ძლიერ მეტოქესაც. დამდეგი შესარჩევის მეორე შემოდგომაზე საქართველო იტალიას მასპინძლობს და საინტერესოა, რას გვამცნობენ ვარსკვლავები.

# რითი ჯობია ჩასემი კობახიძეს

## ...და რას გვამცნობენ ვარსკვლავები









არანაკლებ საინტერესოა, როგორ გამოუჩნდება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს რვა ფინანსურად მდგრადი კლუბი, როგორც ამას საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა გვპირდება.

ამასობაში რამდენიმე გუნდი უსახსროდ დარჩა, მაგალითად, „ბორჯომი". პროფლიგა სეზონის წინ ყოველი კლუბისგან ფინანსურ გარანტიებს ითხოვს, მაგრამ ეს გარანტიები არ არის ნამდვილი. ბიზნესში ერთი ნაღდი გარანტიაა - მაღალი რეპუტაციის საბანკო გარანტია, თორემ გამგებლის წერილი გარანტიად, აბა, როგორ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ პროფლიგასაც უნდა გავუგოთ, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მაკიაჟი ქართული გუნდებისთვის, რათა სპონსორები მოუპოვოს ეროვნულ ჩემპიონატს თუ თასის გათამაშებას. ბოლოს და ბოლოს, მაკიაჟი არ არის დიდი ტყუილი.

იმედია, არც ფეხბურთის განვითარების პროგრამა გამოდგება დიდი ტყუილი. სინამდვილე ხომ ისე მოგვენატრა, რომ ეჭვიანობა ლამის მოქმედების ფორმად გვექცა.

„დინამო თბილისის" პრეზიდენტს კი ვირის აბანოს უმზადებენ. საახალწლო დღეებში ბიზნესმენმა, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს" პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა „ლელოს" უთხრა, მზად ვარ, ხარჯები ავანაზღაურო და საფეხბურთო „დინამო" შემოვიერთოო.

„დინამო თბილისის" პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი რამდენიმე წელია, გუნდთან საერთოდ არ მისულა და გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ უმალ „დინამოს" უფრო შეელევა, ვიდრე „იმედს". იქნებ უკეთესიც იყოს, თუ „დინამოს" სხვა იყიდის. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში არავინ ჩაეძიება იმას, „დინამოს" მფლობელმა პირველი მილიონი „ლოგოვაზში" იშოვა თუ კონტრაბანდულ სპირტის ტრანზიტით.

„დინამოზე" პრეტენზია ვინძლო იმასაც გაუჩნდეს, ვისაც შვიდი წლის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წაართვა კლუბი, მაგრამ ასეთ ვარიანტზე არ იკვეთება სახელისუფლო მხარდაჭერა და შესაბამისად, ის აქტუალურად ვერ ჩაითვლება.

ამასობაში „დინამო" 20 წლის სანდრო კობახიძემ დატოვა. ეს ცაცია შუახაზელი ჯერაც არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი და ასეთ დროს ევროპას კი არა, უკრაინას მიაშურა.

ბევრი გამოცდილი ქართველი ფეხბურთელის შეგონებაა, რომ საინტერესო ახალგაზრდები რუსეთ-უკრაინაში არ უნდა წავიდნენ, რომ ევროპა სულ სხვაა, რომ ჯეელისთვის აჯობებს, ოთხიათას ევროზე ითამაშოს მეორე ბუნდესლიგაში, ვიდრე შვიდი ათასზე რუსეთსა თუ უკრაინაში.

კობახიძემაც არ დაუჯერა მათ და იქნებ ისიც გვითხრას, აგერ, ჯაბა კანკავა „დნეპრში" რომ გადავიდა, ეროვნულ გუნდში რეგულარულად იძახებენ და ათამაშებენ კიდეცო.

კამათს წინ რა უდგას, მითუმეტეს მაშინ, თუ კამათი არგუმენტირებულა, მაგრამ ალბათ ჯობია, გამოცდილ და უკეთეს ფეხბურთელს დაუჯეროს საინტერესო ახალგაზრდამ. მოთმინება დროის ფლანგვას სულაც არ ნიშნავს - ევროპაში საფეხბურთო მილეთი სულ სხვანაირად ცხოვრობს, იქ ფეხბურთელი ფეხბურთელად ყოფნას სწავლობს.

მაგრამ მოთმინება და სწორი გადაწყვეტილების მიღება ყველას არ შეუძლია. ფულის მზაკვრი ძალა უნარიან კაცსაც ხშირად აცა-ბაცად ატარებს.

კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემი კი ზესტაფონურ, ბოლნისურზე უკეთეს ხელფასს არ დაყაბულდა-და ბოლნისის „სიონში" დარჩა. სეზონის დასრულების შემდეგ ჩასემი თავისუფალი აგენტი გახდება და მის მოსურნე ახალ გუნდში ალბათ უფრო მსუყე ხელფასით გადავა. ჩასემმა მოითმინა და ვინძლო, არც წააგოს.

**დავით თავართქილაძე**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

ლეგიონერი

# გოგუა სპარტაკელია

## სატურნში გულორდავა ემზადება

ნალჩიკის „სპარტაკის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა ქართველი ნახევარმცველის კლუბში ჩარიცხვა. ყაბარდოელებმა ტრანსფერის საკითხი ჯერ გოგიტა გოგუას სატრანსფერო ფურცლის მფლობელ **ანდრეი ჩერვიჩენკოსთან** მოაგვარეს, შემდეგ უკვე რამენსკოეს „სატურნთან" და ოფიციალური განცხადებაც გააშანშალეს:

*„ნალჩიკის „სპარტაკი" უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს 24 წლის ნახევარმცველ გოგიტა გოგუასთან. მის ძველ კლუბებთან წინასწარი შეთანხმებები მიღწეულია."*

სხვათაშორის, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ შარშან ამ დროს გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გოგიტამ ნალჩიკის „სპარტაკი" დიდი სკანდალით დატოვა, აბსურდია. სკანდალით წასულ ფეხბურთელს უკან ასეთი სიხარულით და პატივით არავინ ილებს.

ნალჩიკის „სპარტაკი" ამჟამად თურქეთში ემზადება, შემდეგ ორი დღე დაისვენებს მშობლიურ ქალაქში და ისევ თურქეთში დაბრუნდება.

სხვათაშორის, გოგიტას ყოფილ კლუბში კიდევ ერთ ქართველს სინჯავენ. რამენსკოეს „სატურნის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიწერა, რომ თურქულ შეკრებაზე დუბლშემადგენლობამ სამარის „კრილია სოვეტოვს" რეზერვისტები 2:0 დაამარცხა. თავდამსხმელის პოზიციაზე ვინმე **გულორდავამ** ითამაშა. ის გუნდში ჯერ კიდევ ათი დღის წინათ გამოჩნდა, როდესაც დუბლიორებმა რამესკოეში "„სატურნის" ძირითად შემადგენლობასთან ითამაშეს. ყველასათვის გასაკვირად, ეს მატჩი რამესნკოელმა რეზერვისტებმა მოიგეს - 2:0.

როგორც გავარკვიეთ, ეს ბიჭი მოსკოვის ოლქში მდებარე „სპორტაკადემკლუბის" გაზრდილია. კლუბის პრეზიდენტი ცნობილი რუსი მენეჯერი **კონსტანტინე სარსანიაა,** რომელიც სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" სპორტული დირექტორი იყო.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



ვანო ხორგუაშვილი

დილა. ინტერვიუ ვანო ხორგუაშვილთან

# მალე ქალაქგარეთ გავალთ

ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გორის „დილას" ეროვნულ ჩემპიონატში ზამთრის შესვენების ნაყოფიერად გამოყენება განუზრახავს, რათა სამომავლოდ სახიფათო ზონიდან თავის დაღწევა მოახერხოს. მწვრთნელები გუნდის გადახალისებას გეგმავენ. სავარაუდო ახლწვეულების ერთი ნაწილი დღესდღეობით უკვე გორში გადის შეკრებას ვანო ხორგუაშვილისა და თანაშემწე რევაზ ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით. ერთ-ერთ ვარჯიშზე სტუმრობისას პირველ წრეში მოთამაშე ფეხბურთელთა გარდა რამდენიმე ყოფილი დილელიც ვნახეთ - ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნევრი მურთაზ ბურნაძე, ალეკო ლაბაძე, გასულ ზაფხულს „ბორჯომიდან" დაბრუნებული ალბერტ საყვარელიძე და ბოლო ორი წლის მანძილზე თურქეთის ქვედა ლიგაში მოასპარეზე ადგილობრივი ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილი დავით ჩერქეზიშვილი.

ნამსვლელ-დამრჩენთა ზუსტი ვინაობა საბოლოოდ მეორე წრისთვის მოსამზადებელი შეკრების ბოლო ეტაპზე ზღვისპირეთში გაირკვევა. სხვათაშორის ქალაქგარეთ შეკრებაზე ეს გუნდი ბოლოს სწორედ ვანო ხურგუაშვილის მწვრთნელობისას, 2002 წელს იმყოფებოდა.

— 8 იანვარს შევიკრიბეთ და აქვე გორში შევუდექით ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე მუშაობას. ორიოდ დღეში ქალაქგარეთ გავალთ, სადაც ტექნიკური და ტაქტიკური სწავლებები დაემატება. შეკრება კი ზღვისპირეთში დასრულდება.

**— ცნობილია, რომ გუნდი განახლებას გეგმავს, რომელი ფეხბურთელები დაიმატეთ ამ ეტაპზე?**

— ჯერჯერობით ერთადერთი, ვიზეც შემიძლია გითხრათ, რომ დავიმატეთ, ჯაბა ბერიანიძეა. ის მანამდე „ამერში" თამაშობდა. ვაპირებთ კიდევ სამი ან ოთხი ახალგაზრდა და ამდენივე გამოცდილი ფეხბურთელი გადმოვიბიროთ. ამჟამად ჩვენთან შეკრებაზე მყოფთ ვაკვირდებით და საუკეთესოებს შევარჩევთ. შესაბამისად ამის მერე გაირკვევა იმ მოთამაშეების ვინაობაც, რომლებსაც გუნდის დატოვება მოუწევთ.

**— საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოასპარეზე გორელების დაბრუნებას თუ აპირებთ?**

— რასაკვირველია ვფიქრობთ ამაზე. გივი ქარქუზაშვილი, კობა ხანიშვილი, ამირან ყველაშვილი (ბორჯომი), მიშა თაყაძე, ვახტანგ აკოფიანი (მესხეთი), ეს ის გორელი ფეხბურთელები არაიან, რომელთა „დილაში" დაბრუნებაზეც ვმუშაობთ. ამ საკითხსაც მალე უნდა მოეფინოს ნათელი.

**— „დილას" სასურველ ფეხბურთელში თანხის გადახდაც შეუძლია, თუ უწინდელივით მხოლოდ იჯარის წესით აყვანაა თქვენთვის მისაღები?**

— მიმართულება სწორედ იქით გვაქვს აღებული, რომ გვინდა ვიყიდოთ ფეხბურთელები და ჩამოვაყალიბოთ ბირთვი, რომელიც უახლოეს ორ-სამ წელიწადში კონკურენციას გაუწევს „დინამოს", „ამერს", „ვიტ ჯორჯიას" და ჩვენი ქვეყნის სხვა ძლიერ კოლექტივებს.

**— მაგრამ ამას, დამეთანხმებით ყველაფერთან ერთად საკმაოდ სერიოზული ფინანსური ზურგი სჭირდება.**

— რა თქმა უნდა ასეა და მეც იმიტომ მოვედი გუნდში, რომ „დილას" გვერდში დგომას დაპირდნენ გორის გამგებელი რამაზ ჩოჩიშვილი და გუბერნატორი ვლადიმერ გეგელაშვილი. მათ სურთ გორს კონკურენტუნარიანი საფეხბურთო კოლექტივი ჰყავდეს. გვერდში დაგვიდგება კლუბის პრეზიდენტ მიხეილ ლურსმანაშვილის ბიზნეს-ჯგუფიც. მოკლედ, ვიმედოვნებთ ყველაფერი, რაც ფინანსურ თუ ტექნიკურ მხარეს შეეხება, მოწესრიგდება და იმავდროულად, სპორტული თვალსაზრისით ჩვენი გარჯა შედეგს გამოიღებს.

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ დანაპირები ფუჭი გამოდგა? ასეთი რამ არაერთხელ უნახავს ფეხბურთის გორელ ქომაგს...**

— რა თქმა უნდა ეს ძალიან ცუდი იქნება და ასეთ შემთხვევაში აუცილებლად წავალ გუნდიდან. უამბიციო კლუბში საქმიანობას მე პირადად არ ვაპირებ. იმედი მაქვს დაპირება ამაო არ გამოდგება.

**— გასული სეზონის მეორე წრის დაწყების წინ, თითქმის ანალოგიური სატურნირო ვითარება ჰქონდა „დილას" და მიუხედავად ამბიციისა, სახიფათო ზონას თავი მაინც ვერ დააღწია...**

— გადაჭრით რაიმეს მტკიცება არასერიოზულია, მაგრამ თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მწვრთნელები ვგეგმავთ და ვვარაუდობთ, უმაღლეს ლიგაში დარჩენა მხოლოდ და მხოლოდ სპორტული პრინციპით, მერწმუნეთ, ნამდვილად შესაძლებელი იქნება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლეგიონერები

# ასათიანი თურქეთშია, ჭელიძეც

მოსკოვის "ლოკომოტივის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე კლუბის დუბლშემადგენლობის იმ ცხრა ფეხბურთელის გვარები გამოქვეყნდა, რომლებიც თურქულ შეკრებაზე ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშებენ. მათ შორის არაა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე,** რომელიც რკინიგზელებს შარშან იჯარით "ზესტაფონში" ჰყავდათ გაშვებული და რამდენიმე კვირის წინათ დაიბრუნეს. "ლოკომოტივი" ქემერში ორი გუნდით და ორი ქართველითაა ჩასული. **მალხაზ ასათიანი** ძირითად შემადგენლობასთან ერთად ემზადება, ხოლო ჭელიძე დუბლებში.



მალხაზ ასათიანი

გუშინ დუბლები ამხანაგურად "სიბირის" მეორე გუნდს ეთამაშნენ და 7:2 მოუგეს, მაგრამ ამ შვიდი გოლიდან ქართველი ფორვარდის ანგარიშზე არც ერთი არაა. ჭელიძე მინდორზე მეორე ტაიმში შეუშვეს. თამაშს "ლოკომოტივის" მთავარი გუნდის ფეხბურთელებიც დაესწრნენ და კლუბის ვებ-გვერდმა მინდორს მიღმა მოკალათებული ასათიანის ფოტოც გამოაქვეყნა.

გიორგი ჭელიძის რკინიგზულ პერსპექტივაზე საუბარი ჯერ ძნელია. "ლოკომოტივის" მეორე გუნდი თურქული შეკრების დასრულებისთანავე მექსიკას მიაშურებს, "კოპა ჩივასზე" სათამაშოდ, მაგრამ ჩვენებურის გარეშე. მთავარი მწვრთნელი **რინატ ბილიალეტდინოვი** გვადალახარაში მხოლოდ იმ ფეხბურთელების წაყვანას აპირებს, რომელთა ასაკიც 19 წელს არ აღემატება. ჭელიძე 21 წლისაა.



ალექსანდრე იაშვილი

# მარცხი დაბალლიგელთან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „კარლსრუემ" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე მეორე ბუნდესლიგის ბინადარი „ფიურტი" იყო. „კარლსრუე" 1:2 დამარცხდა, **ალექსანდრე იაშვილი** სასტარტოში იყო და ძირითადში გამწესებულ ყველა ფეხბურთელთან ერთად, პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ცნობისათვის, შეხვედრის პირველი ნახევარი „კარლსრუემ" 1:2 წააგო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ორი ქართველი მოლდოვაში

გამორიცხული არაა, რამდენიმე დღეში „დაჩიასთან" კონტრაქტი ორმა ქართველმა გააფორმოს. ამ მოლდოვური კლუბის შემადგენლობაში **ლევან კორლალიძე** და **დიმიტრი პარამონოვი** ისინჯებიან. შეგახსენებთ, კორლალიძე ბოლოს ლატვიურ „დინაბურგში" თამაშობდა, პარამონოვი კი ცხინვალის „სპარტაკში". როგორც ამბობენ, ამ დუეტს კიშინიოვში დარჩენის არცთუ ურიგო შანსი აქვს. დღესდღეობით, „დაჩიას" ღირსებას ჩვენი ორი თანამემამულე იცავს - **ვიტალი დარასელია** და **ჯაბა დვალი.**



ვიტალი დარასელია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხდე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ნიუკასლი

# 20 მილიონი 2011 წლამდე

## ჯორდებისათვის კიგანის ტრიბუნაზე გამოჩენაც საკმარისი აღმოჩნდა. დარჩება თუ არა ოუენი ახალი მწვრთნელის გუნდში?



დარჩება ოუენი ნიუკასლში?

**კევინ კიგანის** "ნიუკასლში" დანიშვნამ დიდი ეიფორია გამოიწვია. 56 წლის სპეციალისტი "სენტ ჯეიმს პარკზე" ზუსტად 4 025 დღის შემდეგ დაბრუნდა და ოთხშაბათს, ინგლისის ასოციაციის თასის გადათამაშებას დაესწრო. მესამე რაუნდში მისი შეგირდები ქვედა დივიზიონის "სტოკ სიტის" შეხვდნენ და 4:1 გაიმარჯვეს. მეოთხე რაუნდში "ნიუკასლის" მეტოქე "არსენალი" იქნება. კიგანის დებიუტი ამ უქმეებზე, "ბოლტონთან" საშინაო შეხვედრაში შედგება.

მისტერ კევინმა სამწვრთნელო კარიერა წლინახევრიანი პაუზის შემდეგ განაახლა. მისი ბოლო სამსახური "მანჩესტერ სიტი" იყო, საიდანაც 2005 წელს გადადგა. კიგანმა "ნიუკასლთან" სამლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. არაოფიციალური ინფორმაციით, ამ ხნის განმავლობაში ის 20 მილიონ გირვანქას მიიღებს. სანამ მისი დანიშვნის ამბავი გამოცხადდებოდა, "ბოლტონთან" მატჩზე მხოლოდ 30 ათასი ბილეთი იყო გაყიდული. დარჩენილი 20 ათასი ბილეთი მეორე დილასვე გაიყიდა. 51-ათასიან "სენტ ჯეიმს პარკზე" სრული ანშლაგი იქნება. გულშემატკივარი "მესიასთან" შესახვედრად ემზადება. *"ჯორდების მესია"* - კიგანს ეს მეტსახელი პირველად მაშინ უწოდეს, როცა 1982 წელს "ნიუკასლში" ჩაირიცხა და ორ სეზონში 78 მატჩში 48 გოლი შეაგდო. მან ეს ტიტული მთავარი მწვრთნელობის პერიოდშიც შეინარჩუნა. "სენტ ჯეიმსზე" კიგანის მოღვაწეობის წლები (1992-97) კლუბის ბოლო პერიოდის ისტორიაში ყველაზე წარმატებულად მიიჩნევა.

კიგანს შტაბი უკვე დაკომპლექტებული აქვს. მისი მარჯვენა ხელი **დერეკ ფეზეკერლი** იქნება. ის კევინის სტაჟიანი ასისტენტია. ფეზეკერლი "მანჩესტერ სიტიში" მუშაობს, თუმცა გადადგომის განცხადება უკვე დაწერა. "მირორის" ცნობით, კიგანთან იმუშავებს **კრის კოულმენი**, რომელიც "რეალ სოსიედადს" გამოეთხოვა, აგრეთვე "პორტსმუთის" მეორე მწვრთნელი **ტონი ადამსი**. ამ დანიშვნებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა.

ორიოდე სიტყვას "ნიუკასლი"-"სტოკის" გადათამაშებაზეც მოგახსენებთ. 4:1 - ეს ჯორდების ყველაზე შთამბეჭდავი საშინაო გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში. მასპინძლებმა 10 კაცით მოიგეს. **ემრე ბელოზოღლუმ** განზრახ უხეშობისათვის წითელი ბარათი დაიმსახურა. კიგანი სტადიონზე 20 წუთის დაგვიანებით მივიდა. ამიტომ **მაიკლ ოუენის** გოლი არ უნახავს (ოუენის პირველი გოლი 7 ოქტომბრის შემდეგ). კიგანისა და ოუენის ურთიერთობა სპეკულაციების საგანია. "ნიუკასლის" თავდამსხმელმა ავტობიოგრაფიულ წიგნში ინგლისის ნაკრების ყოფილ დამრიგებელზე ასეთი რამ დაწერა: *"შესაძლოა, ზოგიერთი ფეხბურთელისათვის (კიგანი) იდეალური მწვრთნელი იყოს, მაგრამ მე განსხვავებული მოსაზრება გამაჩნია. უსამართლოდ მეპყრობოდა, ყველაფერში დამნაშავედ მე გამოვყავდი. მის დანიშვნამდე, მინდორზე ყოველთვის თავდაჯერებული გავდიოდი ხოლმე. კიგანთან მუშაობისას ეს გრძნობა სადღაც გაქრა."* ოუენის ძველი კომენტარი უკლებლივ ყველა ტაბლოიდმა ამოქექა და პირველ გვერდზე გამოიტანა. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ მაიკლს "სენტ ჯეიმსზე" დიდი ხნით დარჩენა არ უწერია.

ახლა კი კიგანის პირველი კომენტარები "ნიუკასლში" დაბრუნების შემდეგ. მწვრთნელი რადიოსადგურ "თოქსპორტს" ესტუმრა და ჟურნალისტის შეკითხვებს დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში პასუხობდა. კითხვაზე, თუ რატომ დაბრუნდა "სენტ ჯეიმსზე" მწვრთნელმა მიუგო, იმიტომ, რომ 11 წლის წინ შეწყვეტილი საქმე გავაგრძელოო: *"სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, გუნდის მფლობელს (მაიკ ეშლის) ველაპარაკე. საინტერესო დიალოგი გამოვიდა. მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ დაბრუნება ღირდა... "სტოკთან" სათასო მატჩმა დამარწმუნა, რომ გუნდს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე 1992 წელს "ნიუკასლში" ჩემი პირველად დანიშვნისას. მაშინ სულ სხვა საფიქრალი გვქონდა. ერთმანეთს ვეკითხებოდით, ნეტავ დღეს სტადიონს თუ გავავსებთო. მოგეხსენებათ, დღეს ტრიბუნები ყოველთვის სავსეა. ახლა მთავარია, ერთგულ გულშემატკივარს ხარისხიანი ფეხბურთი შევთავაზოთ, რომ მათთვის "სენტ ჯეიმსზე" სიარული ზეიმად იქცეს."*

კიგანმა კარგად იცის, თუ რა რთულ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. "ნიუკასლმა" ინგლისში ბოლო ტიტული 1955 წელს მოიგო - ასოციაციის თასი. უკანასკნელი დიდი გამარჯვება კი 1969 წელს მოიპოვა - ბაზრობათა თასი. კიგანის "ნიუკასლმა" სენსაციურად დათმო 1996 წლის საჩემპიონო ტიტული. შთამბეჭდავად თამაშის მიუხედავად, მისტერ კევინმა სენტ ჯეიმსზე გატარებული ხუთი წლის განმავლობაში (1992-97) ერთი ჯილდოც კი ვერ მოიპოვა და საბოლოოდ, 1997 წლის იანვარში თანამდებობა დატოვა. *"ნიუკასლი" დიდი კლუბია. მისი მწვრთნელობა - უდიდესი პასუხისმგებლობა. ზოგიერთს ჩვენი რეგიონის მიღმა გაცნობიერებულიც კი არ აქვს, რას ნიშნავს "ნიუკასლ იუნაიტედი" მე ჯორდების კარგად მესმის. მამაჩემი ჯორდი იყო. ვიცი, რა უნდა ამ ხალხს. ისიც ვიცი, რის ნახვას აღარ ისურვებდნენ. ჯორდები ცაში არასოდეს დაფრინავენ ხოლმე. ისინი არასოდეს კარგავენ რეალობის გრძნობას და გამორჩეული ნებისყოფა გააჩნიათ. ეს თვისებები მაფიქრებინებს, რომ ჩვენ ყველას ერთად ოცნებების ახდენა შეგვიძლია. ოცნებებში, რა თქმა უნდა, დიდ-დიდ გამარჯვებებს ვგულისხმობ."*



კევინ კიგანი (ცენტრში) სტოკთან მატჩს ნიუკასლის მფლობელ მაიკ ეშლისთან (მარცხნივ) ერთად დაესწრო

კვლავ ღიად რჩება საკითხი "ნიუკასლში" კიდევ ერთი გმირის, **ალან შირერის** დაბრუნების შესახებ. ჟურნალისტები ჯორდების ყოფილ კაპიტანსა და ბომბარდირს ახალ სამწვრთნელო შტაბში დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. კიგანს მასთან ჩინებული ურთიერთობა აკავშირებს. 12 წლის წინ შირერის ტრანსფერი მისი ინიციატივით განხორციელდა: 1996 წელს თავდამსხმელის სანაცვლოდ "ბლექბერნს" იმჟამინდელი ბაზრისათვის სარეკორდო თანხა, 15 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. შირერმა ბი-ბი-სის განუცხადა: *"არ ვიცი, ვჭირდები თუ არა მას (კიგანს). დარწმუნებული ვარ, თვითონ უკეთ იცის, ვინ გამოადგება: ახალს ხალხს მოიყვანს, თუ "ნიუკასლის" დღევანდელი თანამშრომლებით გავა ფონს. რა თქმა უნდა, თუ დამირეკავს, დაველაპარაკები. სულელი უნდა ვიყო, რომ ასე არ ვქნა."*

---

### მანჩესტერ სიტიმ პოდოლსკი მოიკითხა

"მანჩესტერ სიტი" "ბაიერნის" თავდამსხმელ **ლუკას პოდოლსკით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას "შპორტ ბილდი" ავრცელებს. ტაბლოიდის ცნობით, ფეხბურთელის აგენტი უკვე შეხვდა "სიტის" თავკაც **სვენ გორან ერიქსონს** და მომავალი თანამშრომლობის დეტალები განიხილა. "ბილდში" ვკითხულობთ, რომ მანჩესტერელები მზად არიან, 16 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. 22 წლის პოდილსკი 2006 წლის მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ის მუნდიალის დასრულებისთანავე "ბაიერნში" ჩაირიცხა და კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. პოლდი მიუნხენელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ სურს, "ბაიერნში" სეზონის ბოლომდე დარჩეს და მოვლენების განვითარებას დაელოდოს. ზაფხულში ბავარიულ გიგანტს **იურგენ კლინსმანი** ჩაიბარებს. ნაკრებში მუშაობისას ლუკასი კლინსის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ახალმა მწვრთნელმა პოდოლსკის ბედი, შეიძლება, კარდინალურად შეცვალოს. თუმცა დღეს "სიტიში" ტრანსფერის საკითხიც ინტენსიურად განიხილება. მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

### ფინანსური სანქცია ჩელსის

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ჩელსი" 40 ათასი გირვანქით დააჯარიმა. მიზეზი 24 ნოემბერს, "დერბისთან" კალენდარული მატჩისას მომხდარი ინციდენტებია. "არისტოკრატებმა" შეხვედრა 2:0 მოიგეს. ამის მიუხედავად, მთავარი მსაჯის, **ანდრე მარინერის** თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. დამატებულ დროში მარინერმა **მიკაელ ესიენი** გააძევა. ლონდონელები მას გარს შემოერტყნენ და ცოტა დააკლდათ, ხელითაც არ შეეხნენ. ესიენს იმ გაძევების გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. "ჩელსის" კი ფინანსური სანქცია რამდენიმე თვით ადრეც დაეკისრა და მაშინაც ფეხბურთელების თავშეუკავებელი საქციელის გამო - 23 სექტემბერს "მანჩესტერ იუნაიტედთან" 0:2 აგებულ მატჩში.

### დიარა: არსენალიდან პორტსმუთში

ფრანგი ნახევარმცველი **ლასანა დიარა** "არსენალიდან" "პორტსმუთში" გადავიდა. მან ახალი კლუბთან 3.5-წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. დიარას კარიერამ "ემირიტს სთედიუმზე" მხოლოდ ექვსი თვეს გასტანა. ის მეთოფეებმა გასულ ზაფხულს "ჩელსიდან" შეიძინეს. ლასანამ "არისტოკრატების" ბანაკი იმიტომ დატოვა, რომ გამუდმებით თადარიგში ამყოფებდნენ. მას "არსენალშიც" თადარიგში მოუხდა ყოფნა. საბოლოოდ, "პორტსმუთის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** საუკეთესო გამოსავალი შესთავაზა. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

---

სკანდალური ჩანაწერი

# ნოტინგემის ყველაზე ცნობილი ნარკომოვაჭრე

## სენსაციური ჟურნალისტური გამოძიება სახლში, სადაც ლივერპულელი ვარსკვლავი იზრდებოდა...

გასულ უქმეებზე "ნიუს ოფ ზე უორლდმა" სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. **ჯერმეინ პენანტის** მამა ნოტინგემის ყველაზე ცნობილი ნარკომოვაჭრეა და დახლი პირდაპირ საკუთარ სახლში აქვს მოწყობილიო. ტაბლოიდმა ჟურნალისტური გამოძიებაც კი ჩაატარა. მან **გარი პენანტთან** ნარკომანად გადაცმული საკუთარი ჟურნალისტი მიაგზავნა. ის ფარული კამერითა და მიკროფონებით იყო შეიარაღებული. ჟურნალისტმა პენანტის ბინიდან შოკისმომგვრელი კადრები გამოიტანა. ვიდეოჩანაწერიდან ამოჭრილ ერთ-ერთ სურათს აქვე გთავაზობთ.

ბინა ნოტინგემის ყველაზე კრიმინალურ კვარტალში, ჰაიჰერსტ სტრიტზე, მრავალსართულიანი სახლის მეშვიდე სართულზეა მდებარეობს. ლივერპულელი ნახევარმცველის მამა კლიენტებს პირადად ემსახურება. ერთ-ერთ კადრში ისმის გარი პენანტის ხმა. ის კლიენტს მიმართავს: *"საუკეთესო ხარისხის წამალია. გაიკეთე. მერე კი მითხარი, თუ კიდევ დაგჭირდება. აქ ყველაფერი უსაფრთხოა."* როგორც ჩანს, პენანტს უსაფრთხოებაზე განსხვავებული წარმოდგენა აქვს: "ნიუს ოფ ზე უორლდის" მიმომხილველები გაოგნებულები უყურებდნენ კადრებს, სადაც გარი კლიენტ გოგონას საკუთარი ხელით უკეთებდა ჰეროინს, შემდეგ კი იმავე ნემსს თვითონ იჩხერდა.

პენანტი კლიენტებს გოგონებით მომსახურებასაც სთავაზობს. "ნიუს ოფ ზე უორლდის" სტუმრობისას მეორე ოთახში ერთბაშად სამი წყვილი სექსით იყო დაკავებული. სახლის მეპატრონემ გადაცმულ ჟურნალისტს განუცხადა: "ნარკოტიკი, სექსი, აქვე ყველაფრის ყიდვა შეგიძლია. ქალაქში ყველაზე მაგარი ადგილი აქაა. რომელ გოგოსაც ხელს დაადებ, შენი იქნება. წამალი უყიდე და მეტი არაფერი უნდათ." ნიუს ოფ ზე უორლდმა პენანტის ერთ-ერთ მუდმივ კლიენტთან გასაუბრებაც მოახერხა. გოგონამ, რომელიც ჟურნალისტს **ლილი ენად** გაეცნო, თქვა: *"გარი საუკეთესო წამალს ყიდის. თანაც ხელმისაწვდომ ფასად. თუ ჰეროინი გინდა, გარიზე უკეთეს კაცს ვერ ნახავ. თუ გაკეთება გინდა, ნემსებიც აქვს და მისსავე სახლში შეგიძლია შეიშხაპუნო. ის ბევრ ჩემ ნაცნობს ემსახურება."*

ის დროს, როცა გარი პენანტი ავადსახსენებელი საქმეებითაა დაკავებული, მისი 25 წლის ვაჟი "ლივერპულში" კვირაში 25 ათას გირვანქას აკეთებს. ჯერმეინიც ნოტინგემის იმ უბანში გაიზარდა. მისი დედა ნარკომან მამას რომ გაშორდა, ძალიან პატარა იყო. დედამ შვილი გარის დატოვა. ჯერმეინი მამამისის ერთ-ერთმა მეძავმა საყვარელმა გაზარდა. მას სასწაულებრივად დააღწია თავი ნარკომანთა წრეს, რომელშიც ბავშვობიდნ იზრდებოდა. მამამისი კი დღემდე წამლის აქტიური მომხმარებელია. ნიუს ოფ ზე უორლდს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, დაინტერესდა თუ არა პოლიცია მის მიერ მოპოვებული სენსაციური მასალებით.



გარი და ჯერმეინ პენანტები. პენანტი-უფროსის ყოველდღიური საქმიანობა ტაბლოიდის ფარულმა კამერამ დააფიქსირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ჯილა უნდა წავიდეს

## ანჩელოტი პირდაპირია: ჯილარდინო, ცოტას ითამაშებ! ფიორენტინა მზადაა, მილანს მეკარე ფრეი დაუთმოს

იანვარშივე თუ არა, **ალბერტო ჯილარდინო** ივნისში "მილანს" ნამდვილად დატოვებს. ეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს მას შემდეგ, რაც კვირას **ალეშანდრე პატოს** "სან სიროზე" ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. "როსონერის" უკვე ჰყავს ახალი ფეხბურთელი, რომელსაც ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ 18 წლის ფორვარდს ჯერაც დალვინება სჭირდება. ჯილარდინოს რომ ვერდიქტი გამოუტანეს, სწორედ ამაზე მეტყველებს **კარლო ანჩელოტის** სიტყვები: *"შეეგუე იმას, რომ ნაკლებად მოგიწევს თამაში"*.

...2005 წელში დავბრუნდეთ. ეს ის პერიოდია, როცა "პარმაში" **ადრიანო** "მეფობს". ბრაზილიელმა ფორვარდმა იმ სეზონში 23 გოლი გაიტანა და "მერძევეები" გავარდნისგან იხსნა. მაშინ, ჯილარდინო 22 წლის იყო და იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. ფოტოკორესპონდენტები მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასდევდნენ. შეგვიძლია გავიხსენოთ ტიფოზების სასტიკი რეაქცია **ჯოვანი ტრაპატონის** გადაწყვეტილებაზე, როცა "სკუადრა აძურის" მაშინდელმა მწვრთნელმა ნიჭიერი ფორვარდი ევრო 2004-ის განაცხადში არ შეიყვანა. მაშინ ეს სენსაცია იყო იმის ფონზე, რასაც სპეციალისტები ახალგაზრდა ჯილარდინოს უწინასწარმეტყველებდნენ: ის შეიძლებოდა, ახალი **პაოლო როსი** გამხდარიყო...

2005 წლის ზაფხულში "ჯილა" 17 მილიონ გირვანქად "მილანში" გაიყიდა. სტარტი იმედისმომცემი იყო. სადებიუტო სეზონში მან 17 გოლი გაიტანა. **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** ამ შედეგმა შეცდომაში შეიყვანა. მათ ჩათვალეს, რომ **ანდრეი შევჩენკოს** გარეშე არ გაუჭირდებოდათ, ამიტომ, "ჩელსიში" უმტკივნეულოდ გაასხვისეს.

როგორც ჩანს, ჯილარდინომ წნეხს ვერ გაუძლო. ჩემპიონთა ლიგის პირველ 10 მატჩში მან ერთი გოლიც ვერ გაიტანა, საკუთარი ძალების რწმენა დაკარგა, კლუბს კი მის მიმართ დაეკარგა ნდობა, შესაბამისად, ურთიერთობა გაცივდა. 2007 წლის იანვარში "მილანმა" უკვე **რონალდო** იყიდა. მართალია, "კიჭას" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ "როსონერი" ამის კომპენსირებას **კაკასა** და **ფილიპო ინძაგის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონის 17 მატჩში ალბერტომ 8 გოლი გაიტანა, პატოს გამოჩენამ ის მყისვე ჩრდილში მოაქცია.



იქნება ჯენარო გატუზო მილანის ახალი კაპიტანი?

მოსალოდნელი იყო, რომ "ნაპოლისთან" მატჩში ანჩელოტი მას სწორედ პატოს გვერდით გაამწესებდა, მაგრამ... კარლეტომ დააყენა რონალდო, რომელმაც პირველად ითამაშა ტრავმის შემდეგ და დუბლიც შეასრულა. ახალ განლაგებას ჟურნალისტებმა უკვე მოუძებნეს სახელი: **KA-PA-RO (კაკა-პატო-რონალდო)**. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჯილარდინოსთვის "მილანში" ადგილი ალარ არის. "გაძეტა დელო სპორტმა" მას ბრაზილიელების ტყვე უწოდა. ოთხშაბათს, "კატანიასთან" განმეორებით სათასო მატჩში, მწვრთნელმა ის სასტარტოში დააყენა. საერთოდ, "შავწითლების" სიცილიური შემადგენლობაც სათადარიგო იყო და ჯილარდინოსთვის ესეც ნიშანდობლივია. მაგრამ იმის გამო, რომ "მილანი" თასიდან გავარდა, ფრთებმოტეხილი ფორვარდისთვის ეს ასპარეზიც მოისპო...

ცუდად მიდის საქმეები სანაკრებო ფრონტზეც. ჯილარდინო **რობერტო დონადონიმაც** დაივიწყა. "აძურის" თავკაცი მოუთმენლად ელის იმ დღეს, რომ "პალერმოს" ბრაზილიელი ფორვარდი **კარვალიო ამაური** იტალიურ პასპორტს მიიღებს, რათა უმალ ნაკრებში უკრას თავი. ვუბრუნდებით რა "მილანს", გვახსენდება შარშანდელი ზაფხული, როცა ჯილარდინოს დაჟინებით უხმობდა "ფიორენტინა", სადაც მისი ყოფილი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი** მუშაობს. ალბათ, სწორედ ამ ტიპის კლუბია მისთვის ზედგამოჭრილი. მაგრამ ფლორენციაშიც მწვავე კონკურენციაა. იქ ძირითადისთვის **ადრიან მუტუ, კრისტიან ვიერი** და **ჯანლუკა პაცინი** იბრძვიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვიერი წარმავალი ფიგურაა, ჯილარდინოს, შეიძლება, აქ მაინც ჰქონდეს პერსპექტივა. არის სხვა იტალიური კლუბებიც, მაგრამ "მილანზე" ქვემოთ დაშვება და ხელახალი სტარტი ძალიან ძნელი იქნება, შესაძლოა, დამღუპველადაც იმოქმედოს ფეხბურთელზე, თუმცა ეს ერთადერთი გზაა ტალანტის რეაბილიტაციისკენ. სხვათა შორის, ამ ტრანსფერზე იტალიურ პრესაში სხვა ვერსიაც გაჩნდა - "მილანი" "ფიორენტინას" ჯილარდინოსა და მეკარე **სებასტიან ფრეის** გაცვლას სთავაზობს. როგორც "ლა რეპუბლიკა" იუწყება, გალიანი უკვე შეხვედრია კიდეც ფლორენციელთა ბოსს **ანდრეა დელა ვალეს**...

### მილანი თასს დაემშვიდობა

როგორც ზემოთ ვთქვით, ოთხშაბათს "მილანი" იტალიის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა. თუმცა რომელ ბრძოლაზეა საუბარი? შემადგენლობამ, რომელიც **კარლო ანჩელოტიმ** გადავსებულ "მასიმინოზე" გამოიყვანა, დაგვანახა, რომ "როსონერისთვის" ეს ტურნირი არ არსებობს. კაცმა რომ თქვას, მწვრთნელს ვერც გაამტყუნებ. მას ხომ წინ სერია A-ს ნახევარი და ჩემპიონთა ლიგის პლეიოფები აქვს. აქ კი დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი...

ერთი სიტყვით, შინ დამარცხების (1:2) შემდეგ "როსონერიმ" სიცილიაზე ფრედ (1:1) ითამაშა და სათასო ბატალიები დაასრულა. ანჩელოტი წარუმატებლოდით "ნაწყენი" დარჩა: *"ძალიან ცუდია, თასიდან რომ გავვარდით. მაგრამ ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, რადგან ეს ტურნირი ჩვენთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოდით და მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო. ეს დამატებით დროში გადაგვიყვანდა და მერე ყველაფერი შეიძლებოდა, მომხდარიყო... თუმცა უნდა შევაქო ჩვენი ოპონენტები. "კატანიამ" დღეს ჩინებულად ითამაშა და მეოთხედფინალის საგზური დაიმსახურა"*.



ანჩელოტის ჯილარდინო ალარ სჭირდება

### გატუზო კაპიტნობაზე უარს ამბობს?

"მილანის" მომავალი კაპიტნის გარშემო აგორებულ სპეკულაციებს წერტილი **სილვიო ბერლუსკონიმ** დაუსვა. ბოსმა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, "როსონერის" ახალ კაპიტნად **ჯენარო გატუზო** იხილოს. იქვე, ბერლუსკონიმ მადლობა გადაუხადა **მასიმო ამბროზინის** იმისთვის, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, **პაოლო მალდინის** არყოფნისას, საპატიო სამკლაურს სწორედ ის ირგებდა. გატუზოსთვის კაპიტნობა, თანაც "მილანის", უდიდესი პატივია კია, მაგრამ... მაგრამ ის ფიქრობს, რომ უსამართლობა იქნებოდა, ამბროზინისთვის ამ მისიის ჩამორთმევა, მთელი იმ დამსახურებების გათვალისწინებით, რაც მას "როსონერის" წინაშე მიუძღვის.

*"თუ ჩემს კაპიტნობაზეა საუბარი, ეს არ იქნება სამართლიანი. გულში ყოველთვის მექნება ხინჯი, რადგან ამბროზინი ჩემი მეგობარია და მას უდიდეს პატივს ვცემ, ყველამ იმ ბრძოლისთვის, რაც ერთად გადავიტანეთ. ესეც არ იყოს, მან ხომ ალმართა ჩემპიონთა თასი მონტე კარლოში... იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება. ჩვენ სხვებისგან გვესმოდა, რომ "მილანის" შიგნით მშვიდი ატმოსფერო იყო და ეს მართლაც ასეა, ძალიანაც გვეამაყებოდა, ასე რომ ხედავდნენ. ამიტომაც, ურთიერთობებს უნდა გავუფრთხილდეთ"*.

### ვინ შეცვლის კიელინის?

ჯორჯო კიელინის ტრავმა, რომელმაც მარცხენა მცველი თვენახევრით ჩამოაშორა მწვანე მინდორს, "იუვენტუსს" გადამჭრელი ზომებისკენ უბიძგებს. იმ ფონზე, როცა **ჟორჟე ანდრადე** და **ჯონათან ზებინაც** დაშავებულები არიან, ხოლო **დომენიკო კრიშიტო** "ჯენოაში" დააბრუნეს, "ქალბატონის" მესვეურები იძულებულნი არიან, ფრანგი **ჟან-ალენ ბუმსონგის** "ბეშიქთაშში" ტრანსფერი დაბლოკონ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ტურინელები სხვა მცველებსაც აკვირდებიან. როგორც იტალიური პრესა გვაუწყებს, **კლაუდიო რანიერის** სიაში არიან "კალიარიში" მოთამაშე **მიკელე კანინი** (22 წლის), **ფაბიანო სანტაკროჩე** (20, "ბრეშა") და **ფრანჩესკო პრატალი** (28, "ემპოლი").

### სიენამ რიგანო, რეჯინამ ბრიენცა...

"სიენამ" წინა ხაზი გამოცდილი ფორვარდით გააძლიერა. გუშინ ტოსკანურმა კლუბმა **კრისტიან რიგანოს** ტრანსფერი სრულჰყო. 34 წლის თავდამსხმელმა, რომელმაც გასულ ზაფხულს "მესინიდან" ესპანურ "ლევანტეს" მიაშურა და **შოთა არველაძის** თანაგუნდელი გახდა, "სიენასთან" ნახევარწლიან საიჯარო კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კიდევ ერთი ტრანსფერი, რომელიც გუშინ განხორციელდა: "რეჯინამ" მარცხენა გარემარბი **ფრანკო ბრიენცა** გადაიბირა. ხელშეკრულების საფუძველი ამ შემთხვევაშიც არენდაა. ბრიენცა "პალერმოს" ღირსებას იცავდა. **ფრანჩესკო გვიდოლინის** მოსვლის შემდეგ, მას სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ ჰქონია.

ლაციო

# მაინც ახალი მწვრთნელი?

## ჯორდანო ან კოლანტუონო. სიტიდან ბიანკი მოდისო...

ორიოდ დღის წინ "ლაციოს" ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კლუბი არათუ კარისკენ მიუთითებს მწვრთნელ **დელიო როსის**, არამედ მას ახალ კონტრაქტსაც (2011) შესთავაზებს. ეს ცივი შხაპი იყო მასმედიისთვის, რომელსაც ახალ მწვრთნელზე სპეკულაციები უკვე აგორებული ჰქონდა. პრინციპში, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არც კლუბის მიერ გავრცელებული პრესრელიზის შემდეგ მოხსნილა. თუ "გოლის" ინფორმაციებს დავეყრდნობით, პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** როსის ულტიმატუმი წაუყენა - გუნდი ან უახლოეს მომავალში გამოასწორებს სატურნირო მდგომარეობას, ან არა და, მწვრთნელს ველარაფერი იხსნის.

უკვე სახელდება კიდეც როსის სავარაუდო შემცვლელთა ვინაობაც. ერთ-ერთი ვარიანტია "პალერმოს" ყოფილი მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო**, რომელიც პოსტიდან ნოემბრის ბოლოს დაითხოვეს. მაგრამ ბოლო ინფორმაციებით, უფრო დიდი შანსი აქვს **ბრუნო ჯორდანოს**. ის "ლაციოს" ექსმოთამაშეა და კლუბში დღემდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა პრესასთან საუბარში ჯორდანო აცხადებს, რომ აზრადაც არ მოსვლია იმ კლუბში დაბრუნება, სადაც თავის დროზე სახელი გაითქვა.

*"სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ თუ დამიძახებენ, აქ ვარ. "ლაციოსთვის" ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია. წავიკითხე პრესაში, რომ შეიძლება, დავინიშნო, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის ჯერ არავის არაფერი უთქვამს, მით უმეტეს, რომ გუნდს ჯერ ჰყავს მწვრთნელი. თუმცა ვიმეორებ: მე "ლაციალე" ვარ! ასე რომ, დაბრუნებაში პრობლემას ვერ ვხედავ"*.

დღესდღეობით, "ლაციო" მე-15 ადგილზეა და სულ რაღაც 4 ქულა აშორებს გასავარდნ ზონასთან. ისიც იცით, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგასაც გამოეთიშა.

რაც შეეხება ჯორდანოს, ის 52 წლისაა. საგულისხმოა, რომ სერია A-ში მას მხოლოდ რამდენიმე თვე აქვს გატარებული, როცა წინა სეზონში "მესინადან" დაითხოვეს. მანამდე კი მისი უმაღლესი მწვერვალი სერია B იყო, სადაც "კატანძაროს" უძღვებოდა.

"ლაციოზე" საუბარი სატრანსფერო თემით გავაგრძელოთ. "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, "ბიანკოჩელესტე" "მანჩესტერ სიტიდან" ფორვარდ **როლანდო ბიანკის** გადაბირებას ცდილობს. ბიანკის, რომელმაც პრემიერლიგას "რეჯინაში" გატარებული ბრწყინვალე სეზონის (18 გოლი შარშანდელ სერია A-ში) შემდეგ მიაშურა, კარგა ხანია, იტალიაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. **სვენ გორან ერიქსონს** მასზე გული აუცრუვდა. შვედი აცხადებს, რომ ახალგაზრდა ფორვარდს სისწრაფე აკლია. "ლაციო" კი ის გუნდია, სადაც კვალიფიციური ფორვარდის დეფიციტია. **გორან პანდევსა** და **ტომაზო როკის** პერიოდულად **სტეფან მაკინვა** და ალბანელი ვეტერანი **იგლი ტარე** ენაცვლებიან, რაც საკმარისი ნამდვილად არ არის.

იმავე "კორიერეს" ცნობით, ბიანკის აგენტი **ტულიო ტინტი** მანჩესტერში ბრძანდებოდა, სადაც "სიტის" მესვეურებთან მოლაპარაკებები გამართა. იტალიაში დაბრუნებულმა ტინტიმ "კორიერესთან" ინტერვიუში ვიზიტის შედეგები გაამხილა: *"გარიგებას ბევრი ალარაფერი უკლია. ტრანსფერის საკითხი შეიძლება ამ უიქენდზე, ან მომავალი კვირის დასაწყისში მოგვარდეს"*.

"სიტის" სურდა, რომ ფეხბურთელი 8 მილიონ გირვანქად გაეყიდა, მაგრამ "ლაციო" ჯერ მხოლოდ არენდაზეა ყაბულს. რაც შეეხება სრულფასოვან ტრანსფერს, ეს უკვე ზაფხულშია მოსალოდნელი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, თუ ფეხბურთელი იმედებს გაამართლებს.



ბრუნო ჯორდანო

კიდევ ერთი ახალი ამბავი "ლაციოს" ბანაკიდან ისაა, რომ მცველი **გილერმო სტანდარდო**, შეიძლება, მალე ნისლიან ალბიონზე ვიხილოთ. 25 წლის მოთამაშეს "ბირმინგემი", "ფულჰემი" და "სელტიკი" ეპატიჟებიან. სიაში იყო "ტოტენჰემიც", მაგრამ ბოლო ინფორმაციით, "მამლებმა" შორს დაიჭირეს. თუმცა არის ინფორმაციაც, რომ მცველს იტალიაში სურს დარჩენა, ოღონდ არა "ლაციოში", სადაც მას მწვრთნელ როსისთან კონფლიქტი მოუვიდა. კონტრაქტის მიხედვით, სტენდარდომ რომში კიდევ 18 თვე უნდა გაატაროს. ის "ოლიმპიკოზე" 2005 წლიდან თამაშობს, მანამდე კი "პერუჯას" (სერია B) ღირსებას იცავდა.

ამომავალი ვარსკვლავები

# ბენზემა, საფრანგეთის ნაკრების მომავალი

## ბენ არფამ ამბიციები ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს...



ბურთით ქარიმ ბენზემა

**ჰატემ ბენ არფასა და ქარიმ ბენზემას სახელები ფრანგი გულშემატკივრების ბაგეებს აღარ სცილდება. დიდწილად სწორედ ჯერ კიდევ იუნიორი თავდამსხმელების დახმარებით "სამფეროვნებმა" მოიპოვეს ევრო 2008-ის საგზური, ასევე მათი დუეტის დახმარებით დაიბრუნა "ლიონმა" ცხრილში პირველი ადგილი, რომელიც ჩემპიონატის დასაწყისში მოულოდნელად კონკურენტებს დაუთმო. ბენზემა ჯერ 20 წლისაა, ბენ-არფა მასზე რამდენიმე თვით უფროსია, რაც მათს პერსპექტივას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. სწორედ ამის გათვალისწინებით თანდათან უფრო თვალშისაცემი ხდება მათი განსაკუთრებული როლი ყველა ფრონტზე. "ლიონისა" თუ საფრანგეთის ნაკრების თავკაცთა მიერ მათზე გაცემული ავანსები ნამდვილად გაამართლებს.**

ხუთშაბათი. 15 ნოემბერი. კლერფონტენის ბაზა. ერთი დღე მაროკოსთან ამხანაგურ მატჩამდე. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა ეს ესაა დაამთავრეს ტრაპეზი. **ლილიან ტურამმა** გუნდის სახელით **ტიერი ანრის** ნაკრების 41-ნომრიანი მაისურა გადასცა საჩუქრად, ნიშნად იმისა, რომ მან გაიმეორა **მიშელ პლატინის** რეკორდი. იქვე დგას **რაიმონ დომენეკი**, მას ხელთ უპყრია 42-ე ნომრიანი კვართი, ეს უკვე ნაკრებში სარეკორდო გოლის გატანის ნიშნად. მას მოსდევს **ქარიმ ბენზემა**, მას 43-ნომრიანი მაისურა უჭირავს, რადგან ლიტვასთან ტიერიმ დუბლი გაიფორმა. რატომ ბენზემა? მას ანრის სრულფასოვან მემკვიდრედ თვლიან. თავად ლეგენდადქცეული ფეხბურთელიც მუდმივად იმეორებს, რომ *"ქარიმ ბენზემა, ატემ ბენ-არფა და სამირ ნასრი ფრანგული ფეხბურთის ბრწყინვალე მომავლის წამომადგენლები არიან."*

ამ სამეულიდან ჯერჯერობით ყველაზე მეტად მაინც ბენზემას სახელი ქუხს. არადა სულ 20 წელი მას სულ რალაც 1 თვის წინათ შეუსრულდა. მის ანგარიშზე ნაკრებში 8 თამაშში გატანილი 3 გოლი, ჩემპიონატში შეგდებული 13 და ჩემპიონთა ლიგაში ასევე 3 გოლია. მის ასაკში ასეთი შედეგიანობა ნამდვილად შესაშურია. ის "ლიონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. ქარიმის უმაღლეს დონეზე გამოჩენის უმალ სხვა ფრანგული კლუბების მწვრთნელებმა ალბათ შურით დაუწყეს ცქერა ლიონელთა ბედნიერებას. *"ჩვენ დიდი ხანი გვითითებდნენ, რომ არ გვყავდა მაღალი კლასის ფორვარდი. ჩვენ წლების განმავლობაში ვეძებდით ასეთ თავდამსხმელს და როგორც აღმოჩნდა საძებრად შორს წასვლა საჭირო სულაც არ იყო, რადგან ის ჩვენსავე სკოლაში იზრდებოდა. ლაპარაკი მაქვს ბენზემაზე,"* - თქვა ერთხელ ბერნარ ლაკომბმა, წარსულის დიდ ფორვარდს, ვისაც უმაღლეს დივიზიონებში 225 გოლი აქვს გატანილი, ნამდვილად დაეჯერება.

ქარიმი ჯერ კიდევ იმ ასაკშია, როდესაც მას შეიძლება კუმირები ჰყავდეს. ამიტომ შეკითხვაზე, თუ ვინაა ასეთი ფეხბურთელი მისთვის, დაუფიქრებლად პასუხობს ხოლმე: რონალდო! ძნელია იმის მტკიცება, გახდება თუ არა ქარიმი მისი საყვარელი ფორვარდივით სახელგანთქმული, მაგრამ თუკი ის შეინარჩუნებს და ცოტა კიდევ გააუმჯობესებს იმ ფორმას, რაც მას საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში ჰქონდა აკრეფილი, ამის შანსი ნამდვილად ექნება. თუკი ტემპი შეინარჩუნა ის ერთ რეკორდს ნამდვილად გამოჰკრავს ხელს: მას რეალური შანსი აქვს, გახდეს საფრანგეთის ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა საუკეთესო ბომბარდირი. "ახლა ჩემს თავს უამრავი რამ ხდება. ბოლო პერიოდში პრესა ჩემით განსაკუთრებულად დაინტერესდა, მეც ვალდებული ვარ, რომ მათთან ხშირი კონტაქტი მქონდეს. თუმცა ჩემთვის ყველაზე მთავარია, რომ არ მოვდუნდე. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ჩვენს ჩემპიონატში სხვა თავდამსხმელებს საქმეები ცუდად მისდით. მაგალითად ჯიბრილ სისეს მარსელის "ოლიმპიკში", არადა ის უდიდესი ფეხბურთელია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბოლო თვეებში მე ბევრი არაფრისთვის მიმილწევია".

ბენზემა არ აჩქარებს მოვლენებს და ამიტომაც ჯერ კიდევ მშობლების სახლში ცხოვრობს, სწორედ იქ, სადაც მან ბავშვობა გაატარა. "*დედაჩემი საოცრად გემრიელ საჭმელებს მიმზადებს ხოლმე,* - ილიმის ვარსკვლავი - *მე ყოველდღიურად მაქვს ურთიერთობა მამასთან და ძმებთან. სწორედ ეს მეხმარება სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში,*"- აცხადებს ის. ისიც კი, რომ მისით თითქმის ყველა ევროპული გრანდია დაინტერესებული, მათ შორის მისი საყვარელი კლუბი მადრიდის "რეალი", ვერ აქრობს ქარიმში ძველი, ბავშვური უბრალოების განცდას. ეს ფეხბურთელს არ ანალვლებს თუნდაც იმიტომ, რომ იცის, "ლიონის" პრეზიდენტი **ჟან მიშელ ოლა** მას ასე იოლად ვერ შეელევა. *"ჩვენ ბენზემას კიდევ ძალიან დიდი ხანი არსად გავუშვებთ,"* - მუდმივად იმეორებს ხოლმე ფრანგი ფუნქციონერი.

რაც შეეხება ბენ-არფას, ვინც ბენზემას დიდი დამხმარეა მარცხენა ფლანგზე, ჟან-მიშელ ოლა ასევე დიდი იმედებს უკავშირებს და აცხადებს, რომ მის შენარჩუნებასაც დიდი ხნით შეეცდება. ლიონელმა მეგობრებმა და მარსელელმა სამირ ნასრიმ 2004 წელს ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიგეს 17-წლამდელთა შორის. ახლა კი სამივეს ამბიცია ეროვნულ გუნდში დამკვიდრებაა. "*ატემი ჩვენს თაობაში ულაპარაკოდ ყველზე ნიჭიერია,* - აცხადებს ბენზემა - *ეჭვი არ მეპარება, რომ ის მალე დაიმკვიდრებს თავს ეროვნულ გუნდში. მას ამისთვის მხოლოდ დრო სჭირდება.*" "სამფეროვანთა" ძირიტად შემადგენლობაში მოსახვედრად ატემს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს ფლორან მალუდასთან, ვისი წყალობიტაც ჯერ კიდევ წინა სეზონში "ლიონშიც" კი იშვიტად უწევდა ასპარეზობა. ამ უკანასკნელის "ჩელსიში" გადასვლისა და გუნდის თავკაცად **ალენ პერენის** დანიშვნის შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელს კლუბის სასტაროსკენ გზა ნამდვილად გაეხსნა, თუმცა მალუდა ნაკრებიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. ასე რომ, სანაკრებოდ ამბიციების მართებულობა მას ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს.

გარდა იმისა, რომ ეს ფეხბურთელები ერთად თამაშობენ როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე, მათ მინდორს მილმაც საუკეთესო მეგობრობა აკავშირებთ. "ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ. უამრავი საერთო გვაქვს როგორც მინდორზე, ისე მის მილმაც. წარმიდგინეთ, უკვე 5 წელიწადია ახლო მეგობრები ვართ. ჩვენ ერთად გავიზარდეთ." ბუნებრივია, მეგობრებს შორის განსხვავებაც არის. ქარიმი მკვიდრი ლიონელია. ის ამ ქალაქში დაიბადა და, როგორც უკვე გითხარით, დღემდე მშობლებთან ერთადაა. ატემი პარიზელია და საკუთარ ბინაში ცხოვრობს.

როგორც აღმოჩნდა, ბერ-არფა მარადონას უპირველესი ფანია: "*ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად მე დიეგო მარადონას მივიჩნევ,* - ამბობს ის - *მამაჩემმა მარადონასა და იოჰან კრუიფის შესახებ ვიდეოების უდიდეს კოლექციას მოუყარა თავი და ამის წყალობით მათი თითოეული ფინტი ზეპირად მაქვს შესწავლილი. მათ თამაშს ვაღმერთებ.*"

ტიტანი

# შეიძლება, ფეხბურთში აღარც დაბრუნდეს...

## ოლივერს ლემანისა გაჰკვირვებია და რენზინგის სჯერა. მისი ბოლო ოცნება გოლის გატანაა, ოღონდ, პენალტით არა!



ოლი წასასვლელად ემზადება და ჯერ არ იცის, მონატრება თუ არა ფეხბურთი...

**„ბაიერნის" ხელმძღვანელების მიერ იურგენ კლინსმანთან კონტრაქტის გაფორმებას ოლივერ კანი აღფრთოვანებით არ შეხვედრია. უფრო სწორად, ოლის კლინსის დანიშვნასთან დაკავშირებით არც სიხარული გამოუხატავს და არც მწუხარება. უბრალოდ თქვა: ეს ამბავი არ მაინტერესებსო. როგორ შეიძლება, რომ კაპიტანს არ აინტერესებდეს, თუ ვინ იქნება გუნდის მწვრთნელი მომდევნო სეზონში? მერე რა, რომ კანი ზაფხულში კარიერას ამთავრებს. ჰო, ეს სეზონი ოლისთვის ფეხბურთელის რანგში უკანასკნელია.**

ოლი **კანი** მხოლოდ წინ იყურება. თუმცა დღეისათვის მას სხვაგვარად არც შეუძლია, რადგან 38 წლის მეკარეს მოსამზადებელი შეკრების (მარბელიაში) პირველივე დღეს ყელი გაუცივდა, ასტკივდა და ახლა ველარ აბრუნებს. კანის ყელმა ანდალუსიურ ყინვებს ვერ გაუძლო. ოლისთვის ეს ბოლო მოსამზადებელი შეკრებაა. კითხვაზე, მიეძალა თუ არა სენტიმენტალიზმი იმის გამო, რომ 20 წლიან გრანდიოზულ კარიერას ამთავრებს, ოლი ასე პასუხობს: „*სენტიმენტალიზმი რატომ უნდა მომეძალოს? ჩემი კარიერის განმავლობაში უამრავი ტიტული მოვიგე, მქონდა წარმატებები, წარუმატებლობები, ემოციები, თავგადასავლები. ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ ცუდ ხასიათზე არ ვიყო.*"

რაც შეეხებâ იმას, რომ ზაფხულიდან „ბაიერნს" ოლის არაღიარებული მტერი **იურგენ კლინსმანი** გაწვრთნის, „ტიტანს" ეს ამბავი მართლაც არ აინტერესებს – მისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ შეცვლის **ოტმარ ჰიტცფელდს**. მიზეზი? კანი: „*თითქმის ერთ- კვირა გავიდა მას მერე, რაც გაირკვა, რომ ზაფხულიდან „ბაიერნის" მწვრთნელი კლინსმანი გახდება. ამ დღეებში გაზეთები მხოლოდ კლინსმანზე და შესაბამისად, მომავალზე წერენ. აწმყო კი რატომღაც ყველას დაავიწყდა. ვფიქრობ, რომ ეს არასწორია. მოდით, ჯერ აწმყოზე ვიფიქროთ და ეს სეზონი ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენ, ფეხბურთელებს ძალიან გვინდა, რომ ჰიტცფელდი ტიტულებით გავაცილოთ. ესეც არ იყოს, მეც მინდა, რომ ტიტულებით ხელდამშვენებული წავიდე.*"

სად წავა და რას გააკეთებს ოლი კარიერის დასრულების შემდეგ? რამდენიმე წლის წინათ ყველა დარწმუნებული იყო, რომ კანი გუნდის გენერალური მენეჯერი გახდებოდა და ამ პოსტზე ადრე თუ გვიან **ული ჰიონესს** შეცვლიდა. ჯერჯერობით ეს გამორიცხულია. კანი პირდაპირ ამბობს, ზაფხულის მერე ფეხბურთს საერთოდ მოვწყდებიო. „*მე არ დავბადებულვარ იმისათვის, რომ სულ მეკარე ვიყო ან სიცოცხლის ბოლომდე ფეხბურთს ვემსახურო. ახლა დისტანცია მჭირდება, სიმშვიდე და ცხოვრებაში ახალი რეალობების აღმოჩენა მინდა,*" – აცხადებს კანი. ის მოგზაურობას აპირებს, პირველ რიგში აზიაში, სადაც ძალიან პოპულარულია, რაც ამასწინანდელმა ვიზიტმაც (ჩინეთში) დაადასტურა. ჯერ არ იცის, რამდენ ხანს სურს ფეხბურთთან განშორება და საერთოდ, დაუბრუნდება თუ არა ფეხბურთს. ოლი თავის მომავალს ღიად ტოვებს: „*გამორიცხული არც ისაა, რომ ფეხბურთში აღარ დავბრუნდე. ვნახოთ, დრო მიჩვენებს, მომინდება თუ არა ფეხბურთში დაბრუნება და დამჭირდება თუ არა ეს ყველაფერი ისევ.*"

ფაქტია, რომ ახლა ოლი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ კარიერის ბოლო სეზონი წარმატებული გამოუვიდეს და სწორედ ამიტომ, მეორე წრისთვის გამალებით ემზადება. როგორია მისი უკანასკნელი მოსამზადებელი პერიოდი? „*კარიერაში 40-50 მოსამზადებელი შეკრება მაქვს გავლილი. ყველა შეკრება მონოტონური და მოსაწყენია. ამიტომაც, ასეთ დროს მე ყოველთვის, ასე ვთქვათ, ავტოპილოტზე ვარ ჩართული,*" – ამბობს კანი.

ოლის მოკლევადიანში მიზნები ცნობილია: მას კარიერის უკანასკნელ სეზონში ჰეთ-თრიკის შესრულება უნდა – ბუნდესლიგა, გერმანიის თასი და უეფას თასი. „*ვფიქრობ, ამ სეზონში უპრობლემოდ ვიჩემპიონებთ. ჰო, „ვერდერი" კარგი გუნდია, ისევე, როგორც „ჰამბურგი" და „შალკე", მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ვერცხლის სინი" ჩვენი საკუთრება გახდება, რადგან მეორე წრეში კიდევ უფრო გავძლიერდებით. ისე კი ჩვენ ჰეთ-თრიკს ვუმიზნებთ და თუკი ყველაფერი კარგად იქნება, არარეალური ნამდვილად არ არის ის, რომ გერმანიის თასიც მოვიგოთ და უეფას თასიც. ჰეთ-თრიკთან 1999 წელსაც ახლოს ვიყავით, მაგრამ მაშინ არ გაგვიმართლა და ორი ფინალი წავაგეთ.*"

ფეხბურთელს, რომელმაც კარიერაში თითქმის ყველაფერი მოიგო, ერთი პირადი ოცნებაღა დარჩა, რომლის ასრულების იმედი ჯერ კიდევ აქვს. „*ჩემს პირად სტატისტიკაში უამრავი ლამაზი მიღწევა, რიცხვების კასკადია და მხოლოდ ერთ გრაფაში წერია ნული. ძალიან მინდა, რომ გოლი გავიტანო,*" – აცხადებს „ტიტანი".

2001 წლის 3 მარტს როსტოკში „ჰანზას" მან გოლი გაუტანა, ოღონდ მუშტებით – ბოლო წუთებზე მეტოქის საჯარიმოში იყო ჩასული და რაკი ბურთს თავით ვერ შესწვდა, მუშტებით დაარტყა. მაგრამ ის გოლი მის სტატისტიკაში, რა თქმა უნდა, არ შევიდა. 2002 წლის 23 თებერვალს კი ოლიმ თერთმეტმეტრიანის დარტყმა ითავა. ეს „კოტბუსთან" შეხვედრაში მოხდა, რომელიც ბავარიელებმა 6:0 მოიგეს. მაგრამ კანს პენალტი **ტომისლავ პიპლიცამ** აუღო. კანი: „*მას მერე ერთი რამ ცხადია: თერთმეტმეტრიანს აღარასოდეს დავარტყამ.*" მისი კარიერის დასრულებამდე 17 ტურია დარჩენილი და ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ გოლიც გაიტანოს, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი ოცნების ასრულება ძალიან გაუჭირდება.

კანის წასვლის შემდეგ „ბაიერნის" პირველი მეკარე **მიხაელ რენზინგი** უნდა გახდეს. ოლის სჯერა ახალგაზრდა გოლკიპერის, რომელიც დიდი ხანია, რიგში დგას და ელოდება მომენტს, როცა კანი კარიერას დაასრულებს. „*რენზინგი მზადაა იმისათვის, რომ „ბაიერნის" კარში ჩადგეს. მე მჯერა მისი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ხელმძღვანელებმა მას და მესამე მეკარე თომას კრაფტს დაზღვევის მიზნით გვერდით კიდევ ერთი გამოცდილი კიპერი უნდა ამოუყენონ,*" – ამბობს ოლი.

ეს ციტატები მისი სპეციალური პრესკონფერენციიდანაა, რომელიც „ტიტანმა" მარბელიაში გამართა. პრესკონფერენციაზე ის **იენს ლემანის** თემასაც შეეხო. როგორც იცით, ლემანმა დორტმუნდის „ბორუსიაში" გადასვლაზე უარი თქვა და ლონდონის „არსენალში" დარჩა, სადაც მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებს. ლემანს კი ევროპის ჩემპიონატისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

„*ჯერ კიდევ ორი წლის წინათ წარმოუდგენელი იყო ის, რომ გერმანიის ნაკრების პირველ მეკარეს სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონოდა. რა ხდება? ნუთუ მსოფლიოში სახელგანთქმულ გერმანულ სამეკარეო სკოლას გაუჭირდა? მოკლედ, ლემანის უთამაშებლობა სერიოზული პრობლემაა და ეს იენსმაც იცის. მას ნამდვილად აქვს კლასი, რომ მიუხედავად ამისა, ევროპის ჩემპიონატზე სტაბილურად ითამაშოს, მაგრამ არავინ იცის, რომელ თამაშში იჩენს თავს სათამაშო პრაქტიკის არქონა. სწორედ ამიტომ, ძალიან მიკვირს, „დორტმუნდში" გადასვლაზე უარი რომ განაცხადა,*" – აცხადებს ოლი.

დაბოლოს: კანს უნდა, რომ „ბაიერნის" ქომაგებს მიუნხენის „მარიენპლატცზე", იქ სადაც რეკორდმაისტერი ფანებს ტიტულით წარუდგება ხოლმე, რომელიმე ან ყველა თასით გამოეთხოვოს – „ვერცხლის სინით", გერმანიის თასით, უეფას თასით ან სამივეთი ერთად. შეგახსენებთ, რომ 20 წლიანი კარიერის მანძილზე კანმა შვიდჯერ იზეიმა გერმანიის ჩემპიონობა, ხუთჯერ გერმანიის თასის მოგება, თითოჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი და საკონტინენტთაშორისო თასი. „ბაიერნში" ის 1994 წლიდან თამაშობს, როცა რეკორდმაისტერს „კარლსრუედან" მიაშურა. სანაკრებო დონეზე კი კანი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კლინსმანს ფსიქოლოგი მოჰყავს

## რევოლუციის პირველი ნიშანი: ჰიონესმა ჯერ არ იცის, დაჯდება თუ არა კლინსის გვერდით...




რა იქნება ბაიერნში კლინსმანის მოსვლის შემდეგ?

ესპანეთი, მარბელია (ანდალუსია). საფეხბურთო მოედანი. აქ მიუნხენის „ბაიერნი" ვარჯიშობს, ბავარიული გიგანტი გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის ემზადება. სხვათა შორის, გვერდითა მოედანზე დორტმუნდის „ბორუსიის" ვარჯიში მიმდინარეობს – შეკრებას ვესტფალიელებიც მარბელიაში გადიან. **ოტმარ ჰიტცფელდი** მოედნის ცენტრში დგას და ერთ ნახევარზე მიმდინარე მოვლენებს გულმოდგინედ აკვირდება. ცოტა ხნის წინათ მან შემტევ ფეხბურთელებს მცველების წინაამდეგ თამაში დაავალა. **სანიოლი-ლუსიო-დემიკელისი-ლამი** – ეს დაცვაა, მათ წინ კი **ჰამით ალთინთოფი** და **ტონი კროოსი** მოძრაობენ. ჰიტცფელდი დროდადრო შეგირდებს შეუძახებს ხოლმე. აი, **შვაინშტაიგერი** მარჯვენა ფლანგზე შეყოვნდა, მის წინ **ფილიპ ლამი** დგას. შვაინიმ არ იცის, როგორ მოიქცეს, ჰიტცფელდი ყვირის: *„დრიბლინგ, ბასტი!"* შვაინი ცდილობს, მაგრამ ლამი ბურთს ართმევს...

მენეჯერი **ული ჰიონესი** ტრადიციულად სათადარიგოთა სკამზე ზის, მაგრამ ამ მომენტში მოედანს არ უყურებს – მობილურ ტელეფონებს (2 აქვს) უკირკიტებს, ზარებს არჩევს და მისი ტელეფონები სხვადასხვა ჰანგებს გამოსცემს. ულისთვის ზარი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტელეფონი თითქმის ყოველ 5 წუთში ერთხელ ურეკავს. უმეტესად **იურგენ კლინსმანის** დანიშვნას ულოცავენ. ჰიონესი დამშვიდებულია მას მერე, რაც კლინსმანი წარადგინა და ახლა მხოლოდ ის უნდა, რომ ეს სეზონი „ბაიერნმა" წარმატებით დაასრულოს, რათა კლინსმანის მშვიდ ატმოსფეროში მოვიდეს. იქვეა **კარლ-ჰაინც რუმენიგეც**, რომელმაც კიდევ ერთხელ აღნიშნა, **ლოთარ მათეუსი** „ბაიერნის" მწვრთნელობის კანდიდატი არასდროს ყოფილა, აი, **იურგენ კლოპს** კი მართლაც ველაპარაკეთო.

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე უინტერესოა. მწვრთნელი სახეზეა – კლინსმანი მოდის. და ამრიგად, არაერთი საკადრო საკითხია გასარკვევი და დასაგეგმი. ჰიონესმა უკვე იცის, რომ *„სამწვრთნელო შტაბი გაიზრდება და მასში გაცილებით მეტი სპეციალისტი შევა, ვიდრე ახლაა"* და რომ *"კლინსმანი თავის შტაბს თავადვე დააკომპლექტებს."* თითქმის გადაწყვეტილია, რომ კლინსი რამდენიმე სპეციალისტს აშშ-დან ჩამოიყვანს. მეკარეების მწვრთნელ **ზეპ მაიერს** სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და იურგენი ალბათ არც ამ უკანასკნელთან მოისურვებს თანამშრომლობას და გუნდში მეკარეების ახალ მწვრთნელს მოიყვანს. გეხსომებათ, კლინსიმ ზეპ მაიერი გერმანიის ნაკრებიდანაც დაითხოვა და მის ადგილზე **ანდრეას კიოპკე** დანიშნა, რომელიც ახლაც ბუნდესმეკარეების მწვრთნელია. ზეპის მარჯვენა ხელი **ბერნდ დრეერია** და გამორიცხული არაა, რომ კლინსმანმა ეს უკანასკნელი დატოვოს.

გაირკვა, რომ **იენს ლემანს** ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიუნხენში გადასვლა სურს და თავისი მომავალი ან "ბაიერნის" მეორე მეკარის ან მეკარეების მწვრთნელის რანგში წარმოუდგენია. პირველი ვარიანტი ჰიონესისთვის 100 პროცენტით გამორიცხულია. ული ამბობს, ახლა **მიხაელ რენზინგს** ლემანი რომ ჩამოვუყვანოთ, ნამდვილად ჭკუიდან შეიშლებაო. გადაწყვეტილია, რომ რეკორდმაისტერის პირველი მეკარე რენზინგი იქნება და ჯერჯერობით ამ გადაწყვეტილების შეცვლის საბაბი ან სურვილი არცერთ მხარეს არა აქვს, არც ბოსებს, არც მომავალ მწვრთნელს და მით უმეტეს, არც თვითონ რენზინგს.

...და აი, რენზინგმა გოლი გაუშვა – **სოსას** მისი კარი აუღებელი დარტყმით დალაშქრა. ჰიონესმა მოედანს გახედა და ტაში დაუკრა. „ბაიერნის" მენეჯერი სოსას გოლმა ძალიან გაახარა და თან გააბრაზა – სწორედ სოსაზე ამბობენ, მისი ყიდვა დიდი შეცდომა იყო და მასში გადახდილი თანხა წყალში გადაყრილი ფულიაო. *„რამდენ ხანს გაუგრძელდა რობინიოს „რეალში" ადაპტაციის პერიოდი? მინიმუმ ერთი წელი, არა? სოსა „ბაიერნის" ვარკსვლავი გახება,"* – ამბობს ჰიონესი და ხელებს იფშვნეტს.

სოსა ერთ-ერთი კანდიდატია მარჯვენა ფლანგზე – **ბასტიან შვაინშტაიგერთან**, **ჰამით ალთინთოფთან** და **ტონი კროოსთან** ერთად. ზაფხულიდან ამ კვარტეტს **ტიმ ბოროვსკიც** შეუერთდება. რატომ ყველანი მარჯვენა ფლანგზე? იმიტომ, რომ მარცხნივ **ფრანკ რიბერი** უკონკურენციოა, მას ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული აქვს. მართალია, ბოროვსკიმ კლინსმანის ხელში ბუნდესგუნდში ნახევარად მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ოთხჯერ ითამაშა, მაგრამ "ბაიერნში" ამ პოზიციაზე თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევს, თუ რიბერი დაშავდება ან დისკვალიფიცირებული იქნება.

*„ბოროვსკის შეუძლია, მარჯვნივ ითამაშოს,"* – ამბობს მენეჯერი და ისიც იცის, რომ ეს შვაინშტაიგერისთვის მაინცა და მაინც სასიხარულო სიახლე არ იქნება, რადგან გამოდის, რომ ტიმი სწორედ შვაინის კონკურენტი იქნება. ამრიგად, შვაინშტაიგერმა ბუნდესლიგის მეორე წრეში უნდა დაამტკიცოს, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშის ღირსია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიონესი მის გასხვისებაზე იფიქრებს, თუმცა შვაინის სანაცვლოდ 15-დან 20 მილიონ ევრომდე მოითხოვს. იგივე ეხება **ლუკას პოდოლსკისაც**, რომელსაც მსურველები არ აკლია. „შტუტგარტი" მზადაა, „პოლდის" შესახებ „ბაიერნთან" მოლაპარაკებები ნებისმიერ დროს დაიწყოს.

ბოროვსკის ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ამრიგად, ის ნაწილობრივ **ზე რობერტოსა** და **მარკ ვან ბომელის** კონკურენტადაც განიხილება, მაგრამ ბრემენელი ტიპური საყრდენი არასდროს ყოფილა. მაგალითად ისეთი, როგორიც რომაელი **დანიელე დე როსია**. სხვათა შორის, ბავარიელებს ამ უკანასკნელზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევიათ და მის გადაბირებას ზაფხულშიც ეცდებიან. ისე, საყრდენის პოზიციაზე თამაში ლამსაც შეუძლია – ეს გერმანიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის დროს გამოჩნდა. იმ შეხვედრაში ლამმა საყრდენის ფუნქციები იდეალურად შეასრულა. ცნობილია, რომ ლამი, რომელსაც „ბაიერნთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს, „ბარსელონას" სასურველ ფეხბურთელთა სიაშია. „ბაიერნის" შეფებს მასთან, ისევე, როგორც **ანდრეას ოტლთან**, კონტრაქტის გაგრძელება სურთ. ჰიონესი ახალ ხელშეკრულებას **კრისტიან ლელსაც** უმზადებს.

წინდაწინვე ცნობილია, რომ ზაფხულში **დანიელ ვან ბუიტენს** მიუნხენიდან აბარგება მოუწევს. ამ უკანასკნელის ხელშეკრულებას ვადა 2010 წელს გასდის, მაგრამ შანსი იმისა, რომ ის კლინსმანის ფორმაციის „ბაიერნში" დარჩეს, ძალიან მცირეა. ვან ბუიტენს ბრიტანული კლუბები, „ევერტონი", „ტოტენჰემი", „სანდერლენდი", „ფულჰემი" და გლაზგოს „სელტიკი" ეპატიჟებიან. აყლაყუდა მცველს მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყია და ამბობს, პირველ რიგში „ბაიერნზე" ვფიქრობო, მაგრამ იქვე ამატებს, თამაში მინდა და თუ არ მათამაშებენ, ცხადია, წასვლაზე ვიფიქრებო. წასვლაზე მოუწევს ფიქრი, რადგან ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიას არავინ აძლევს. ჰიტცფელდის თქმით, მეორე წრეში დაცვის ცენტრს **ლუსიო** და **მარტინ დემიკელისი** გაამაგრებენ და იქვეა ბრაზილიელი **ბრენოც**, რომელიც მიუნხენელებმა 12 მილიონ ევროდ იყიდეს. *„ჯერ იანვარიც არ გასულა,"* – ამბობს ვან ბუიტენი და დასძენს, - *„ზაფხულამდე მოვიცდი და მერე ვნახოთ."* *როგორც ჩანს, ის რეკორდმაისტერში ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას დაელოდება.*

კლინსმანის ნომერ პირველი გეგმა „ბაიერნში" გამოცდილი ფსიქოლოგის მიყვანაა. „ბაიერნის" ხელმძღვანელები საფეხბურთო გუნდში ფსიქოლოგის ინსტიტუტის არსებობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ფსიქოლოგის ფუნქციები მთავარ მწვრთნელს უნდა შეესრულებინა. ახლა კი ჰიონესი ამბობს: *„თუკი ეს გუნდს დაეხმარება, ამაზეც თანახმა ვართ. მთავარია, რომ წარმატებებს მივაღწიოთ."*

როგორც ჩანს, ჰიონესი და რუმენიგე კლინსმანს სრულ კარტ-ბლანშს აძლევენ. თავად განსაჯეთ, მენეჯერმა ჯერ ისიც კი არ იცის, დაჯდება თუ არა მომდევნო სეზონში სათადარიგოთა სკამზე კლინსმანის გვერდით, როგორც ამას აქამდე აკეთებდა. სწორედ კლინსმანთან კონსულტაციების მერე გადაწყდება, გადაინაცვლებს თუ არა ჰიონესი მატჩების დროს ტრიბუნაზე...

**გოტფრიდ ლენცი**



შალკელები ახალ ამპლუაში: წინა პლანზე ჯერალდ ასამოა, მის უკან ალბერტ შტრაიტი.

გელზენკირხენის „შალკე" ბუნდესლიგის მეორე წრისთვის უდიდესი მონდომებით ემზადება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდის მოსამზადებელი შეკრება, რომელიც თურქულ ბელეკში დაიწყო და გელზენკირხენში გრძელდება, ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე საინტერესოა ბუნდესლიგური კლუბების შეკრებებს შორის.

შალკე

# ლურჯ კუთხეში: შალკე 04!

## 17 რაუნდი ვერცხლის სინამდე. სლომკამ ფეხბურთელები კრივში გამოსცადა...

მოკლედ, „ხუმარები" აღარ ხუმრობენ – გუშინწინ S04-ის მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** კობიაშვილი და სხვა შეგირდები გელზენკირხენის კრივის კლუბში წაასხა. დიახ, ეს სიმართლეა: შალკელებმა ძალები მათთვის სპორტის ახალ სახეობაში, კრივში მოსინჯეს. კობიაშვილთან და კომპანიასთან ერთად WBA-ს მსოფლიოს ჩემპიონმა 29 წლის **რუსლან ჩაგაევმა** ივარჯიშა. ამ უკანასკნელმა, რომელსაც შაბათს დიუსელდორფში ინგლისელი **მატ სკელტონის** წინააღმდეგ მოუწევს რინგზე გასვლა, შალკელებთან ისპარინგა.

*„ეს არ იყო უკანასკნელი შემთხვევა, როცა ბიჭები კრივში ნავავარჯიშე. ჩემმა შეგირდებმა ამით უდიდესი სიამოვნება მიიღეს და სხვათა შორის, არა მხოლოდ სიამოვნება, რადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ კრივის ვარჯიშები მოედანზეც წაადგებათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა იმისთვის, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ნოკაუტში ჩააგდონ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელმა სპორტის სხვა სახეობები გაიცნოს,"* – განაცხადა სლომკამ ვარჯიშის შემდეგ.

შალკელები კრივის გელზენკირხენული კლუბის ხელთათმანებით იყვნენ შეიარაღებულნი და მუშტები ჯერ კედელს ურახუნეს, მერე კი ერთმანეთს. *„მარჯვნიდან, მარცხნიდან, ქვემოდან, ზემოდან"* – ყვიროდა სლომკა და უხაროდა, რადგან მის ბიჭებს ყველაფერი კაერგად გამოსდიოდათ. პუბლიკა განსაკუთრებით მაშინ გამხიარულდა, როცა ჩაგაევის სპარინგ-პარტნიორის რანგში **ჯერალდ ასამოა** წარსდგა. ჩაგაევმა ასას ლეგენდარული ალის ილეთი ასწავლა, რომელიც ჯერალდს, სხვათა შორის, ძალიან კარგად გამოუვიდა. *„ძალიან მეშინოდა, რომ ცხვირში არ მოერტყა. მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა,"* – ეს ასამოას სიტყვებია.

მერე კი, ჩაგაევს „შალკეს" კაპიტანი **მარსელო ბორდონიც** ესპარინგა და ერთ მომენტში გამობრძედილ მოკრივეს ისეთი მოსდო, რომ მერე შეეშინდა, სამაგიეროს არ გადამიხადოსო და რინგიდან გაიქცა. ამ ფაქტს მთელი გუნდის ხორხოცი მოჰყვა. თანაგუნდელები ბორდონს რინგზე დაბრუნებას სთხოვდნენ, მაგრამ ბრაზილიელი იქამდე არ დაბრუნდა, სანამ ჩაგაევისგან გარანტია არ მიიღო, რომ რევანშს ადგილი არ ექნებოდა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ ჩაგაევმა ჟურნალისტებს განუცხადა, „შალკეში" ყველაზე ნიჭიერი მოკრივე **მანუელ ნოიერიაო**. მართლაც, გელზენკირხენელთა 21 წლის მეკარემ ისე იოლად აულო ყველაფერს ალღო, რომ ჩაგაევის მწვრთნელმა მას კრივში გადასვლა შესთავაზა.

ერთი სიტყვით, „შალკე" უკვე მუშტებს იქნევს და გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდეც სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. სლომკამ თქვა, ჩვენი უმთავრესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებააო, მაგრამნ ყველამ იცის, რომ მთელი გელზენკირხენი „ვერცხლის სინზე" ოცნებობს. 3 თებერვალს „ხუმარები" „შტუტგარტს" შეხვდებიან. ეს იქნება პირველი რაუნდი იმ 17-დან, რაც „შალკეს" სეზონის ბოლომდე დარჩა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ანდრეს ინიესტასთან

# რეალთან ჩამორჩენის ამოქაჩვა ძალიან ძნელია

## ...თუმცა შეუძლებელიც არაფერია. მთავარია, კატალონიელებმა სტაბილურობას მიაღწიონ...

**"ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონში მადრიდის "რეალს" ქულათა სერიოზული სხვაობით წინ გაჭრის საშუალება მისცა. მოგეხსენებათ, კატალონიური გრანდი მოსისხლე მტერს შვიდი ქულით ჩამორჩება. დედაქალაქელთა დამაჯერებელი თამაშის გათვალისწინებით ძნელი წარმოსადგენია, რომ ფრენკ რაიკაარდის შეგირდებმა ამ ჰანდიკაპის ამოქაჩვა შეძლონ... თუმცა ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფეხბურთს ძალიან ბევრი სასწაული და სენსაცია ახლოვს. ასეც რომ არ იყოს, კატალონიური გრანდის ფეხბურთელები ბრძოლის ვადამდე შეწყვეტას მაინც არ დააპირებდნენ. მით უმეტეს, რომ წინ ნახევარი სეზონია. "ბარსას" უნიჭიერესმა ნახევარმცველმა, ანდრეს ინიესტამ "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში სწორედ ამ გარემოებაზე ისაუბრა. მისი თქმით, სამეფო კლუბი უდიდეს უპირატესობას ფლობს, თუმცა შუსტერის ბიჭებს განალდებული ჯერ არაფერი აქვთ.**

**- "რეალი" ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებას გამოეთიშა...**

- მე მხოლოდ მომხდარი ფაქტის კონსტატაცია შემიძლია. დიახ, "რეალი" ესპანეთის სამეფო თასიდან გამოვარდა, მაგრამ ეს მე არც მაღელვებს და არც მახარებს. მერწმუნეთ, პირადად ჩემთვის ეს აბსოლუტურად სულ ერთია. ვფიქრობ, "ბარსელონის" ფეხბურთელებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკუთარი თამაშია. ვალდებულები ვართ, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ წინ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრიმერა დივიზიონში დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ. დარწმუნებული გახლავართ, სეზონის განმავლობაში არაერთხელ მოგვეცემა იმის შესაძლებლობა, რომ მადრიდელებთან არსებული ჰანდიკაპი ამოვქაჩოთ. ჩვენ სწორედ ამ დღეებისთვის უნდა ვიყოთ მზად. ასე რომ, მთელი კონცენტრაცია საკუთარი სამუშაოსკენ უნდა მივმართოთ.

**- როგორ ფიქრობთ, თასის გათამაშებიდან გამოვარდნა "რეალს" ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ მოაქცევს? თუ მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდება, "ბარსელონას" ცხოვრება ერთი-ორად გაუადვილდება...**

- მოდით, ასე ვთქვათ, რომელიმე ტურნირიდან გამოვარდნა ყოველთვის ძალიან მტკივნეულია. მიზეზი მარტივია, სამეფო კლუბი წელს ესპანეთის სამეფო თასს ველარ დაეუფლება. დარწმუნებული ვარ, მადრიდელები ახლა ძალიან ცუდ ხასიათზე იქნებიან, მაგრამ იმაშიც არ მეპარება ეჭვი, რომ იმედგაცრუებას მალე დაძლევენ და ჩვეულებრივად ათამაშდებიან. კაცმა რომ თქვას, ახლა მათ უფრო მეტი დრო ექნებათ იმისათვის, რომ პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგისთვის გაცილებით უკეთ მოემზადონ. მოკლედ, ბრძოლა გრძელდება და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი გუნდი რომელი ტურნირიდან გამოვარდა.

**- პირველი წრის შემდეგ სამეფო კლუბს შვიდი ქულით ჩამორჩებით. ხომ არ გვეტყვით, როდის დაკარგეთ სიტუაციაზე კონტროლი?**

- ალბათ, გულისხმობთ, როდის შეგვექმნა ის სირთულეები, რის გამოც მადრიდელებს სოლიდური სხვაობით წინ გაჭრის საშუალება მიეცათ. სამწუხაროდ, რამდენიმე ტურში შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოვამჟღავნეთ და ქულები დავკარგეთ. განსაკუთრებით მტკივნეული, რა თქმა უნდა, სუპერკლასიკოში განცდილი მარცხი აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, რომ მოგვეგო, სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ 1 ქულა იქნებოდა... მაგრამ წავაგეთ და მადრიდელებმა ერთბაშად 7 ქულით გაგვასწრეს. ვფიქრობ, სწორედ 23 დეკემბრის ღამეს დავკარგეთ სიტუაციაზე კონტროლი. ბუნებრივია, ჩვენი გულშემატკივრებისთვის "რეალთან" მარცხი ორმაგად მტკივნეული გახლდათ. ინჩასებს შობა ჩავაშხამეთ. მეორე დღეს ტელევიზორი ჩავრთე და გული შემიწუხდა. ყოველი სიუჟეტი სასოწარკვეთილი ქომაგების ინტერვიუებით იყო დახუნძლული. ხალხი გამწარებას, სასოწარკვეთილებასა და იმედგაცრუებას ვერ მალავდა. ამის შემხედვარემ ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. მრცხვენოდა, რომ წავაგეთ და კატალონიელ ფანებს გული ვატკინეთ.

**- მგონი, საქმე მხოლოდ ერთ წაგებაში არ არის. თუნდაც ეს სუპერკლასიკოს ეხებოდეს...**

- გეთანხმებით, "ბარსელონას" ქულები მხოლოდ ამ შეხვედრაში არ დაუკარგავს. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სტუმრად ძალიან უსახურად ვთამაშობდით და ქულებს ვანიავებდით. მსგავს სიტუაციაში შეუძლებელია, კარგი შედეგი მიიღო. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ყოველ დღე გვიწევს იმის გაცნობიერება, რომ მადრიდის "რეალი" შვიდი ქულით გვისწრებს. იმედია, ამ უქმეების შემდეგ ჩამორჩენა ოთხ ქულამდე დავა. არ დავმალავ, დედაქალაქურ დერბიში "ატლეტიკოს" ვუქომაგებ.

**- მადრიდულ დერბიზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბროთ. მანამდე ისევ "ბარსელონის" პრობლემებს შევეხოთ. თავად აღნიშნეთ, რომ გასვლით შეხვედრებში ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდით. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

- ჩემი აზრით, ამ წარუმატებლობებს რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. მათ შორის, უიღბლობა...

**- მეჩვენება, რომ უსიამოვნო საუბარს თავს არიდებთ. შეუძლებელია, მხოლოდ უიღბლობა იყოს დაკარგული ქულების მიზეზი. პრინციპში თქვენც თქვით, რომ რამდნეიმე მიზეზი არსებობს, მაგრამ რატომღაც მხოლოდ უიღბლობაზე ჩამოაგდეთ სიტყვა...**

- არა, რთულ კითხვებზე პასუხის გაცემას არ გავურბივარ. უბრალოდ აღვნიშნე, რომ უიღბლობა ერთ-ერთი მიზეზი იყო. კიდევ არასტაბილურობაზე შეიძლება ვისაუბროთ. "კამპ ნოუზე" აბსოლუტურად განსხვავებულად ვთამაშობდით. სტუმრად კი რაღაც გვემართებოდა და შესაძლებლობების მინიმუმსაც ვერ ვამჟღავნებდით. ცნობილი ამბავია, რომ "ბარსელონის" წინააღმდეგ ნებისმიერი გუნდი განსაკუთრებული შემართებით თამაშობს. ჩვენი დამარცხება მათთვის პრესტიჟის საქმეა... თუმცა ეს ნამდვილად არ გვამართლებს. შესაძლოა, მოთამაშეთა დიდი ნაწილი არ არის სასურველ ფორმაში. არ ვიცი, ამ საკითხზე მთავარი მწვრთნელი უფრო კომპეტენტურად ისაუბრებს.

**- პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ "ბარსელონამ" მსოფლიო ფეხბურთში ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს ფეხი ვერ აუბა.**

- არ მსურს, საკუთარ კომპეტენციას გადავაჭარბო. სხვათა შორის, ასეთი შეფასება სხვებისგანაც მომისმენია. ამბობენ, რომ თანამედროვე ფეხბურთი ყოველ დღე პროგრესირებს და "ბარსელონა" ამ პროცესს ჩამორჩა. დამნაშავედ პირდაპირ ფრენკ რაიკაარდს ასახელებენ. მე რიგითი ფეხბურთელი ვარ, საკუთარი ყოველდღიური საქმიანობით გახლავართ შემოფარგლული და შესაძლოა, კომპეტენტური პასუხი ვერ გაგცეთ... თუმცა მიმაჩნია, რომ რაიკაარდი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. დიახ, ფეხბურთი სისტემატურად პროგრესირებს და ამ პროცესში რაიკაარდი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ის ნოვატორი მწვრთნელია. მკვლევარ მეცნიერს შევადარებდი. არასოდეს კმაყოფილდება ერთხელ აღმოჩენილით და მუდამ ახალს ეძებს. დღეს "ბარსას" გარკვეული პრობლემები აქვს, მაგრამ ის გამონაკლისი არ არის. მსგავს სიტუაციაში სხვა გრანდებიც არაერთხელ აღმოჩენილან. ახლა დამნაშავის ძიება კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ზედაპირზე ამოტივტივება შევძლოთ.




ანდრეს ინიესტა

**- გულწრფელად მითხარით, გჯერათ, რომ შვიდქულიანი ჩამორჩენის ამოქაჩვა შესაძლებელია?**

- "რეალის" სტაბილურობისა და დამაჯერებელი თამაშის გათვალისწინებით გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩამორჩენის ამოქაჩვა ძალიან გაგვიჭირდება. ამავდროულად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შეუძლებელი არაფერია. თუ მეორე წრეში მაღალ დონეზე ვიასპარეზებთ და შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვამჟღავნებთ, ჩემპიონები გავხდებით. რა თქმა უნდა, 100 პროცენტით საკუთარ თავზე აღარ ვართ დამოკიდებულები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობის სოლიდურ შანსებს არ ვფლობთ. ყველაფერი ჯერ მაინც წინ არის. "სანტიაგო ბერნაბეუზე" აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მანამდე კი სხვა გუნდებთან ღირსეული და წარმატებული თამაში გვმართებს. წარმატების გზა სწორედ მათზე გადის. ამ შეხვედრებში უნდა დავამტკიცოთ, რომ სტაბილური გუნდი ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა.

**- ჩემპიონთა ლიგა არცთუ ძალიან შორსაა. როგორ ფიქრობთ, ფლეი ოფს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდებით?**

- პრიმერა დივიზიონისგან განსხვავებით ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ფლეი ოფის პირველ რაუნდში გამარჯვების შესანიშნავი შანსი გვაქვს. მართალია, "სელტიკს" უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ "ბარსელონა" გაცილებით უფრო მაღალი დონის გუნდია და ყველა წესის მიხედვით უნდა გაიმარჯვოს. რა თქმა უნდა, ფეხბურთში სენსაცია ხშირად ხდება, მაგრამ ამჯერად სენსაციის მოხდენას ჩვენ არ დავუშვებთ (იცინის).

**- დარწმუნებული ვარ, ერთი წლის წინაც ასევე თავდაჯერებული იყავით, მაგრამ "ლივერპულთან" სერიოზული კრახი განიცადეთ.**

- წაგება სრული ფიასკო იყო. ამაში გეთანხმებით, მაგრამ კრახი ცოტა გადამეტებული ნათქვამია. შარშანდელი უსიამოვნება ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენეთ. ამჯერად უფრო მეტი პასუხისმგებლობით, სიფრთხილითა და შემართებით ვითამაშებთ. არ ვიცი თქვენ როგორ მიიღებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, 100 პროცენტით გახლავართ დარწმუნებული, "სელტიკის" ბარიერს გართულების გარეშე გადავლახავთ. რა თქმა უნდა, "ბარსელონის" მიზანი მხოლოდ ამ სტადიის დაძლევა არ არის, მაგრამ ყველა შეთანხმებულები ვართ, რომ ფინალისაკენ მიმავალ გზაზე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ.

**- კიდევ ერთხელ გთხოვთ, გულწრფელად მიპასუხოთ. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უფრო გაგახარებთ, თუ პრიმერა დივიზიონში?**

- ძნელი სათქმელია. პირადად მე ჩემპიონთა თასი უფრო გამახარებდა, მაგრამ "ბარსელონა" გაცილებით, მე ვიტყოდი შეუდარებლად უფრო დიდია ვიდრე მისი რომელიმე ერთი მოთამაშე. შესაძლოა, ეტოოს პრიმერა დივიზიონი უფრო ხიბლავდეს. ამიტომ, ვალდებულები ვართ, ერთმანეთისთვის ყველა ფრონტზე ბოლომდე ვიბრძოლოთ. ისე კი გამოგიტყდებით, წელს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უფრო იოლ ამოცანად მეჩვენება.

**- იმიტომ, რომ ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული?**

- (იცინის) არის ამაში სიმართლის მარცვალი. სამწუხაროა, მაგრამ ყოველთვის მოგვიწევს იმის აღიარება, რომ "რეალი" გვისწრებს. რაც უფრო მალე აღმოვფხვრავთ ამ სხვაობას, მით უფრო მშვიდად ვიგრძნობთ თავს. თუმცა ილუზიებით არ უნდა ვისაზრდოოთ. ცამორჩენის ამოქაჩვას უახლოეს დროში არ უნდა ველოდოთ. "რეალი" უპირატესობას სამ ტურში, რა თქმა უნდა, არ გაფლანგავს. ეს ხანგრძლივი პროცესია. მოთმინება უნდა ვიქონიოთ.

**- ამ უქმეებზე "ატლეტიკოსა" და "რეალის" დერბია. როგორც გაგვიმხილეთ, "როხიბლანკოს" ქომაგობთ. გჯერათ, რომ აგირეს ბიჭებს სამეფო კლუბის დამარცხება შეუძლიათ?**

- რატომაც არა. მათ მთელი სულით და გულით ვუქომაგებ. "ატლეტიკო" საკუთარ სტადიონზე ძალიან ძლიერად თამაშობს. შუსტერი გუნდს დიდი ხანია პრიმერა დივიზიონში არ წაუგია. იქნებ დრო დადგა? იმედია, ასეა (იცინის). ძალიან ვწუხვარ, რომ სხვა გუნდების თამაშებზე დამოკიდებულები გავხდით. ვაღიარებ, ყველაფერი ჩვენი ბრალია.

**- რაიკაარდმა ძირითადი შემადგენლობის განუყოფელ ნევრად გაქციათ. ელოდით, რომ ამხელა კონკურენციის პირობებში სისტემატურად ძირითადში ითამაშებდით?**

- ამპარტავნება არასოდეს მახასიათებდა. არც ახლა მინდა, ხმამაღალი განცხადება გავაკეთო. უბრალოდ, პრეტემპორადაზე ძალიან ბევრს ვმუშაობდი. დაუღალავად ვვარჯიშობდი. რაიკაარდი, რა თქმა უნდა, ყველაფერს კარგად ხედავდა. მან შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მომცა და მას შემდეგ მართლაც თითქმის ყოველთვის ვთამაშობ. შესაძლოა, როტაციის პრინციპიდან გამომდინარე, სათადარიგოთა სკამზეც მომიხდეს დაჯდომა. პრობლემა არ არის. ჩვენი ამბიციებით მწვრთნელს თავისუფლად მუშაობის საშუალება არ უნდა მოვუსპოთ.

### ფუენტესისთვის სეზონი დასრულდა

"ვილიარეალს" დიდი უბედურება შეემთხვა. "ყვითლების" ნახევარმცველს **ფაბრიციო ფუენტესს** მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. ვალენსიელი ექიმების თქმით, ტრავმა უმძიმესია. საქმე ის არის, რომ ფუენტესს აბსოლუტურად ყველა მყესი გაუწყდა, რაც მკურნალობის დროს მნიშვნელოვნად ზრდის. "ვილიარეალის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ წერილში ვკითხულობთ, რომ ფაბრიციოსთვის სეზონი დასრულებულია. **მანუელ პელეგრინი** შეგირდის გასაჭირით უკიდურესად შეწუხებულია: *"დასანანია, რომ ფაბრიციოს ასეთი რამ შეემთხვა. კურიოზული ინციდენტის მსხვერპლი შეიქნა. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ფუენტესის გარეშე "ვილიარეალის" ფლანგი გაცილებით ცუდად იქნება დაცული. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფაბრიციო საკუთარ საქმეს ყველაზე საიმედოდ უმკლავდებოდა."*

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს რაში მდგომარეობდა პელეგრინის მიერ ნახსენები კურიოზული ინციდენტი. საქმე ის არის, რომ ფუენტესმა მართლაც ჯოჯოხეთური ტრავმა "რეკრეატივოსთან" სათასო შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღო. "ვილიარეალის" ფეხბურთელები ფიზმომზადების სპეციალისტმა ტრადიციულ მოთელვაზე გაიყვანა. ფაბრიციომაც ფეხი უხერხულად დაადგა და ლაზარეთში ძალიან დიდი ხნით ამოჰყო თავი.

### მესი დაბრუნდა

"ბარსელონის" გულშემატკივრები ბედნიერებისგან ცას ეწიენენ. ბაზაზე მისულმა ინჩასებმა შენიშნეს, რომ **ლეო მესი** სრული დატვირთვით ვარჯიშობდა. ფანებმა ისეთი ყიჟინა დასცეს, **რაიკაარდმა** რამდენიმე წუთით ვარჯიშიც კი შეწყვიტა.

გაირკვა, რომ მესის ბარძაყის განყვეტილი კუნთი შეუხორცდა. ფიზმომზადების სპეციალისტები მისი მზადების დინამიკით კმაყოფილები არიან. თუ "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, მომავალ უქმეებზე ლეო ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. შეგახსენებთ, უნიჭიერეს არგენტინელს "მესტალიაზე" მიღებული ტრავმის გამო ზუსტად ერთი თვე გაუცდა.

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები. პირველი ლიგა

# გათვლები ბოლო ტურის წინ


სოფიკო გურამიშვილი

ერთი ტურიც და დასრულდება საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება. მთავარი ამოცანა პირველ შვიდეულში მოხვედრაა, რაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას იძლევა. თავიდან 40 მონაწილე შეიკრიბა, გუშინ მათი რიცხვი 38-მდე შემცირდა და არაა გამორიცხული, ერთიორი დღესაც არ გამოცხადდეს, თუმც ასეთი მხოლოდ აუტსაიდერი თუ იქნება, რაც ცხრილში ვერაფერს შეცვლის.

გუშინდელი, ბოლოსწინა ტური ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ - ყველას ვერა, მაგრამ რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა კი შეეძლო. გუშინ ვივარაუდეთ, რომ პირველ დაფაზე მსხდომი ორი თელაველი მოჭადრაკე საბრძოლო განწყობით არ მიუსხდებოდა დაფას და ყაიმზე იოლად შეთანხმდებოდნენ. ასეც მოხდა: **ქეთი ნანალაშვილმა** და **ბელა ხოტენაშვილმა**, რომელთაც 5.5 ქულა ჰქონდათ, ზავი მერვე სვლაზე გააფორმეს და შვიდეულში ადგილი დაიბევეს.

ასეთივე გზა აირჩიეს მეორე დაფაზე მსხდომმა **სოფიკო გურამიშვილმა** და **ინგა ჭარხალაშვილმა**. სოფიკოს 5.5 ქულა ჰქონდა და ყაიმი მასაც უნაღდებდა უმაღლესი ლიგის საგზურს, ჭარხალაშვილს კი ნახევარი ქულით ნაკლები გააჩნდა, ამიტომ გადაჭრით ვერ ვიტყოდით - ყაიმი მასაც მოაწყობდა თუ არა.

ასეთი კითხვები სხვების შემთხვევაშიც ჩნდებოდა და ერთობ დამაინტრიგებელი სიტუაცია შეიქმნა. ინგამ არჩევანი გააკეთა და სოფოს ყაიმზე შეუთანხმდა. ამით 16 წლის ნანალაშვილთან ერთად 17 წლის გურამიშვილსაც მიეცა უმაღლესის საგზური.

ინგა კი ნილისყრის შედეგს დაელოდა. ოდნავ წინ ავასწორებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ სასურველი მეტოქე შეხვდა - **ქეთი ნანალაშვილი**. დიდი მისნობა ნამდვილად აღარ ჭირდება იმას, რომ ესენი დღეს ყაიმზე შეთანხმდებიან და ჭარხალაშვილიც უმაღლესში მოხვდება.


ქეთი ნანალაშვილი

გამოდის, რომ ოთხი საგზურის მფლობელი უკვე ცნობილია: გურამიშვილი, ნანალაშვილი, ხოტენაშვილი და ჭარხალაშვილი. თუმცა გავბედავთ და კიდევ ორს წინასწარ დავასახელებთ: **სოფიკო ნიკოლაძე** და **თამარ წერეთელი**. საქმე ის არის, რომ ნიკოლაძე დღეს გურამიშვილს ხვდება, - ცხადია, აქაც ისეთივე სცენარი გათამაშდება, როგორიც ჭარხალაშვილ-ნანალაშვილის შემთხვევაში. აქ ერთი განსხვავებაა - ნიკოლაძეს 6 ქულა აქვს და თითქოს განაღდებული უნდა ჰქონდს საგზური, მაგრამ სამაგიეროდ დაბალი კოეფიციენტი აქვს და მარცხის შემთხვევაში დიდი შანსია, სხვებმა გადაასწრონ...

ნიკოლაძემ გუშინ პრინციპულ შეხვედრაში თეთრებით **ინგა ხურცილავა** დაამარცხა. თამარ წერეთელს 5.5 ქულა კი მოუგროვდა და თითქოს მხოლოდ გამარჯვება უნდა აძლევდეს ხელს, მაგრამ ალბათ ყაიმითაც გავა ფონს, ამ შემთხვევაში იმის შანსიც არსებობს, რომ შვიდეულს მიღმა დარჩეს: 5.5 ქულა სხვას არავის აქვს, 5-ქულიანი კი ერთბაშად ექვსი მონაწილეა.

ესენი ყველა ერთმანეთთან დაწყვილდნენ და მაქსიმუმ სამს შეუძლია 6 ქულის მოგროვება. ამ ექვსიდან წერეთელს კოეფიციენტით სამი სჯობნის; რომლებიც თავის მხრივ, სხვებთან დაწყვილდნენ. ანუ თუკი სამივემ გაიმარჯვა წერეთელს გადაასწრებენ. ესენი არიან: **სალომე ხაჟომია**, **ინგა ხურცილავა** და **სოფიკო ტერელაძე**. ცხადია, ალბათობა იმისა, რომ სამივემ თუ არა, თამარს ორმა კონკურენტმა მაინც მოიგოს, საკმაოდაა, მაგრამ ხურცილავაც და ხაჟომიაც შავებით თამაშობენ და გამრავჯება მეტოქეებსაც სწყურიათ, - თავის შანსს ყველა დაელოდება. კოეფიციენტის გამო ასეთი შანსი **ნინო ბაციაშვილს**, **ნინო ანაკიძეს** და **მარიამ დანელიას** ნაკლები აქვთ, მაგრამ არავინ იცის, როგორ დასრულდება პარტიები, შესაძლოა ისეთი გავიდეს ფინალში, ყველაზე ნაკლები შანსი რომ ჰქონდა.

ისე კი, ხაჟომია, ხურცილავა, ტერელაძის ტრიოში კოეფიციენტი უკეთესი ხაჟომიას აქვს, მეორე ხურცილავაა. ასე რომ, თუკი ამათმა მოიგეს, წერეთელს მხოლოდ გამარჯვება მოაწყობს, ტერელაძის პარტიას კი მნიშვნელობა დაეკარგება. რამდენიმე ვარიანტი კიდევ შეიძლება დაითვალოს, მაგრამ არსი არ შეიცვლება და დროს ტყუილად დავკარგავთ...

ერთი სიტყვით, გვარიანი ნერვიულობა მოუწევს შვიდეულში მოხვედრის მსურველებს, მაყურებელს კი საინტერესო სანახაობა ელის. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესში ბევრი ვერ მოხვდება, ლოკალური ინტერესები ყველას აქვს და მის განხორციელებასაც ეცდებიან.

**ზვიად შათირიშვილი**


ინგა ჭარხალაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა


ქართული სამეული: კოკაი, გაგამარუ და ტოჩინოშინი

# ქართული სამაია იანვრის ბაშოზე

ელიტის ორ დივიზიონში მოასპარეზე ორ ქართველს იანვრის ბაშოზე ბწყინვალე დასაწყისი ჰქონდათ, ტურნირის მესამედია განვლილი და **ლევან ცაგურიას** უმაღლეს დივიზიონში და **ლევან გორგაძეს** ძურიოში ოთხ-ოთხი გამარჯვება აქვთ მოპოვებული. არადა ორივე ჩვენებურს დიდი პრობლემების გადალახვა მოუწია - **კოკაიმ** ფეხის ტრავმა მიიღო, თუმცა ბრძოლა გააგრძელა, **ტოჩინოშინი** კი 15-დღიან ბაშოს პირველად ჭიდაობს, თანაც კლასით გაცილებით მაღალ სუმოისტებთან.

გუშინ კოკაიმ კორეელ **კასუგაოს** იორიტაოშით აჯობა და ბალანსი 4-1 გაუხდა. ლევანი საოცარი ძალით დაეჯახა კორეელს, რის შეგდეადაც კასუგაო კარგა მანძილით უკან გავარდა, კოკაიმ ხელები ჩასჭიდა მეტოქეს და იოლად გაიყვანა დოჰიოდან. კოკაის დღევანდელი მეტოქე 30 წლის მეექვსე მაეგაშირა **ჰოკუტორიკია**, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თითოჯერ მოიგეს.

ბაშოზე მე-12 მაეგაშირა **ფუტენოც** დამარცხდა და ტურნირს ერთი ლიდერი დარჩა - ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა 22 წლის მონღოლი დიდი ჩემპიონის, **ჰაკუჰოს** დამარცხება. მას კვალში 10 რიკიში უდგას 4-4 მოგებით, მათ შორის კი - იოკოძუნა **ასაშორიუ** და კოკაი. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის მერე პირველად „კოკუგიკანში“ ყველა ბილეთი გაიყიდა.

20 წლის ლევან გორგაძემ გუშინ სერიოზული გამოცდა ჩააბარა ფრიადზე, 24 წლის მონღოლი **ჰაკუბა** ძურიოს დივიზიონის ფავორიტად ითვლება, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, დღემდე დაუმარცხებელ ჰაკუბას ტოჩინოშინმა მისთვის ჩვეული იორიკირით აჯობა. ძურიოს დივიზიონშიც ერთადერთი ლიდერია, 5 მოგებით წინ მე-11 ძურიო **კიტატაიკი** ლიდერობს, მას კვალში ტოჩინოშინი და ხუთი სხვა ფალავანი უდგას. დღეს ქართველი გოლიათის (191 სმ და 145 კილო) მორიგი მეტოქე **კიტაძაკურაა**, რომელსაც ლევანის მსგავსად 4 მოგება აქვს ბაშოზე. კიტაძაკურა უმაღლესი დივიზიონის ყოფილი წევრია, ის 36 წლისაა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე **გაგამარუმ** (**თეიმურაზ ჯუღელი**) ქართველთა მოგებები გაასამა. გაგამარუმ ოშიტაოშით აჯობა **ფუჯიმოტოს**. ახლა ქართველს 2-1 ბალანსი აქვს. დღეს გაგამარუ ისვენებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

V დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კასუგაო 1:0 (იორიტაოში), ჰაკუჰო-გოეიდო 1:0, ასაშორიუ-ტოიონოშიმა 1:0, ამა-ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი-მიაბიამა 1:0, კაიო-დეჯიმა 1:0, კოტოოშუ-ტოკიტენკუ 1:0, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი 1:0, კისენოსატო-ტოჩინონადა 1:0, ვაკანოსატო-ბარუტო 1:0, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი 1:0, ტაკეკაძე-როჰო 1:0, ტოიოჰიბიკი-ტამაკასუგა 1:0, კაკურიუ-კაკიძოე 1:0, ივაკიამა-ვაკანოჰო 1:0, იჩიჰარა-ფუტენო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 5-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); 4-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (კომუსუბი), კისენოსატო (მაეგაშირა 1), ტაკეკაძე (მ 7), კაკურიუ (მ 8), კოკაი (მ 9), კიოკუტენჰო (მ 10), ფუტენო (მ 12), ივაკიამა (მ 13), იჩიჰარა (მ 16).

VI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ჰოკუტორიკი, ასაშორიუ-მიაბიამა, ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, კაიო-ამა, კოტოოშუ-გოეიდო, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-დეჯიმა, ტოკიტენკუ-ასასეკირიუ, ტოჩინონადა-ტამაკასუგა, ტაკეკაძე-ვაკანოსატო, ჰომაშო-როჰო, ბარუტო-ტოიოჰიბიკი, კაკურიუ-ვაკაკირინი, კიოკუტენჰო-კაკიძოე, ფუტენო-კაიჰო, იჩიჰარა-ივაკიამა.

**ძურიო**

V დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-ჰაკუბა 1:0 (იორიკირი), კოტოკასუგა-კასუგანიშიკი 1:0, ოცუკასა-კორიუ 1:0, ჰაკუროძანი-ჩიოჰაკუჰო 1:0, ტოიოძაკურა-რიუო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 5-0: კიტატაიკი (ძურიო 11); 4-1: რიუო (ძ 2), ჰოშიჰიკარი (ძ 5), კიტაძაკურა (ძ 8), ჰაკუბა (ძ 8), ტოჩინოშინი (ძ 12), ტამავაში (ძ 13).

VI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-კიტაძაკურა, რიუო-კასუგანიშიკი, საკაიძავა-ჩიოჰაკუჰო, ჰოჩიამა-ჰაკუროძანი, ჰოშიჰიკარი-ოცუკასა.



17-წლამდელთა ნაკრები

# შერკინება კარგია, თუმცა არც უკანა ხაზში გვიჭირს

**საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები უკვე ორი კვირაა, რაც ახალი სეზონისთვის ინტენსიურ მზადებას გადის. ნაკრების მწვრთნელებმა ბადრი ბოხუამ, სპირიდონ ლიპარტელიანმა და ირაკლი სულთანიშვილმა ვანში დასავლეთის რეგიონის მოთამაშეების შეკრებაც მოასწრეს და თავიანთვის საინტერესო ყმაწვილი მორაგბეებიც შეარჩიეს. გუნდის მზადებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ერთ-ერთ მწვრთნელს, ბადრი ბოხუას ვესაუბრეთ.**

- წლეულს საქარველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებს 7-15 აპრილს, ინგლისის ქალაქ მილფილდში მოუწევს ასპარეზობა, მსოფლიოს სარაგბო ფესტივალში. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მონაწილეობის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა, რადგან შარშან ამ ტურნირში ვერ ვიასპარეზეთ, ორგანიზატორებმა კი ჩვენს მაგივრად პორტუგალია ჩართეს. ახლა, თანხმობა რომ განვუცხადეთ, ძალიან გაუხარდათ, რადგან შარშანწინ საქართველოდან ჩასულმა გუნდმა იქ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ყველაფერი დაახლოებით ერთ კვირაში გაირკვევა. თუ ინგლისიდან თანხმობა მივიღეთ, ტურნირში ჩვენს გარდა ინგლისის ორი, შოტლანდიის, კანადისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ.

**- რა ეტაპზეა ამჟამად ნაკრების სამზადისი?**

- თავიდან 160 ბავშვს მოვუყარეთ თავი. ამ დროისთვის ჩვენ განკარგულებაში 50 ნორჩი მორაგბეა. ჯერჯერობით ფიზიკურ მზადებას გავდივართ, ფრანგი სპეციალისტის ნიკოლა ფულკიეს მიერ გამოგზავნილი პროგრამით. სადღაც თვის ბოლოსკენ უკვე მოედანზეც უნდა შევიდეთ. თუ ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეგვიშალა, რაგბის კავშირი ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაქირავებას გვპირდება.

**- ნიკოლა ფულკიემ წესით ეროვნულის გარდა, ასაკობრივ ნაკრებებთანაც უნდა იმუშაოს პირადად...**

- დიახ, ასეც იქნება. სრულყოფილად ის 9 თებერვლის შემდეგ ჩაერთვება საქმიანობაში. მანამდე ეროვნულ ნაკრებს ორი თამაში აქვს და ძირითადად მათთან იმუშავებს, თუმცა, ამ პერიოდშიც გაგვიწევს დახმარებას.

**- ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებისთვის, მოთამაშეები დასავლეთ საქართველოშიც აარჩიეთ. როგორია გუნდში გამოძახებულთა გეოგრაფია?**

- ძირითადად თბილისელი მორაგბეები არიან. რეგიონიდან სულ რვა მოთამაშე მოვიწვიეთ. ოთხი ქუთაისიდან, სამი ფოთიდან, ერთიც ბორჯომიდან. ამათ გარდა ერთი ვანელი ბიჭი მომეწონა, რომელიც გარემარბის პოზიციაზე თამაშობს, მაგრამ ჯერჯერობით ფინანსური პრობლემების გამო თბილისში შეკრებაზე ვერ ჩამოვიყვანეთ. კარგი ბიჭი ჩანს და ვნახოთ, რა გამოვა.

**- რადგან ერთ-ერთი მოთამაშის პოზიცია ახსენეთ, ბარემ ისიც გვითხარით, რა მდგომარეობაა ამ ასაკში. ტრადიციულად შერკინება უკანა ხაზზე ბევრად ძლიერია?**

- არა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ასაკში ვითარება მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. შერკინებაში ცხადია, პრობლემა არ გვაქვს, ძალიან კარგი კონტინგენტია. თუმცა, უკანა ხაზშიც ბევრი საინტერესო მორაგბე ვიპოვეთ. ძალიან კარგები არიან ქუთაისელები - 10 და 13 ნომრები, არც გარემარბს ვუჩივით. ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ნაკრების ასაკის, ანუ 1991 წელს დაბადებული 11 მორაგბე თვრამეტწლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. 26 იანვარს უნდა გადაწყდეს, ვინდარჩება იმ გუნდში და ვინ ჩვენ ნაკრებს შემოუერთდება. ვინ და რამდენიც არ უნდა გამოუშვან ერთი წლით უფროსი ასაკის გუნდიდან, ჩვენთვის ეს კარგი შევსება იქნება, ბევრად ძლიერი უნდი გვეყოლება. ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის და ამათ მეტი ყურადღება სჭირდებათ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სროლა

# მიუნხენი, პნევმატური

ორშაბათს ქართველი ტყვიის მსროლელები - **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი და ლევან ქადაგიძე** მიუნხენში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის. ესაა ევროპის პნევმატური პირველობისთვის მოსამზადებელი ტურნირი და ამიტომ მხოლოდ ამავე სახეობის პისტოლეტით სროლაში ტარდება. სამაგიეროდ - ორჯერ, 24 და 26 იანვარს.

თავად ევროპის ჩემიონატი 23 აპრილიდან 2 მარტის ჩათვლით შვეიცარიულ ვინტერტურში გაიმართება და იქ პეკინის ოლიმპიადის 5-5 საგზურიც გაიცემა. ჩვენებიდან პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა ნინო სალუქვაძემ ადრევე გაინაღდა, შვეიცარიაში კი დამატებით უმიზნებენ ლიცენზიებს. მათ შორის, ვაჟებისგანაც - ფედერაციაში უკვე არც ამათ წარმატებას გამორიცხავენ.

ამასობაში თითქმის საბოლოდ დადგინდა სროლის სახეობათა ფედერაციის ბიუჯეტიც და ნაკრების წლევანდელი კალენდარიც. ბიუჯეტი სპორტის დეპარტამენტმა უკვე განიხილა. ახლა საკუთრივ ფედერაციის ხელმძღვანელობასთანაა შესათანხმებელი, რას დააფინანსებენ ისინი, თუმცა შეჯიბრებების უმეტესობა დეპარტამენტის კისერზეა.

მიუნხენის ტურნირის შემდეგ ჩვენი მსროლელებისთვის უახლოესი შეჯიბრება თებერვალში გასამართი საქართველოს ჩემპიონატია ისევ პნევმატურიდან სროლაში. ამის შემდეგ გუნდი ისევ მიუნხენში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებას გაივლის, და შვეიცარიაშიც იქიდან გადაინაცვლებს.

ევროპის ჩემპიონატს მსოფლიო თასები მოსდევს, თუმცა ჩვენები ბრაზილიაში გასამართ პირველ ეტაპს გამოტოვებენ და საქმეში მხოლოდ მეორედან ჩაებმებიან, რომელიც აპრილში მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქ პეკინში ჩატარდება. პარალელურად, ეს ტურნირი ოლიმპიური კვირეულის შემადგენელი ნაწილიცაა. მსგავსი შეჯიბრებები თამაშების წინ ოლიმპიადების მასპინძელ არენებზე ყოველთვის იმართება და მათი უმთავრესი დანიშნულება სპორტსმენების ბაზებთან ადაპტაციაა. ამდენად, ეს მომავალი ოლიმპიელებისთვის მნიშვნელოვანი ტურნირია.

მსოფლიო თასის ორი, დასკვნითი ეტაპი მაისში ერთმანეთის მიყოლებით მიუნხენსა და მილანში ჩატარდება, სადაც სალუქვაძე აუცილებლად გამოვა. ამის შემდეგ იგი ძირითადად შეკრებებით გააგრძელებს ოლიმპიადისთვის მზადებას, თუმცა იქ გამგზავრებამდე ივლისში ერთ ტურნირში კიდევ გამოვა, ოღონდ ჯერ გარკვეული არაა, სად.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩამოთვლილ ტურნირებში სალუქვაძე აუცილებლად გამოვა, აი, დანარჩენების საკითხს კი ევროპის პირველობის შედეგები განსაზღვრავს - საგზურს თუ სხვაც მოიპოვებს, მაშინ ისიც გამოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დანარჩენების გაგზავნა საეჭვოა.

**ირაკლი თავაძე**






თბილისის მსოფლიო თასი. 26-27 იანვარი

# 40 ქვეყანა სამ ტატამზე

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია გულმოდგინედ ემზადება 26-27 იანვარს სპორტის სასახლეში გასამართი XXXIV საერთაშორისო ტურნირისთვის. შეგახსენებთ, რომ წლეულს ეს შეჯიბება სალიცენზიოც გახლავთ, მაგრამ თავად ორგანიზაციულ საკითხებშიც მნიშვნელოვანი სიახლეებია - ხანგრძლივი არსებობის ისტორიაში იგი პირველად ტარდება სამ ტატამზე.

მოგეხსენებათ, გაისად თბილისმა ევროპის პირად პირველობას უნდა უმასპინძლოს და ჩვენი ფედერაცია ახლანდელ ტურნირს სწორედ იმისთვის მოსამზადებლად განიხილავს. ამიტომ ცდილობენ, ყველაფერი ევროპული ფედერაციის მოთხოვნათა შესაბამისად გააკეთონ. მით უფრო, სპორტის სასახლის რეკონსტრუქციაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაკეთდა და ახლებური მოთხოვნების წაყენების საშუალებას იძლევა. მაგალითად, მაქსიმალურად აიკრძალება არენაზე გადაადგილება. იმდენად მკაცრად, რომ იქ ტელეოპერატორებსაც არ ჩაუშვებენ. ამის უფლებას მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს დართავენ და ისიც პირდაპირი რეპორტაჟების გამო - ტურნირს ეს ტელეკომპანია გააშუქებს. სხვა ტელევიზიების ოპერატორები ამჟამად მათთვის გამოყოფილი საგანგებო ქანდარიდან იმუშავებენ, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული. ბუნებრივია, არენაზე ვერც გაზეთების წარმომადგენლები ჩავლენ, თუმცა ინტერვიუებისთვის საგანგებო კუთხე გამოიყოფა, სადაც ნებისმიერ ჟურნალისტს მიეცემა მისთვის სასურველი რესპონდენტის გამოძახების საშუალება. გარკვეულწილად, შეიზღუდებიან ფოტოჟურნალისტებიც, რომლებსაც სამუშაოდ არენის მხოლოდ ერთი მხარე გამოეყოფათ.

ჩვენთვის რაოდენ უცხოც უნდა იყოს, ეს ყველაფერი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და თუ ოდესმე თანამედროვე სტანდარტებისთვის ფეხის აწყობა გვინდა, ამას აუცილებლად უნდა შევეგუოთ. მართალია, არსებობს გამონაკლისებიც, რაშიც შარშან ბრაზილიაში, მსოფლიო პირველობაზე თავად დავრწმუნდი, მაგრამ ის გამონაკლისი ტურნირი იყო, გარკვეულწილად, ექსტრემალურ პირობებში ჩატარებულიც - სულ რაღაც 10 დღით ადრე ბრაზილიელებმა ტურნირის გადადებაც კი ითხოვეს და ეს საკითხი ჩემპიონატის წინა დღეს გამართულ საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე კიდეც განიხილეს და სავარაუდო მასპინძლად როტერდამიც შეარჩიეს. იგივე კონგრესზე გადააყენეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და ახალი კი აირჩიეს, მაგრამ ძიუდოს სამყარო მაინც უპატრონოდ დარჩენილს ჰგავდა. იმ ტურნირს არაორგანიზებულობა ამიტომაც ჩამოაწერეს.

აღნიშნულის გარდა, სხვა, შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ ტურნირის პრესტიჟისთვის საჭირო სიახლეებიცაა. მაგალითად, სპორტსმენთა მოსათელ დარბაზში ტელევიზორი დაიდგმება, რაც ასევე საერთაშორისო ნორმაა. წესით, რაკი სამი ტატამია, სამიც უნდა იდგეს, თუმცა ამჯერად ორი იქნება, მაგრამ გაისად, ევროპის ჩემპიონატზე სრულად უნდა იყოს. ისევ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ამჯერადაც იქნება და ბევრად კეთილმოწყობილი დოპინგის ოთახი, პრესცენტრი და სხვა...

ორგანიზაციის გარდა, ეს ტურნირი სიძლიერითაც გამორჩეული იქნება. სადღეისო მონაცემებით, ჩამომსვლელი გუნდების რაოდენობა უკვე 40-ს გადასცდა. ვინ იცის, ამდენი სტუმარი ბოლოს როდის გვეწვია! ეს თავად ტურნირის პრესტიჟისთვის ძალიან კარგია, მაგრამ ორმაგი დატვირთვაა მასპინძლებისთვის. თუმცა ესენიც საგანგებოდ ემზადებიან და გუშინ ძიუდოს ფედერაციაში საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაც გაიმართა, სადაც ყველა საკითხი დეტალურად განიხილეს.

საორგანიზაციო კომიტეტს წლეულსაც უხელმძღვანელებს **სიმონ ნოზაძე**, რომელსაც ბოლო რამდენიმე ტურნირის ჩატარების გამოცდილება გააჩნია. დელეგაციების უმრავლესობა „შერატონში" განთავსდება, თუმცა „ვარაზი", „თორი" თუ ქალაქის სხვა ცნობილი სასტუმროებიც არანაკლებ სპორტსმენს უმასპინძლებს. ყოველი შემთხვევისთვის, სათადარიგო სასტუმროებიც შერჩეულია. შეიძლება ითქვას, მოგვარებულია ტრანსპორტის პრობლემაც, როგორც აეროპორტიდან სასტუმროებამდე, ისე - იქიდან დარბაზამდე გადაყვან-გადმოყვანა. დედაქალაქის სატრანსპორტო სამსახურთან ამაზე უკვე მიღწეულია შეთანხმება. ბუნებრივია, ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი, მაგრამ როგორც გუშინდელ თათბირზე გამოიკვეთა, ტურნირი ორგანიზებულად ჩატარდება და სტუმრებს პრობლემები არ უნდა შეექმნათ.

ტურნირზე დასწრება ფასიანია, ოღონდ ბილეთი სულ რაღაც 2 ლარი ეღირება. ამასთან, ერთი ბილეთი მთელი დღის განმავლობაში იმუშავებს ანუ დილას ნაყიდით საღამოს შეხვედრებზეც შეგეძლებათ შესვლა. იყო იდეა, ბილეთები ცოტა უფრო ძვირად დაეფასებინათ, მაგრამ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ **დილარ ხაბულიანის** პრინციპული პოზიციით, საბოლოოდ 2 ლარზე შეთანხმდნენ, რათა შეჯიბრებაზე დასწრება ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ორივე დღეს ფინალები 6 საათზე დაიწყება. იქნებ ეს დრო ცოტა გვიანია, მაგრამ მონაწილეთა სიმრავლის გამო ადრე დაწყება საეჭვოა. როგორც გითხარით, ფინალური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# ენერჯი და ავია ფინალში შეფრინდნენ

**17 იანვარი. რუსთავი**

**ავიამშენი-თსუ 75:72**

11:23 23:14 20:14 21:21

ავიამშენი: ნიკოლაძე (10), ხოშტარია (6), კვიმსაძე, იმნაძე (2), როდუმტა (10); ბერაია 8, მინაშვილი (11), ტულუში (11), მათიაშვილი (17)

თსუ: ჩიტაშვილი (3), კოხრეიძე (5), ბარბაქაძე (27), კეიდია (20), ყველაშვილი (7); ტყეშელაშვილი (7), ფანჩულიძე (3), ბ.ნოზაძე, არწივიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1.ავიამშენი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |

**ენერჯი-ინვესტი-ვითა 101:72**

28:13 31:16 15:23 27:20

ენერჯი: ცეკვავა (4), ლეჟავა (5), ბოისა (8), სტეფანოვი (2), ბაბიაშვილი (20); დიდია (14), ტუჯანი (11), გოგობერიშვილი (11), დვალიშვილი (9), ჭოჭუა (8), ლიპარტელიანი (5), მაჭავარიანი (5)

ვითა: მარხვაშვილი (11), ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი (16), ბეჟანიშვილი (12), ბერძენიშვილი (11); ძიძიგური (8), მ. ბერიშვილი (7), გვირმაძე (4), ნ. ნოზაძე (2), გასიტაშვილი, ცერცვაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ვითა | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |

**დღეს. 15:00. ფინალი**

ავიამშენი-ენერჯი ინვესტი

შარშან, ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე B ჯგუფის ბოლო მატჩში თსუ-მ „ავიამშენი" დაამარცხა და ფინალის საგზური მოიპოვა. გუშინაც საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ გასული წლის ფინალი უნდა გამეორებულიყო - „ენერჯი"-თსუ...

სტუდენტებმა „ავიატორებს" პირველივე წუთებიდანვე ენერგიულად შეუტიეს. მათ სწრაფ თამაშს შედეგიც მოჰყვა - საწყისი 8 წუთი 23:8 მოიგეს. თსუ-ში დამაგვირგვინებელ ფაზაში **დავით ბარბაქაძე** და **ირაკლი კეიდია** გამოირჩეოდნენ. დათო იანვრის დასაწყისში თსუ-ში სწორედ „ავიადან" გადავიდა და დასამტკიცებელი ჰქონდა, რომ მფრინავთა გუნდში მეტ ნდობას იმსახურებდა. საბოლოოდ მან 27 ქულა ჩააგდო და მატჩის სნაიპერიც გახდა. რაც შეეხება, ირაკლი კეიდიას, მან ბოლო წუთებზე არაერთი მნიშვნელოვანი ქულა ჩააგდო, მაგრამ 5 ფოლის გამო მატჩის ფინალს სათადარიგოთა სკამზე შეხვდა. ერთ-ერთი ლიდერის გამოკლება თსუ-ს თამაშზე უარყოფითად აისახა, „ავიას" კალათბურთელებმა სიტუაცია გამოასწორეს და ოვერტაიმსაც მიუახლოვდნენ. სირენამდე 6 წამით ადრე ტაბლოზე 72:72 ეწერა. თუმცა, გამოცდილმა „ავიატორმა" **გიორგი ნიკოლაძემ** დამატებით დროში თამაში არ ისურვა და შორეული სამქულიანი მეტოქის კალათში მოათავსა - 75:72.

ასე გავიდა „ავიამშენი" ფინალში, სადაც მასპინძელ „ენერჯის" დაუპირისპირდება.

თავის მხრივ რუსთაველებმა იოლად მოახერხეს „ვითას" დამარცხება. „მაკაბისთან" მატჩშიც გამოჩნდა, რომ ვითელებს სათადარიგოთა სკამი მოკლე აქვთ, ხოლო რამდენიმე მოთამაშის დაშავებამ პრობლემათა რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა. საპირისპიროდ, მეტად გრძელი სკამი აქვთ რუსთაველებს, რომლებსაც ლიდერის, **ლაშა გამყრელიძის** დაშავება ოდნავადაც არ დატყობიათ. მათ „მაკაბის" „ვითაც" მიაყოლეს (101:72) და ფინალში გაალწიეს.

**დღეს გადამწყვეტ მატჩში „ენერჯი" „ავიამშენს" 15 საათზე, რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში დაუპირისპირდება.**

**კობა ხატისაშვილი**



გადამწყვეტი სამქულიანი გიორგი ნიკოლაძემ ჩააგდო



მილანი-არისი. უკანა პლანზე ვლადიმერ ბოისა (11)

ქართველები ევროთასებზე

# მარცხი მილანში

ვლადიმერ ბოისა ორწლიანი შესვენების შემდეგ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს, ევროლიგას დაუბრუნდა. გასულ კვირას ქართველ ფორვარდს ამ ტურნირზე სამწუთიანი დებიუტი ჰქონდა, ახლა, „მილანთან" მატჩში კი ქულათა პირადი ანგარიშიც გახსნა - 13 წუთში თითო სამქულიანი და ორიანი სტყორცნა და მხოლოდ შორეული სროლა გამოიყენა. „არისის" სნაიპერი ამერიკელი **ბრეისი რაითი** გახდა, მაგრამ ბერძნებს ვერც მისმა 16-მა ქულამ უშველა. მილანელებმა 77:69 გაიმარჯვეს, თუმცა **გორდონ ჰერბერტისა და ვლადიმერ ბოისას** გუნდს იტალიიდან ორი ქულის წამოღების კარგი შანსი ჰქონდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, ხოლო სირენამდე 3 წუთით ადრე „არისმა" 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა - 62:58. თუმცა, დარჩენილ დროში „მილანის" კალათბურთელებმა დაცვა გააუმჯობესეს და ბერძნებს გამარჯვება არ დაუთმეს 77:69.

წაგების მიუხედავად „არისს" მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვს. იგი 6-6 მოგება-წაგებით B ჯგუფში მეხუთე პოზიციაზეა. მეექვსეს, ხორვატიის „ციბონას" „არისზე" ორით ნაკლები მოგება აქვს. თითო ჯგუფიდან 5-5 კლუბი გადის. პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 ტურია დარჩენილი და სწორედ უახლოეს მატჩებში გადაწყდება ჯგუფიდან „არისი" გავა თუ „ციბონა". მკითხველს შევახსენებთ, რომ ბერძნებმა ხორვატები შინაც დაამარცხეს და სტუმრადაც.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. უნიკახა (ესპანეთი) | 12 | 9 | 3 | 21 |
| 2. რიტასი (ლიტვა) | 12 | 9 | 3 | 21 |
| 3. მაკაბი (ისრაელი) | 11 | 8 | 3 | 19 |
| 4. ეფესი (თურქეთი) | 12 | 8 | 4 | 20 |
| 5. არისი (საბერძნეთი) | 12 | 6 | 6 | 18 |
| 6. ციბონა (ხორვატია) | 11 | 4 | 7 | 15 |
| 7. მილანი (იტალია) | 12 | 3 | 9 | 15 |
| 8. ლე მანი (საფრანგ.) | 12 | 0 | 12 | 12 |

**არისის დარჩენილი მატჩები**

23 იანვარი

**ეფესი-არისი**

31 იანვარი

**არისი-მაკაბი**

ლეგიონი

# უგრეხელიძეც ათამაშდა და ბორაჩიც

ბოსნიის ჩემპიონატის მე-12 ტურში დავით უგრეხელიძის „ბორაჩ ნექტარს" რთული გამოცდა ელოდა - პირველობის ერთპიროვნულ ლიდერს „ბოსნას" სტუმრობდა. ბორაჩელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მატჩი იმ შედეგით არ დასრულდა, რომელსაც ბევრი ელოდა - უგრეხელიძის გუნდმა ბოსნიური კალათბურთის ფლაგმანი მისსავე მოედანზე 78:77 დაამარცხა.

სტუმრები მეოთხე პერიოდს 60:64 ჩამორჩენით შეხვდნენ, თუმცა სიტუაციის გამოსწორება შეძლეს, მეოთხედი 18:13 მოიგეს და საბოლოოდ რა ანგარიშითაც იმარჯვეს უკვე გითხარით.

**დავით უგრეხელიძემ** მოედანზე 18 წუთი გაატარა, 5-5 ორქულიანი და საჯარიმო ისროლა, 3-3 კალათში მოათავსა და მატჩი 9 ქულით დაასრულა. გარდა ამისა, დათოს ანგარიშზე 6 მოხსნა იყო. „ბორაჩის" სნაიპერი ზლატკო იოვანოვიჩი გახდა - 18 ქულა.

ამ მოგებით „ნექტარმა" სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. მას 12 ტურის შემდეგ 7 მოგება, 5 წაგება აქვს და ბოსნიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. პირველ პოზიციაზე მყარად ზის ნეტქარელთაგან ძლეული „ბოსნა" - 11 მოგება, 1 წაგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**




დავით უგრეხელიძე

**ჩოგბურთი**

# წყვილებში უკეთ თამაშობს

ერთეულთა თანრიგში ხელმოცარული 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშია. ქართველი ჩოგბურთელი შვეიცარიელ **ნიკოლ რინერთან** ერთად ასპარეზობს. პირველ წრეში მათ ჰოლანდიელებს (**ევჟიკი, რეინჰარდი**) აჯობეს - 7:6 (6), 6:4. მეოთხენდფინალში ქართულ-შვეიცარიული დუეტი პირველ ნომრად განთესილ წყვილს შეხვდება, სადაც ბოსნიელი **სანდრა მარტინოვიჩი** და ხორვატი **დარია იურაკი** არიან. მართალია, წლეულს ოქსანა პირველ სრულფასოვან სეზონს ატარებს პროფესიულ ჩოგბურთში, თუმცა უკვე გამოიკვეთა, რომ ის წყვილთა ასპარეზს უკეთესად შეეწყო, ვიდრე ერთეულებს. ოქსანა კალაშნიკოვა ახალგაზრდულ (18-წლამდელთა) რეიტინგში მსოფლიოს მე-13 ჩოგანია, დიდებში - 646-ე, წყვილებში კი - 424-ე. ოქსანა კალაშნიკოვა ორშაბათიდან კაარსტის ტურნირში (გერმანია, 10 ათასი დოლარი) ჩაერთვება, სავარაუდოდ, კვლავ საკვალიფიკაციო ბადიდან.



ოქსანა კალაშნიკოვა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მარბერის ოპერაცია სჭირდება?

"ნიუ იორკ ნიქსის" მცველ **სტეფონ მარბერის** კიდევ ერთი სამედიცინო გამოკვლევის გავლა მოუწევს იმის გასარკვევად, ესაჭიროება თუ არა მას ტრავმირებულ მარცხენა ფეხზე ქირურგიული ჩარევა.

კალათბურთელმა ტრავმა "ტორონტოსთან" მატჩში მიიღო და მას შემდეგ სამი მატჩის გამოტოვება მოუწია. *"ნახტომის შესრულებისას ტკივილს ვგრძნობ. მკურნალობა მესაჭიროება"*, - განაცხადა მარბერიმ.

ოპერაციის შემთხვევაში, სტეფონს კარგა ხანი მოუწევს დასვენება, თუმცა "ნიქსის" მთავარი მწვრთნელის, **აიზია ტომასის** განცხადებით, კლუბი არ აპირებს შემადგენლობის გასაძლიერებლად ახალი მცველის ძებნას.

ამ სეზონში მარბერიმ ჯამში 14 მატჩი გამოტოვა.

## კრსტიჩი თებერვალში დაბრუნება

"ნიუ ჯერსი ნეტსის" სერბი ცენტრი **ნენად კრსტიჩი** გუნდთან ერთად 6-მატჩიან გასვლით ტურნეში გაემგზავრა, თუმცა ამ შეხვედრებში ჯერაც ტრავმირებული კალათბურთელის მოედანზე გასვლა არ იგეგმება. 24 წლის კრსტიჩი მხოლოდ გუნდთან ერთად ივარჯიშებს.

წინასწარი პროგნოზებით, სერბი კალათბურთელის დაბრუნება თებერვლის პირველი რიცხვებისთვის არის ნავარაუდები.

## უებერი ბინუმის ნაცვლად?

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ შეიძლება NBA-ში კარიერა განაახლოს ვეტერანმა **კრის უებერმა**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ "დეტროიტ პისტონზი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

ჩვენ გაგაცანით იმ კლუბების სია, რომლებიც უებერის დამატებით არიან დაინტერესებულნი. მათ რიცხვს "ლოს ანჯელეს ლეიკერსიც" დაემატა, რომელიც აქტიურად ეძებს ტრავმირებული **ენდრიუ ბინუმის** შემცვლელს. შეგახსენებთ, რომ ამ კალათბურთელმა მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

"ლეიკერსის" ხელმძღვანელობა ბინუმის შემცვლელად უებერის გარდა **პი ჯეი ბრაუნსა** და **დი ჯეი მბენგასაც** მოიაზრებს. უებერი საუკეთესო ვარიანტია, ვინაიდან მას კარგი ტყორცნა აქვს, მაგრამ კალიფორნიელებს ვეტერანის ფიზიკური კონდიციები და მისი საკონტრაქტო პირობები აღელვებთ.

## არტესტი და ბიბი ბრუნდებიან

უახლოეს ტურებში "საკრამენტო კინგზი" ოპტიმალური შემადგენლობით დაიწყებს თამაშს. "მეფეებს" უბრუნდებათ ორი ლიდერი - **რონ არტესტი და მაიკ ბიბი**.

შეგახსენებთ, რომ არტესტმა 2 იანვარს გაიკეთა მარჯვენა მაჯის ოპერაცია და ექიმების შეფასებით ოთხი კვირა ვერ შეძლებდა თამაშს, მაგრამ რონი უფრო ადრე აპირებს მოედანზე დაბრუნებას, რათა გუნდს პლეიოფის საგზურის მოპოვებაში დაეხმაროს.

*"პარკეტზე ვადაზე ადრე დავბრუნდები. ეს ძალიან მალე მოხდება, რადგან "საკრამენტო" გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს პლეიოფის ზონაში მოსახვედრად"*, - აცხადებს არტესტი, რომელიც საშუალოდ მატჩში 19.1 ქულას, 6.1 მოხსნასა და 4.3 შედეგიან პასს აგროვებს.

დაახლოებით იმავე პერიოდში დაუბრუნდება მოედანს "კინგზის" ძირითადი გამთამაშებელი მაიკ ბიბი, რომელსაც ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია - მან ორ თვეზე მეტი ხელის ცერა თითზე გაკეთებული ოპერაციის გამო გამოტოვა.

## ნაოპერაციებმა ტომასმა ვარჯიში დაიწყო

"ვაშინგტონ უიზარდსის" ცენტრმა **იტან ტომასმა** ვარჯიშები განაახლა. ეს კალათბურთელი ამ სეზონში მოედანზე არ გასულა, ვინაიდან მას ზაფხულში გულზე ოპერაცია გაუკეთეს.

ჯერჯერობით ტომასი საშუალო მანძილებიდან ბურთის სროლაში ვარჯიშობს და მსუბუქ გარბენებს ასრულებს. "ვაშინგტონის" ხელმძღვანელობა არ აკონკრეტებს ტომასის მოედანზე დაბრუნების მიახლოებით თარიღსაც კი.

## კიდი ფედერაციის რჩეული გახდა

ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ 2007 წელს ქვეყნის საუკეთესო კალათბურთელად **ჯეისონ კიდი** დაასახელა. გასულ წელს, "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი ჩაატარა. ათივე, კონტინენტის პირველობის ეგიდით, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზური თამაშდებოდა. ამ მატჩებში კიდი საშუალოდ 1.8 ქულას, 4.6 შედეგიან გადაცემას, 3.3 მოხსნასა და 1.3 ჩაჭრას აგროვებდა.

*"ჩემთვის დიდი პატივია კალათბურთის ფედერაციისგან ამ პრიზის მიღება. მინდა მადლობა ვუთხრა კოლეგებსა და მწვრთნელებს. მე და ჩემი პარტნიორები მოუთმენლად ველით პეკინის ოლიმპიადას და იქ ოქროს მედლების მოპოვებას"*, - მოჰყავს მცველის სიტყვები აშშ-ის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდს.

## დემონ სტაუდმაიერი ფინიქსს უმიზნებს

"მემფის გრიზლისის" მცველმა **დემონ სტაუდმაიერმა** შესაძლოა კარიერა "ფინიქს სანზში" გააგრძელოს. არიზონული კლუბი ვეტერან გამთამაშებელს იმ შემთხვევაში გადაიბირებს, თუ "გრიზლისი" კალათბურთელის კონტრაქტს გამოისყიდის. ასეთ შემთხვევაში "ფინიქსი" ახალ, ვეტერანისთვის განკუთვნილ მინიმალურ კონტრაქტს გააფორმებს სტაუდმაიერთან. მეტი ფინანსური შესაძლებლობა "სანზს" არ გააჩნია.

34 წლის კალათბურთელმა არაერთხელ განაცხადა, რომ "მემფისში" მცირე სათამაშო დრო ეძლევა და ამის გამო სხვა გუნდში სურს გადასვლა. აღსანიშნავია, რომ "ფინიქსის" ამჟამინდელი გენერალური მენეჯერი, **სტივ კერი** სტაუდმაიერის მეგობარია - თავის დროზე, ისინი ერთად თამაშობდნენ არიზონას უნივერსიტეტის გუნდში.

## ნოამ და უოლასმა წაიჩხუბეს

როგორც ამერიკული პრესა წერს, "ჩიკაგო ბულსის" ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს, ჩხუბი მოხდა **ჟოაკიმ ნოასა** და **ბენ უოლასს** შორის.

*"ამის შესახებ ვფლობ ინფორმაციას. მაგრამ საშიში არაფერი მომხდარა, ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა. ისინი მხოლოდ უსიამოვნო რეპლიკებით შემოიფარგლნენ და ამით ინციდენტი ამოიწურა. გუნდებში ასეთი ინციდენტები ხდება ხოლმე და აქ გასაკვირი არაფერია"*, - განაცხადა "ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ჯიმ ბოილენმა**.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამის პლუსი მისი მინუსია




შაკი დაბრუნდა, მაგრამ...

ზედიზედ 11 ნაგება, ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის დაბრუნების მიუხედავად, ყოვლად უპერსპექტივო შემადგენლობა და ფლეი ოფში გასვლის ნულოვანი პერსპექტივა – ასეთია "მაიამი ჰიტის" საამსეზონო რეალობა და ნაკლებად სავარაუდოა, უკეთესობისკენ რაიმე შეიცვალოს.

მორიგი ტრავმის გამო რვა შეხვედრის გამოტოვების შემდეგ, ფლორიდელებს **შაკილ ონილი** დაუბრუნდა, თუმცა საერთო სურათი ვერც დევკაცის მოედანზე გასვლამ და ამ რეგულარულში, მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო თამაშმა შეცვალა. **პატ რაილის** გუნდი ისევ უკბილოა დაცვაში და მიუხედავად იმისა, რომ შეტევაში "ჰიტს" საქმეები ნორმალურად აქვს, ნაგებათა დაუსრულებელი სერია გრძელდება. მორიგ მატჩში "მაიამი" მასსავით დაუძლურებულმა, თუმცა ოდნავ ნათელი მომავლისა და პერსპექტივის მქონე "ჩიკაგომ" დაამარცხა.

"ჩიკაგოს" საქმეებიც ცუდადაა, თუმცა მაინც მგონია, რომ ილინოისელები სუსტ და არასტაბილურ აღმოსავლეთში, სადაც "ნიუ იორკის" ბოსები არათუ ფლეი ოფზე, არამედ ჩემპიონობაზეც (!) კი საუბრობენ (დიახ, **აიზია ტომასმა** "ნეთსის" დამარცხების შემდეგ სწორედ ამაზე ისაუბრა), პირველ რვა გუნდში მაინც გავლენ, ხოლო ის, რაზეც ქვემოთ გაგესაუბრებით, რეალობად იქცა, მაშინ "ბულზი" კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტიც გახდება.

*"შეტევაში ყველა კარგად მუშაობს, მაგრამ დაცვაში სტუდენტური გუნდის გაჩერებაც კი გაგვიჭირდება. არ ვიცი, ასე რატომ ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რამ შესაცვლელია"*, - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე შაკი, რომელმაც თამაშიდან 14-ში 8, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან კი 12-ში 8 სროლა გამოიყენა.

რატომ უნდა ითამაშოს "ჰიტმა" ნორმალური დაცვა, როდესაც გუნდს ძირითად 12-14 კაცში ერთი კარგი დამცველიც კი არ მოეძებნება?

ონილი თავის საუკეთესო წლებშიც კი საშუალო დამცველი იყო, გუნდის მეორე ვარსკვლავი **დუეინ უეიდი** ძირითადად შეტევაში ხარჯავს თავის უშრეტ ენერგიას, ხოლო **ადონის ჰასლემი** კი მეტად არასტაბილურია და ძლიერი თანამპლუელების (**ტიმ დანკანი, რაშიდ უოლასი, კევინ გარნეტი, დირკ ნოვიცკი, კრის ბოში, ამარე სტაუდმაიერი** და სხვები) წინააღმდეგ სასაცილოდ გამოიყურება. შხვები კი დაცვაში უფრო ბალასტის ტოლფასები არიან, ვიდრე რაიმე ღირებულისა და საერთო სურათსაც ვილებთ – "მაიამიმ" არ იცის დაცვაში დალაგებული თამაში, რადგან საამისოდ, ელემენტარული რესურსი არ გააჩნია.

ამ გაუგებრობის, ანუ "ჰიტის" წინააღმდეგ გასვლით შეხვედრაში "ბულზმა" 126 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა, ხოლო პირველად (ამ სეონში) სასტარტოში დაყენებულმა შვეიცარიელმა **ტაბო სეფოლოშამ** კი 17 ქულით ასევე საამსეზონო პირადი მიღწევა გააუმჯობესა.

"ბულზის" რიგებში მოულოდნელად გამოჩნდა არგენტინელი ფორვარდი **Aანდრეს ნოჩიონი**, რომელმაც "მეჯიქთან" წინა მატჩში მიკროტრავმა მიილო და წესით, რამდენიმე შეხვედრა უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ნოჩიონიმ ერთხელაც (ვინ მოთვლის, მერამდენედ) დაამტკიცა, რომ ნაღდი კაცი, სულით მეომარია და ტკივილგამაყუჩებლებით თამაშის მიუხედავად, თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოც გახდა.

პირადი საამსეზონო ჰაილაით "ჩიკაგოს" მთავარმა იმედმა, კიდევ ერთმა ფორვარდმა, **ლუოლ დენგმაც** გააუმჯობესა, რომლისთვისაც 8 შედეგიანი გადაცემა ამ რეგულარულში რეკორდია.

მესამე მეოთხედში მასპინძლებმა შაკის ძალისხმევით ჩამორჩენა 14 ქულიდან ორამდე (60:62) დაიყვანეს, თუმცა გამოცოცხლდფა სეფოლოშა, რომლის 7 ქულისა და დენგის ორი ჩატენვით სტუმარმა ორწუთიანი მონაკვეთი 10:3 მოიგო და ამის მერე, "ჰიტი" ოპონენტს 10 ქულამდეც კი ვერ მიუახლოვდა.

"ჰიტის" ფანებს კი შეგახსენებთ, რომ ამ გუნდმა ბოლოს 22 დეკემბერს "იუტასთან" შეხვედრაში (104:102) იმარჯვა, მას მერე კი აგებს და აგებს.

## მაკგრეიდი ჩიკაგოში?

ახლა კი იმ ამბავზე, რომლის თქმასაც მანამდე შეგპირდით.

"ბულზი" რომ გაძლიერებას აპირებს, ახალი არავისთვისაა და თუ **კობი ბრაიანტისა და პაუ გასოლის** გადმოყვანის პერსპექტივა ამ ეტაზე თითქმის ნულს გაუტოლდა, "ჩიკაგოს" ბოსები ერთ გრანდიოზულ ტრანსფერს ამზადებენ, რომლის შესახებაც გუშინ გახდა ცნობილი.

"ჩიკაგო" კიდევ ერთი ნირწამხდარი ფავორიტის, "ჰიუსტონ როკეტსის" ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და შემდეგ გაცვლა შესთავაზა – მოგვეცით **ტრეისი მაკგრეიდი**, ხოლო ჩვენგან კი **ბენ გორდონს, კრის დიუჰონსა** და **იოაკიმ ნოას** მიიღებთ, ხოლო თუ ესეც გეცოტავათ, მაშინ მომდევნო დრაფტზე იმ მოთამაშეს დაგითმობთ, რომელსაც ჩვენ ავიყვანთო.

მაკგრეიდიმ ამის შესახებ მხოლოდ ის თქვა, სასაცილოა, როდესაც ჩემს ირგვლივ ყოველი სეზონის შუაწელს ასეთი ჭორები დადისო, თუმცა "როკეტსის" ბოსებმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნეს – "ჩიკაგოსთან" გაცვლის ვარიანტს სერიოზულად განვიხილავთ, თუმცა იმ მოთამაშეებს ნამდვილად ვერ დაგისახელებთ, ვინც ამ გაცვლის მონაწილეებად განიხილებიანო.

პრინციპში, ეს გაცვლა ორივე გუნდს უნდა წაადგეს, რადგან "ჰიუსტონის" კიდევ ერთმა ვასკვლავმა, **იაო მინმა** ტრეისისთან საერთო ენა ასეც ვერ გამონახა, ხოლო იმ ტრიოს დამატებით, რომელსაც "ბულზი" იძლევა, ტეხასელები უკანა ხაზს მაგრად გამოაკეთებენ და არგენტინელ **ლუის სკოლასაც** როტაციის შემთხვევაში, იქნებ ძირითადში ადგილი გამოუნახონ. იაო ცენტრად ითამაშებს, გორდონი მსროლელად, **რაფერ ალსტონი** ფლეიმეიქერად დარჩება, ხოლო **შეინ ბეტიეს** კი ფორვარდთა ტანდემში **ჩაკი ჰეიესის** ნაცვლად სკოლა შეუწყვილდება. საუბარი არაა იმაზეც, რომ ტრეისი "ბულზისთვის" ნამდვილი მისწრება იქნება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**მაიამი-ჩიკაგო 96:126**

23:34, 30:24, 26:35, 17:33

**მაიამი:** შ. ონილი (24 ქ. 10 მ. 2 პ), უეიდი (24 ქ. 6 პ), ჯეისონ უილიამსი (17 ქ. 5 პ. 2 ჩ), ჰასლემი (15 ქ. 12 მ. 3 პ).

**ჩიკაგო:** გორდონი (24 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჯო სმიტი (23 ქ. 5 მ), დენგი (21 ქ. 8 პ. 3 მ), ნოჩიონი (20 ქ. 4 მ), სეფოლოშა (17 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ბოსტონი-პორტლენდი 100:90**

19:19, 24:26, 31:24, 26:21

**ბოსტონი:** რ. ალენი (35 ქ. 3 მ. 3 პ), გარნეტი (26 ქ. 7 მ. 3 პ), პირსი (12 ქ. 8 მ. 5 პ), ე. ჰაუსი (10 ქ. 5 პ. 4 მ).

**პორტლენდი:** როი (22 ქ. 6 პ), ტ. აუთლო (17 ქ. 7 მ. 3 პ), ჯეკი (17 ქ. 5 მ), ოლდრიჯი (16 ქ. 6 მ. 2 დ).

**ტორონტო-საკრამენტო 116:91**

22:28, 36:22, 32:20, 26:21

**ტორონტო:** ბოში (31 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 პ), დელფინო (26 ქ. 7 მ. 6 პ. 4 ჩ), კალდერონი (17 ქ. 14 პ. 3 მ. 3 ჩ), ე. პარკერი (12 ქ. 5 პ. 3 ჩ), ჰამფრიზი (11 ქ. 5 მ).

**საკრამენტო:** Kკევინ მარტინი (22 ქ. 4 მ. 2 ჩ), ბიბი (19 ქ. 6 მ), ბ. მილერი (16 ქ. 7 მ. 4 პ. 3 დ), გარსია (10 ქ).

**შარლოტი-ორლანდო 99:93**

20:26, 21:30, 34:19, 24:18

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (36 ქ. 14 მ. 5 პ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (26 ქ. 5 მ. 4 პ), კეროლი (13 ქ. 5 მ. 2 დ), ოკაფორი (7 ქ. 7 მ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (24 ქ. 21 მ. 4 ჩ), აროიო (17 ქ), თურქოღლუ *16 ქ. 4 პ. 3 ჩ), რ. ლიუისი (14 ქ. 7 მ), მ. ევანსი (10 ქ. 5 მ).

**ინდიანა-გოლდენ სტ. 125:117**

18:29, 33:26, 28:38, 46:24

**ინდიანა:** გრეინჯერი (]29 ქ. 9 მ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (24 ქ. 9 მ), რაში (19 ქ. 2 ჩ), მერფი (16 ქ. 5 მ. 3 პ), დიენერი (11 ქ. 6 პ), შ. უილიამსი (11 ქ), ფოსტერი (6 ქ. 12 მ. 4 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (24 ქ. 7 პ. 7 ჩ. 6 მ. 2 დ), ე. ჰარინგტონი (22 ქ. 6 მ), ბარნსი (18 ქ. 9 მ. 6 პ), ს. ჯექსონი (17 ქ. 8 პ. 4 ჩ. 3 მ), ბიედრინსი (13 ქ. 4 მ), მ. ელისი (11ქ. 4 პ. 2 ჩ).

**მილუოკი-ატლანტა 87:80**

23:21, 22:24, 20:20, 22:15

**მილუოკი:** ბოგუტი (21 ქ. 10 მ. 4 დ), რედი (17 ქ. 4 მ), ქსიანლიანი (16 ქ. 9 მ. 2 დ), ვილიანოვა (10 ქ. 9 მ), აივი (9 ქ. 8 მ. 6 პ), სიმონსი (9 ქ. 5 მ. 5 პ).

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (22 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (19 ქ. 9 მ. 7 დ), ჯო ჯონსონი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.**

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 105:111**

33:18, 22:34, 23:34, 27:25

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (26 ქ. 8 მ. 7 პ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (22 ქ. 6 მ), ბუნი (18 ქ. 12 მ), შ. უილიამსი (16 ქ. 5 მ), კიდი (10 ქ. 17 პ), ნახბარი (9 ქ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (35 ქ. 8 პ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (24 ქ. 11 მ. 4 პ), კარი (17 ქ. 5 მ), ნ. რობინსონი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ).

ფორმულა 1. გუნდების პრეზენტაცია

# რედ ბული კვარცხლბეკისკენ?

დიდი პრიზების ცირკის პელოტონის მოწინავეთაგან განსხვავებით, ავსტრიულმა გუნდმა "რედ ბულმა" თავისი ახალი RB4 ბოლიდის პრეზენტაცია საქმიან ვითარებაში, ხერესის ავტოდრომზე ჩაატარა. პრეზენტაციაზე გუნდის ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში მათ სარბოლ მანქანებს აღარ შეექმნებათ საიმედოობასთან დაკავშირებული პრობლემები.

გუნდმა, რომელიც "რენოს" ძრავებს იყენებს, გასულ სეზონში 17 რბოლიდან მხოლოდ ექვსში შეძლო ქულების მოგროვება და საბოლოოდ, ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა. ამჯერად კი მისი პილოტები აცხადებენ, რომ მათი მიზანი რბოლების მოწინავე სამეულში რეგულარულად დასრულება და ლიდერების შევიწროვება იქნება.

*"რა თქმა უნდა, კარგი შედეგებისთვის სწრაფი მანქანა გვჭირდება, მაგრამ ეს მანქანა საიმედოც უნდა იყოს და ყოველ რბოლაში არ უნდა ზიანდებოდეს. ამ მანქანის შესაქმნელად უამრავი ადამიანი მუშაობს. ყველაფერი შენს თვალწინ ხდება. და თუ ის რბოლის პირველ, ან ბოლოსწინა წრეზე გაფუჭდება, მთელი ეს შრომა წყალშია ჩაყრილი"*, - განაცხადა გუნდის ავსტრალიელმა პილოტმა **მარკ უებერმა**, ვისაც შარშან ბოლიდი ძალიან ხშირად უფუჭდებოდა.

ახალი რეგლამენტი გუნდებისგან მოითხოვს, რომ გადაცემათა კოლოფმა რემონტის გარეშე და შეუცვლელად, ზედიზედ ოთხ რბოლაზე უნდა იმუშაოს. ამ წესის გამო, ყველა გუნდს უწევს კოლოფის კონსტრუქციის შეცვლა. რაც შეეხება ძრავს, ადრე "რედ ბული" "ფერარის" ძრავებს იყენებდა, მაგრამ შარშან ფრანგულ აგრეგატებზე გადავიდა. გასულ სეზონში გუნდის ინჟინრებმა ამ ძრავს ალლო აუღეს, დაგროვილ გამოცდილებას კი ისინი ახალ სეზონში გამოიყენებენ.

გასულ სეზონში პრობლემები იმის გამო წარმოიქმნა, რომ გუნდმა "რენოსგან" გვიან მიიღო ძრავები. შედეგად, არ მოხერხდა ძრავისა და ტრანსმისიის ოპტიმალურად შეთანწყობა. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ძრავების პარამეტრების შეცვლა არ შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდის ინჟინრებს ძველ მონაცემებთან აქვთ საქმე, რაც მათ სამუშაოს უკეთ შესრულებაში დაეხმარა.

*"შარშან მიღებული გამოცდილება ახალი მანქანის დაგეგმარებაში დაგვეხმარა. ძირითადი ცვლილებები ტანსმისიაში შევიტანეთ. ახალი კვანძი რამდენიმე თვე სტენდზე გადიოდა შემოწმებას და უნდა ვთქვა, რომ მან ჩვენი მოლოდინი გაამართლა. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ის პრობლემები, რომლებიც შარშან გვქონდა, წარსულში დავტოვეთ"*, - განაცხადა გუნდის შეფმა **კრისტიან ჰორნერმა**.

შარშან უებერმა ერთი რბოლა (გერმანიის დიდი პრიზი) მესამე ადგილზე დაასრულა, იაპონიაში კი ის მეორე ადგილზე იყო, როცა "ტორო როსოს" გერმანელ **სებასტიან ფეტელს** დაეჯახა. უებერი და მისი შოტლანდიელი თანაგუნდელი **დევიდ კულტჰარდი** იმედოვნებენ, რომ ახალ სეზონში გაცილებით უკეთესი შედეგები ექნებათ.


დევიდ კულტჰარდი და მარკ უებერი RB4-ის პრეზენტაციაზე

*"თუ შარშანდელ სეზონს გადავხედავთ, პირველობისთვის ის გუნდები იბრძოდნენ, რომლებმაც ჩემპიონატი ძლიერად დაიწყეს. "ბეემვე", "მაკლარენი" და "ფერარი" ყველაზე სწრაფები იყვნენ. ჩვენი მიზანი სწორედ მათთან გათანაბრებაა და ამას პირველივე ეტაპებიდან ვეცდებით. თუმცა, ეს ძალიან ძნელი იქნება"*, - ამბობს უებერი.

გუნდის ოპტიმიზმის საფუძველია ის ფაქტორი, რომ ახალი მანქანის დაპროექტებას თავიდანვე სახელოვანი კონსტრუქტორი **ედრიან ნიუი** ხელმძღვანელობდა. ნიუი "რედ ბულში" შარშან გადავიდა, მაგრამ ეს იმ დროს მოხდა, როცა მანქანის მომზადება დაწყებული იყო. ამჯერად, კონსტრუქტორმა არ ისურვა სრულიად ახალი ბოლიდის დაპროექტება. მისი თქმით, RB4 შარშანდელი ბოლიდის ევოლუციური ვარიანტია, თუმცა მასში ბევრი სრულიად ახალი კვანძი და ელემენტია გამოყენებული.

ცნობისათვის, ნიუი თანამედროვე ფორმულა ერთში აეროდინამიკის ყველაზე ძლიერი სპეციალისტია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ფორმულა ერთში ბოლიდის აწეული ცხვირის დიზაინი დამკვიდრდა. რაც მთავარია, თავის დროზე ის საჩემპიონო მანქანებს უმზადებდა "უილიამსს" და "მაკლარენს". ამდენად, გუნდში მისი ყოფნა იმის იმედს იძლევა, რომ ახალ სეზონში "რედ ბული" სოლიდური პროგრესით გაგვაკვირვებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**18 იანვარი. პარასკევი**

**НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
15:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
01:30 საფეხბურთო კლუბი.
02:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-იუვენტუსი.
09:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:06 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:36 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
11:04 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XII ტური. რეალი-ბარსელონა.
12:58 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
14:33 სპორტდოსიე.
15:02 სპორტის სამყარო.
15:30 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ფინალი. სპარტა (ჩეხეთი)-მეტალურგი (რუსეთი). სტ. პეტერბურგი. რუსეთი.
17:32 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:58 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ბაიერნი.
19:39 გოლფი. მიმოხილვა.
20:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ანაჰაიმი.
22:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
00:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:58 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:43 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:36 სპორტდოსიე.
04:02 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XII ტური. რეალი-ბარსელონა.
05:34 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ჩიკაგო (LIVE).
08:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.

**EUROSPORT**

09:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე. მელბურნი (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
18:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. თურქეთი-პოლონეთი. გერმანია (LIVE).
20:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. სერბეთი-რუსეთი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. სერბეთი-რუსეთი. გერმანია (LIVE).
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. ჰარაჩოვი. ჩეხეთი.
23:30 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2005.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. თურქეთი-პოლონეთი. გერმანია.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერგიგანტი. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
18:00 ბილიარდი. პული. მალაგა. ესპანეთი.
19:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სნოუბორდი. შვეიცარია.
03:15 ახალი ამბები.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 გერინი-16 (კომრი-22, შატანი-14), 0:2 სილინჯერი-11 (ჰანტერი-16, ფედოტენკო-14), 1:2 ზაიაცი-9 (ჯონტა-18, ზუბრუსი-15), 1:3 გერინი-17.

**რეინჯერსი-ბაფალო 2:1**

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 დუბინსკი-5 (დეივსი-3, პრუხა-8), 1:1 პომინვილი-11 (მაკარტური-3, ბ. კემპბელი-26), 2:1 პრუხა-6 (მარა-12, დუბინსკი-11).

**ფილადელფია-ფლორიდა 5:3**

4:1, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 კ. ტიმონენი-7 (ვანდერმეერი-9, დაუდი-4), 1:1 ბოუმისტერი-8 (ჰორტონი-21, ბუტი-5), 2:1 საიმონ განიე-6 (ნუბლი-14, კ. ტიმონენი-18), 3:1 ბრიერი-18 (მ. რიჩარდსი-29, კ. ტიმონენი-19), 4:1 ჰარტნელი-12 (მ. რიჩარდსი-30, დაუნი-4), 4:2 ოლეში-7, 4:3 უეისი-8 (ო. იოკინენი-22, ბოუმისტერი-10), 5:3 ბრიერი-19 (უმბერგერი-23, ვანდერმეერი-10).

**მინესოტა-კალგარი 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 მოსი-2 (ტანგეი-26, კონროი-16), 1:1 ბერნსი-9 (გაბორიკი-23, დემიტრა-17), 1:2 ჰუსელიუსი-21 (ფანოფი-25, იგინლა-30), 2:2 ფოსტერი-3 (ბუშარი-30, გაბორიკი-24).

ბულიტები გაიტანეს: ჰუსელიუსი (კალგარი), იგინლა (კალგარი).

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 6:1**

0:0, 2:1, 4:0

გოლები: 1:0 სკილი-2 (ტ. რუუტუ-12), 2:0 რ. ბურკი-5 (ბარკერი-2, შარპი-14), 2:1 სტემპნიაკი-10 (ბეკსი-7, ბრიუერი-10), 3:1 კეინი-10 (ბიფიგლინი-12, სიბრუკი-9), 4:1 ბიფიგლინი-9 (სკილი-2, რ. ბურკი-8), 5:1 კეინი-11 (ლანგი-20, სიბრუკი-10), 6:1 ი. პერო-4 (კეინი-32, ბიფიგლინი-13).

### ტურის მოვლენები

- "აილენდერსმა" ამ სეზონში ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოუგო "ნიუ ჯერსის".
- "ნიუ ჯერსიმ" შეწყვიტა სამმატჩიანი მოგებათა სერია. ამ გუნდმა ბოლო 26 შეხვედრაში მხოლოდ მეშვიდედ წააგო.
- "დევილზს" ნიუიორკულ გუნდებთან ("აილენდერსი", "რეინჯერსი") ზედიზედ 9-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს.

■ ■ ■

- "ბაფალომ" ზედიზედ მეათე მატჩი წააგო. ამ გუნდს რეგულარულ ჩემპიონატში 22 დეკემბრის შემდეგ არ გაუმარჯვია.
- "რეინჯერსმა" ბოლო 8 მატჩში მხოლოდ მეორედ მოიგო.
- ნიუიორკელთა ფორვარდმა **პეტრ პრუხამ** დუბლი შეასრულა, არადა მანამდე, ეს ჰოკეისტი 17 მატჩი გოლის გარეშე ტოვებდა ყინულს.

■ ■ ■

- "ფილადელფიამ" ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია, ბოლო ექვს მატჩში კი, მეხუთედ გაიმარჯვა.
- "ფლორიდას" მთავარმა მეკარემ **ჟაკ მარტინმა** სანადელს ვერ მიაღწია და ვერ იზეიმა კარიერაში მე-500 გამარჯვება. ეს სპეციალისტი ამ ზღვარის გადალახვას 10 იანვრიდან ელის, მაგრამ მას შემდეგ, "პანტერზმა" ზედიზედ სამი მატჩი წააგო. მარტინი ლიგის ისტორიაში მე-10 მეკარე გახდება, ვისაც 500 გამარჯვება ექნება დაგროვებული.
- "ფლორიდას" ბოლო ექვს მატჩში ხუთი წაგება აქვს.
- "ფილადელფიას" ფორვარდმა **მაიკ ნუბლმა** NHL-ში მე-700 შეხვედრა ჩაატარა.

■ ■ ■

- "კალგარიმ" ბოლო ხუთ მატჩში პირველ გამარჯვებას მიაღწია.
- "მინესოტამ" შეწყვიტა 3-მატჩიანი მოგებათა სერია.
- "მინესოტას" საშინაო არენაზე ზედიზედ 30-ედ დაფიქსირდა ანშლაგი.

■ ■ ■

- ზედიზედ რვა წაგების შემდეგ, "ჩიკაგომ" მიყოლებით ორი მატჩი მოიგო. ამაში დიდი წვლილი სათადარიგო მეკარე **პატრიკ ლალიმს** მიუძღვის, რომელმაც ორ მოგებულ შეხვედრაში 32-32 დარტყმა მოიგერია. მანამდე, გუნდის ძირითად გოლკიპერსა და ყველაზე მაღალანაზღაურებად ჰოკეისტს, **ნიკოლაი ხაბიბულინს** ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა წაგებული.
- "სენტ ლუისმა" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო.
- თავიდან "ბლუზმენების" კარში **მენი ლეგასი** იდგა, რომელმაც პირველ პერიოდში 7-დან შვიდივე დარტყმა მოიგერია. მაგრამ ამ მეკარემ ტრავმა მიიღო და ის **მარეკ შვარცმა** შეცვალა, რომელმაც დარჩენილ დროში მხოლოდ 8 დარტყმის მოგერიება შეძლო. მანამდე, ამ სეზონში შვარცს ჯამში 11 წუთი ჰქონდა ნათამაშები.
- "ჩიკაგოს" დებიუტანტმა **პატრიკ კეინმა** შეწყვიტა 9-მატჩიანი უგოლო სერია.



შეტევაზეა პატრიკ კეინი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ბაზელი-ბოხუმი | 2:2 |
| ლეგია-ესენი | 1:0 |
| **იტალიის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ინტერი-რეჯინა | 3:0 (4:1) |
| ნაპოლი-ლაციო | 1:1 (1:2) |
| **საბერძნეთის თასი. 1/8 ფინალი** | |
| ირაკლისი-პანიონიოსი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ციბონა-მაკაბი | 76:81 |
| ჟალგირისი-ცსკა | 60:88 |
| პანათინაიკოსი-რუანი | 102:78 |
| პროკომი-ოლიმპიაკოსი | 63:59 |
| რეალი-ბარსელონა | 82:79 |
| ვირტუსი-მონტეპასკი | 64:77 |
| ბაუგრესი-ოლიმპია | 89:74 |
| ბამბერგი-ულკერი | 81:73 |

**ხელბურთი**

| ევროპის ჩემპიონატი. კაცები | |
|---|---|
| რუსეთი-ჩერნოგორია | 25:25 |
| გერმანია-ბელარუსი | 34:26 |
| სლოვენია-ჩეხეთი | 34:32 |
| საფრანგეთი-სლოვაკეთი | 32:31 |
| ესპანეთი-უნგრეთი | 28:35 |
| ნორვეგია-დანია | 27:26 |
| ხორვატია-პოლონეთი | 32:27 |
| შვედეთი-ისლანდია | 24:19 |

**ჰოკეი**

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2:5 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კერპეტი | 5:3 |
| ლუკო-ილვესი | 3:4 |
| საიპა-კაიპა | 2:2, ოტ. 3:2 |
| ტაპარა-კიეკო ბლუზი | 5:2 |
| ჰიფკ-ტპს | 6:0 |
| პპკ-ასატი | 2:4 |
| იფკ-პელიკანსი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ლიბერეცი | 3:3, ბულ. 3:4 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-რაპერსვილი | 2:5 |
| ციურიხი-დავოსი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ბრიუნასი | 1:5 |
| ლინჩოპინგი-ჰვ 71 | 1:1, ოტ. |
| ლულეა-სოდერტალიე | 1:4 |
| მორა-იურგორდენი | 5:2 |
| ტიმრო-ფრიოლუნდა | 4:3 |

ჰოკეი

### ჰოსა ჯორდან სტაალში იცვლება?

არ ცხრება მითქმა-მოთქმა "ატლანტა ტრეშერზის" ერთ-ერთი ლიდერის, **მარიან ჰოსას** (19 გოლი, 23 პასი) სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. ამჯერად გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, "პიტსბურგ პინგვინზი" თავისი ლიდერისთვის, **სიდნი კროსბისთვის** ძლიერ პარტნიორს ეძებს და სლოვაკი ფორვარდი სწორედ შესაფერისი კანდიდატურაა.

"პიტსბურგს" განზრახული აქვს ჰოსას ნაცვლად "ატლანტაში" გაუშვას ახალგაზრდა ფორვარდი **ჯორდან სტაალი** (5 გოლი და 8 პასი), თუმცა ეს სრულფასოვანი კომპენსაცია არ არის და "პინგვინებს" კიდევ ვინმეს დათმობა მოუწევთ.

მარიან ჰოსას "ატლანტასთან" კონტრაქტი ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება.

### იაგრს პრობლემები აქვს

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ამ გუნდის ლიდერი **იარომირ იაგრი** ორივე ფეხში ტკივილს გრძნობს.

რეგულარულის ერთ-ერთ ბოლო მატჩში, ვეტერან ჰოკეისტს მარჯვენა ფეხში შაიბა მოხვდა, მეორე ფეხი კი, "რენჯერსის" კაპიტანმა "პიტსბურგთან" შეხვედრაში დაიზიანა. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ჩეხი ფორვარდი აგრძელებს თამაშს.

## კალათბურთი

### ივკოვიჩი ამერიკაში წავიდა

სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დუშან ივკოვიჩი** სამუშაო ვიზიტით ამერიკაში გაემგზავრა. ცნობილი სპეციალისტი ოკეანის გაღმა NBA-ის ტექნიკური კომისიის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. განსახილველი საკითხი კალათბურთის წესების გლობალიზაციას ეხება. გარდა ამისა, ივკოვიჩს დაგეგმილი აქვს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე სერბ კალათბურთელებთან შეხვედრა. *"არ ვაპირებ მათთან ეროვნულ გუნდში თამაშის შესახებ ვისაუბრო. უბრალოდ მაინტერესებს მათი ამერიკელი ცხოვრება"*, - განაცხადა ივკოვიჩმა.

სერბების ახალი დამრიგებლის თქმით, ნაკრების პირველი შეკრება ივლისის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი. როგორც იცით, ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე ოლიმპიადის საგზური ვერ მოიპოვა.

### კახასოლმა მწვრთნელი გამოიცვალა

ესპანეთის ჩემპიონატის აუთსაიდერმა, "კახასოლმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **რუბენ მანიანო**. ეს ის სპეციალისტია, რომელმაც არგენტინის ნაკრებს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოაპოვებინა.

როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, მანიანოს შემცვლელად 62 წლის **მანელ კომასი** მიიწვიეს, რომელიც თავის დროზე ესპანური კალათბურთის გრანდებს, "ბარსელონას", "ხუვენტუდსა" და "ტაუგრესს" წვრთნიდა.

პირველი წრის შემდეგ, კახასოლი 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-17 ადგილს იკავებს და კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ სიტუაციას მწვრთნელის შეცვლით ეშველება.

### რომამ ბერძენი მცველი დაიმატა

რომის "ლოტომატიკამ" სეზონის მსვლელობისას შემადგენლობის გაძლიერება განიზრახა. ამ მიზნით იტალიელებმა ბერძენი მცველი **იანის გაგალუდისი** (191 სმ, 30 წლის) დაიმატეს. ახალწვეულს შეუძლია ამ სეზონში ევროლიგაზე რომაელთა ღირსება დაიცვას.

წლევანდელი სეზონი გაგალუდისმა საბერძნეთის "რეტიმნოში" დაიწყო. ამ კალათბურთელის კოლექციაშია 2003 წელს, აეკ-თან ერთად FIBA ჩემპიონთა თასზე გამარჯვება და "პანათინაიკოსის" რიგებში საბერძნეთის ჩემპიონის ტიტული (2004 წელს).

### მონტეპასკიმ ლიდერი დაკარგა

იტალიის "მონტეპასკის" ლიტველი მცველი **რიმანტას კაუკენასი** სეზონის ბოლომდე ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას. კალათბურთელმა მუხლის ტრავმა მიიღო და უახლოეს დღეებში ოპერაციას გაიკეთებს - წერს "მონტეპასკის" ოფიციალური ვებგვერდი.

კაუკენასმა ტრავმა ჯერ კიდევ 27 დეკემბერს, იტალიის ჩემპიონატის მატჩში მიიღო. იანვარში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ლიტველი ქირურგიული ჩარევის გარეშე სამ თვეში გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა.

კაუკენასი "მონტეპასკის" ლიდერი ევროლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე. მისი მონაგარი საშუალოდ მატჩში 14.1 ქულას შეადგენდა.

## რაგბი

### ფრანგებს ნალიე უკაპიტნებს

რაგბში საფრანგეთის ნაკრებს ახალი კაპიტანი ეყოლება. ეს პოსტი მსოფლიო თასის შემდეგ გახდა ვაკანტური, როცა სანაკრებო დონეზე თამაშს თავი დაანება აწ უკვე ყოფილმა კაპიტანმა **რაფაელ იბანიესმა**.

ახალი კაპიტანი კი, **ლიონელ ნალიე** გახდა. 2000 წლიდან მოყოლებული, 31 წლის მორაგბეს ნაკრებში 28 მატჩი აქვს ჩატარებული.



ავსტრალიის ღია პირველობა

# ჰიუიტისთვის ახლა იწყება



მარკოს ბაღდატისი

გრძელდება ავსტრალიის ღია პირველობა, რომლის მესამე წრეში გავიდა ტურნირის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**. მისი მორიგი მსხვერპლი შეიქნა გამოცდილი ფრანგი **ფაბრის სანტორო**, ვიც სავარაუდოდ, კარიერაში უკანასკნელად იასპარეზა ავსტრალიის ღია პირველობაზე.

35 წლის სანტოროსთვის ეს დიდი სლემის 62-ე ტურნირია, რაც სარეკორდო მიღწევაა. თუმცა, მას ასეთი სასტიკი მარცხი ალბათ ამ ტურნირებზე მანამდე არასოდეს უნწვევია. ფედერერმა სულ სამი გეიმი დაუთმო და ასე "გააპანღურა" რეკორდსმენი. არა, გააპანღურა რა სიტყვაა, შვეიცარიელს ფრანგის მიმართ დიდი პატივისცემა აქვს, იმდენად დიდი, რომ თამაშის შემდეგ, ბადესთან არ დაელოდა, მის მხარეს გადავიდა და თითქოს მოუბოდიშა კიდეც, ასე ადრეულად რომ დაატოვებინა ტურნირი.

*"მას ყველაფერი ასე იოლად გამოსდის, მეტოქეებს სათამაშო სივრცეს არ უტოვებს, ნებისმიერი სირთულის ბურთს უკან აბრუნებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დაცვაშიც და შეტევაშიც, მას ბურთის მიღებამდე სხვებზე მეტი დრო რჩება ხოლმე. ისიც ამ უპირატესობას მშვენივრად იყენებს და სანამ დაარტყამს, წინასწარ საზღვრავს, თუ საით სჯობს ბურთის გაგზავნა. ის ზედმეტად არასოდეს რისკავს. როცა ბადესთან გადის, უნდა იცოდე, რომ ბურთს ვერ ჩაუგდებ. დიდი სიამოვნებით ვეთამაშებოდი კიდევ ერთხელ"*, - ასე დაახასიათა ფედერერი მომლიმარმა სანტორომ.

იტალიელ **სიმონე ბოლელისთან** შეხვედრა იოლად მოიგო სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს** კი საკმაოდ გაუჭირდა უზბეკი **დენის ისტომინის** დამარცხება. ესპანელი **დავიდ ფერერი** ორ სეტს უგებდა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** როდესაც ამან ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა.

ფედერერის მსგავსად, ჯოკოვიჩს ავსტრალიის ღიას წინ არცერთ ტურნირზე არ უთამაშია. ამის თაობაზე მან განაცხადა, რომ ერჩივნა, ძალები ამ ტურნირისთვის შემოენახა, რადგან ბოლომდე აპირებს ბრძოლას და იცის, რომ იოლად არავინ არაფერს დაუთმობს. თუმცა, პირველი ორი წრე მაინც საკმაოდ იოლად განვლო. მისი მომდევნო მეტოქეა ამერიკელი **სემ ქვერი**, რომელმაც ტურნირს რუსი **დმიტრი ტურსუნოვი** გამოთიშა.

ჰიუიტმა კი, ისტომინს რომ გაუსწორდა განაცხადა, ჩემთვის ტურნირი ახლა იწყებაო. ლეიტონი ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, აშშ-ის ღიასა და უიმბლდონის ჩემპიონი იყო, მაგრამ ახლა რეიტინგის მოწინავე ოცეულის მიღმა იმყოფება. თამაშიც ისე აღარ გამოსდის. თანაც, მომდევნო წრეში მას ძალიან ძლიერი მეტოქე ეყოლება კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისის** სახით, რომელმაც ხუთსეტიანი თრილერი მოუგო ტურნირის ყოფილი ჩემპიონსა და მსოფლიოს კიდევ ერთ ყოფილ პირველ ჩოგანს, რუს **მარატ საფინს**.

*"მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისთან მომიწევს თამაში. თუ ჩემპიონობა გინდა, ნებისმიერს უნდა აჯობო"*, - განაცხადა ავსტრალიელმა.

ორ სეტში მოიგო, მაგრამ ორივეში გაუჭირდა **ვენუს უილიამსს**, რომელმაც ფრანგი **კამილ პენი** დაამარცხა. ორივე სეტის დასაწყისში, ამერიკელს მდევრის როლში მოუწია ყოფნამ, თუმცა ორივე შემთხვევაში მიაღწია საწადელს. ის ყოველთვის კარგად თამაშობს, ყოველთვის აგრესიულია და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თამაშით უდიდეს სიამოვნებას ღებულობს, - ასე შეაფასა თავისი მეტოქე უილიამსმა.

ჯოკოვიჩის მსგავსად, იოლად მოიგო მისმა თანამემამულე **ანა ივანოვიჩმა**, ვინც მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო იტალიელ **ტატიანა გარბინს** და მას ხელი 66 წუთში მოუთავა. ივანოვიჩმა **როდ ლეივერის** სახელობის კორტზე ხელოვნურ განათებაზე პირველად ითამაშა და როგორც თავად ამბობს, თავიდან ცოტა ინერვიულა კიდეც, მაგრამ მერე მაყურებლის მხარდაჭერამ ნერვიულობა დაავიწყა და ისე ათამაშდა, როგორც ამას ყველა ელოდა.

ტურნირის დროს, ივანოვიჩი მელბურნის ერთ-ერთ გაზეთში ყოველდღიურ სვეტს აქვეყნებს, რომელშიც ითხოვა, ძალიან გამახარებთ, თუ ამიერიდან "ოზი ანად" (ავსტრალიელ ანად) მომიხსენიებთო. ის ასევე სწერს, რომ არნახულად ბევრ ავტოგრაფს ითხოვენ და ხანდახან, თაყვანისმცემლები საკმაოდ უცნაურ რამეებსაც სთხოვენ. მაგალითად, ერთს უთხოვია, ავტოგრაფი მოკრივის შორტებზე ნამიწერეო.

### კაცები. მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)-ფაბის სანტორო (საფრ) 6:1, 6:2, 6:0; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბ, 3)-სიმონე ბოლელი (იტა) 6:1, 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპ, 5)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:3, 6:4 (დელ პოტროს ტრავმა); **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 7)-ჰიუნ-ტაიკ ლი (ტაივ) 4:6, 6:3, 6:2, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგ, 10)-პეტერ ლუჩაკი (ავსტრალ) 4:6, 7:5, 6:4, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 12)-მაიკლ რასელი (ავსტრალ) 6:3, 6:2, 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხ, 13)-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:2, 6:1, 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპ, 15)-მარატ საფინი (რუს) 6:4, 6:4, 2:6, 3:6, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალ, 19)-დენის ისტომინი (უზბ) 7:6(5), 6:3, 5:7, 6:1; **ხუან მონაკო** (არგ, 21)-ამერ დელიჩი (აშშ) 6:3, 7:6(6), 5:7, 6:7(8), 8:6; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპ, 22)-ალუნ ჯონსი (ავსტრალ) 6:4, 6:4, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბ)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 25) 7:5, 7:6(3), 7:6(3); **სემ ქვერი** (აშშ)-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 32) 7:6(5), 4:6, 6:4, 6:2; **ვინს სპადეა** (აშშ)-დენის გრემელმაირი (გერ) 4:6, 6:2, 6:3, 2:6, 9:7; **მარინ ჩილიჩი** (ხორვ)-იურგენ მელცერი (ავსტრ) 6:4, 6:3, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (საფრ)-რობინ ჰაასე (ჰოლ) 4:6, 6:4, 6:0, 6:7(4), 6:4

### ქალები. მეორე წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუს, 2)-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:6(0), 6:2; **ანა ივანოვიჩი** (სერბ, 4)-ტატიანა გარბინი (იტა) 6:0, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (რუს, 6)-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:4; **ვენუს უილიამსი** (აშშ, 8)-კამილ პენი (საფრ) 7:5, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლვკ, 9)-ალიზ კორნე (საფრ) 6:2, 7:5; **ნადია პეტროვა** (რუს, 14)-ანე კრემერი (ლუქს) 7:5, 7:5; **კაროლინ ვოზნიაცკი** (დან)-ალონა ბონდარენკო (უკრ, 21) 7:6(4), 6:1; **ნა ლი** (ჩინ, 24)-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:4, 6:3; **მარია კირილენკო** (რუს, 27)-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:1, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვ, 28)-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:4, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა** (პოლ, 29)-პაულინ პარმენტიე (საფრ) 7:5, 6:4; **სანია მირზა** (ინდ, 31)-ტიმეა ბაჩინსკი (შვეი) 6:1, 4:6, 7:5; **საბინე ლისიცკი** (გერ)-მარია კორიტცევა (უკრ) 6:1, 7:5; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპ)-კასტანო (კოლუ) 6:2, 6:4; **მარტა დომახოვსკა** (პოლ)-სოფია არვიდსონი (შვედ) 7:5, 1:6, 6:1; **ეკატერინა მაკაროვა** (რუს)-ივონ მოისბურგერი (ავსტ) 6:3, 6:1

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარჩმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა